საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში ქურდებმა ტელევიზორისა და ვიდეოს გარეშე დატოვეს A3

"გერმანიას" ქართული ავიაბაზრის ხელში ჩაგდების გეგმა ჩაეშალა A4

მასხადოვი და ბასაევი ერთიანდებიან - ისე იწვიმებს ჩეჩნეთში, როგორც ქუხს? A5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 26 ივლისი, 2002 წელი. №54

ფასი 50 თეთრი

„უცნობი„ ბიზნესმენები - ნაცნობ პოლიტიკოსებთან

"გაერთიანებული მრეწველები" - "გაერთიანებულ დემოკრატებთან"...

თამარ ხორბალაძე

აქ ვერ ნახავდით "ნაცნობ ბიზნესმენთა" სახეებს.

ვერ შეხვდებოდით იმ მეწარმეებს, რომლებმაც, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში თავიანთი ყოფნით, უკვე მოიპოვეს საკმარისი გავლენა ან ამ გავლენისთვის დღესაც საპარლამენტო ტრიბუნასთან იბრძვიან.

ვერ ნახავდით იმათ, ვისაც საქართველოს უმაღლეს ხელისუფალთან იმდენად მარტივად მიესვლება, რომ ამისთვის პარლამენტის წევრის სტატუსიც არ სჭირდება.

ვერ ნახავდით იმ მეწარმეებს, რომლებმაც სახელმწიფო გარანტიით აღებული ვალებით საკუთარი ბიზნესის აწყობა შესძლეს.

ვერ ნახავდით პრეზიდენტის ნათესავებს ან მათთან დაახლოებულ პირებს.

ვერ ნახავდით იმათ, ვისაც უკვე ათვისებული აქვს სატელევიზიო ეთერი და საგაზეთო ტრიბუნა.

ამ თავყრილობაზე 150-მდე "უცნობი ბიზნესმენი" ნაცნობ პოლიტიკოსებს, კერძოდ, ჟვანიას და მის "გაერთიანებულ დემოკრატიულ" გუნდს ხვდებოდნენ.

თავისთავად, ცნება "უცნობი ბიზნესმენი," ამ შემთხვევაში, მეტად პირობითი გახლავთ. ადამიანებს, რომლებიც გუშინ "მეტეხში" ორგანიზაცია "გაერთიანებული მეწარმეების" შესაქმნელად შეიკრიბნენ, კარგად იცნობდნენ ისინი, ვინც ხელოვნების გალერეებში დადიან - აქ გახლდნენ ამ გალერეების მფლობელები... კარგად იცნობენ ისინი, ვისაც უყვართ მოგზაურობა - აქ ტურისტული კომპანიების ხელმძღვანელებიც იყვნენ... მათ იცნობდა ის, ვისაც რამაზ ჩხიკვაძის ბიზნესმენი მეუღლის შესახებ გაუგია, ან ვინც დადის სალონებში, ან საუნებში,

გაგრძელება A3 გვერდზე

მკალავიშვილის ალყამ გაჭრა

"საქმე ცუდად გექნებათ, გამოვიყენებთ ძალისხმიერ მეთოდებს!" ბესო გულაშვილის ფოტო

ხათუნა ჭანგირაშვილი

გუშინ საოლქო სასამართლო ბასილ მკალავიშვილისა და მისი მომხრეების რისხვას გადაურჩა. დილიდან დაწყებული სერიოზული და თამამი მუქარა (შენობას შტურმით ავიღებთო), საღამოს შვიდ საათზე საოლქო სასამართლოს მისამართით გამოთქმული გულის ამაჩუყებელი მადლობებითა და ლოცვით შეიცვალა. ზუსტად შვიდსაათიანი დახურული სასამართლო განხილვის შემდეგ, მოსამართლე იური გაბისონიამ დარბაზიდან გაათავისუფლა "თავისუფლების ინსტიტუტზე" თავდასხმაში ბრალდებული გიორგი დოინჯაშვილი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა.

მანამდე კი საოლქოს შენობაში და მის გარეთ მოვლენები ასე ვითარდებოდა:

თავდასხმაში ბრალდებული გიორგი დოინჯაშვილი სასამართლოში სპეცმანქანით მიიყვანეს, სადაც მას ბასილ მკალავიშვილი და მისი მრევლი შეეგება. პირველი მუქარაც სწორედ მაშინ გაისმა.

გაგრძელება A7 გვერდზე

პარლამენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ

"ყინული დაიძრა" ცესკო ბიულეტენების გადათვლას იწყებს

თამარ მჭედლიშვილი

ივლისის მიწურულს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავიდან ვერ აიცილა მძიმე და, შედეგების თვალსაზრისით, მეტად არაპროგნოზირებადი პროცედურა. ცესკო დიდი ენთუზიაზმის გარეშე იწყებს თბილისის არჩევნების შედეგების გადამოწმებას. ცესკოში თითქმის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ამ უსაიამოვნო მისიის შესრულება მხოლოდ სექტემბერში მოუწევდათ. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა მამუკა კოპალეიშვილმა "24 საათს" განუცხადა, ცესკო ამ პროცედურას 30 ივლისს შეუდგება.

ბოლო ერთი კვირის მანძილზე ცესკოს კულუარებში ყველაზე პოპულარული იყო საუბრები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ხაზინას გაუჭირდებოდა 70 ათასი ლარის მოძიება. შესაბამისად, ცესკო ვერ შეასრულებდა საკუთარ დადგენილებას თბილისის ბიულეტენების გადათვლის თაობაზე, რადგან მის ერთ-ერთ პუნქტში ცალსახად არის მითითებული, რომ ეს პროცედურა სახელმწიფო ხაზინის მიერ ცესკოსთვის თანხის გამოყოფის შემდეგ უნდა დაწყებულიყო.

ვითარება რადიკალურად მას შემდეგ შეიცვალა, რაც საქმეში საარჩევნო დარღვევების შემსწავლელი, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია ჩაერია. ორი დღის წინათ მისმა თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ჯუმბერ ლომინაძეს ბიულეტენების გადათვლის დაწყება მოსთხოვა. ამ შეხვედრის შემდეგ თავად ჯუმბერ ლომინაძე აღიარებდა, რომ საუბარი საკმაოდ მძიმე გამოდგა და ცესკოს, ალბათ, უკვე ორშაბათიდან მოუწევდა ამ პროცედურის დაწყება.

გაგრძელება A2 გვერდზე

თბილისის საკრებულოს პარალიზების სუბიექტური მოტივები

ეკა კვესიტაძე

1998 წლის ადგილობრივი არჩევნების ტრიუმფით დასრულების შემდეგ, გაყოყოჩებულ შალვა ნათელაშვილს პრეზიდენტმა მეგობრულად შეახსენა, რომ ყველა აღმართს დაღმართი მოსდევს. შევარდნაძის ამ კეთილგანწყობილ, ირონიანარევ დარიგებაში აგრესია თითქმის არ იგრძნობოდა. პრეზიდენტი მაშინ დარწმუნებული იყო, რომ ადვილად მოუგრეხდა კისერს ოპოზიციონერ ნათელაშვილს და არანაირად არ უფრთხოდა მის გამარჯვებას. მაშინდელმა მმართველმა პარტიამ ადვილად შეძლო შევარდნაძის "წინასწარმეტყველების" ასრულება და საკრებულოს ლეიბორისტული ფრაქცია მარტივ მამრავლებად დაშალა.

მაგრამ დღეს, აქამდე დაუმარცხებელი პრეზიდენტი რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაში აღმოჩნდა. საკაშვილის ნაციონალური მოძრაობა ლეიბორისტების მსგავსად პოპულარულია მოსახლეობაში, თუმცა, ნათელაშვილისაგან განსხვავებით, საკაშვილთან თანამშრომლობაზე შევარდნაძეს ილუზიები არ აქვს.

ის, რომ პრეზიდენტი ძალიან შეშინებული და გაღიზიანებულია, იმ აგრესიულ კომენტარებშიც ჩანს, რომელსაც ბოლო დროს ნაციონალურ მოძრაობაზე აკეთებს.

როცა საკაშვილი აცხადებს, რომ ახალი საკრებულო შევარდნაძის ხელისუფლების ალტერნატივად უნდა იქცეს, ეს მოწოდება საკმაოდ რეალისტურად ჟღერს. პრინციპში, არც ისე ძნელია აბსოლუტურად არაპოპულარული და უმოქმედო ხელისუფლების ალტერნატივა შექმნა და ამის გაკეთება, მითუმეტეს, ენერგიულ და პოპულისტ საკაშვილს არ გაუძნელდება.

ძნელი სათქმელია, თავის დროზე რა გათვლა გააკეთა პრეზიდენტმა, როცა საკაშვილი იუსტიციის მინისტრად დანიშნა. იმ პერიოდში ფრაქციის ლიდერ რეფორმატორს პარლამენტში სერიოზული პრობლემები ჰქონდა, ვერ აკონტროლებდა უმრავლესობას და მოსახლეობაში მისი პოპულარობა თანდათან ეცემოდა.

მაშინ პრეზიდენტის მოულოდნელ-

გაგრძელება A2 გვერდზე

აფხაზეთის ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი, სახალხო დიპლომატიის იდეით A2

"საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ვიტყვით!" - იმუქრებიან მრავალშვილიანი დედები A3

"თბილგაზის" "იტერასთვის" გადაცემა წინასწარ იყო დაგეგმილი A4

ჩეჩნები თუ დაზვერვის ფედერალური სამსახური - ვინ დგას მოსკოვის ტერაქტების უკან? A5

ამინდი

თბილისი	27	
ქუთაისი	28	
ბათუმი	26	
სოხუმი	27	
ფოთი	27	
თელავი	26	
ზუგდიდი	28	
გორი	24	

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1950
ევრო	2.1739
გირვანქა სტერლინგი	3.4299
რუბლი	0.0696

ერთი წლის შემდეგაც არაფერი ვიცით... A8

"ვასტუხოვი არასერიოზულ არგუმენტებს დასჯერდა"

რუსიკო ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

მოსკოვში დასრულდა საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის ახალი ჩარჩო ხელშეკრულების მოსამზადებელი რიგით მეოთხე რაუნდი, რომელიც დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა და რომლის დეტალების კომენტირებისაგან რუსი და ქართველი დიპლომატები დღეს თავს იკავებენ.

ასეთია ოფიციალური ინფორმაცია. მოსკოვში ჟურნალისტებს მხოლოდ ერთხელ მიეცათ საშუალება მხარეების მოკლე კომენტარები მოესმინათ - პრესასთან ხანმოკლე საუბარი ბორის პასტუხოვმა ხაზგასმულად ნერვულ გარემოში წარმართა. პასტუხოვს არ სიამოვნებდა არცერთი შეკითხვა. ეს აისახა კიდეც სახელმწიფო კომისიის რუსი თავმჯდომარის პასუხებზე. კერძოდ, პასტუხოვის პასუხის იმ ნაწილმა, სადაც იგი შეფასებას აძლევს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შერბილებულ სავიზო რეჟიმსა და ამ ორი რეგიონის ეკონომიკური აღმავლობის რუსეთის მიერ მხარდაჭერილ პროექტებს, ქართველი დიპლომატები, რბილად რომ ვთქვათ, გააოგნა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით "24 სათის"შეკითხვებს პასუხი გასცა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სრულუფლებიანმა და საგანგებო დესპანმა **თეიმურაზ გამცემლიძემ.**

გაგრძელება A3 გვერდზე

„ეი-ი-ესი" მთავრობას ზამთრის სამზადისს ჩაუშლის

ამერიკელები "ეი-ი-ეს მტკვარის" თანამშრომელთა გაუცემელ ხელფასებზე ქართულად აწუწუნდნენ

მაია ურუშაძე

"თუ "ეი-ი-ეს მტკვარი" საბითუმო ბაზრისგან თავის 50 მილიონ ლარს არ მიიღებს, ზამთარში მე-9 ენერგობლოკი არ იმუშავებს, რადგან ამ ბლოკისთვის "იტერასგან" ბუნებრივი აირის ყიდვას "ეი-ი-ესი" მხოლოდ ამ თანხით თუ მოახერხებს," *– განაცხადა გუშინ "ეი-ი-ეს"-ის ლობისტმა, ირაკლი მელაშვილმა. მისი აზრით, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ტყუილად აკეთებს ხმამაღალ განცხადებებს იმის თაობაზე, რომ პირველი სექტემბრიდან ის ერთი ენერგობლოკის ჩართვას გეგმავს, რადგან მეცხრე ბლოკის შეუფერხებელი გაზმომარაგებისთვის "იტერას" ანგარიშზე ყოველთვიურად სამი მილიონ ხუთასი ათასი დოლარი უნდა ჩაირიცხოს, თან ეს თანხა "იტერამ" გაზის მოწოდებამდე ერთი თვით ადრე უნდა მიიღოს.*

როგორც მელაშვილი აცხადებს, დღეს „ეი-ი-ეს მტკვარი" დავალიანების სრულად დაფარვას არ ითხოვს - მას ფული მხოლოდ "იტერასთან" ანგარიშსწორებისთვის სჭირდება. თუმცა, გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ამერიკელებს უფლება აქვთ, ბლოკი იმ შემთხვევაშიც გააჩერონ, თუ მათდამი დავალიანება 40 მილიონ ლარს გადააჭარბებს. ირაკლი მელაშვილი ვარაუდობს, რომ ზამთრის პერიოდისთვის "იტერა" აირს კიდევ უფრო გააძვირებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

ბიუჯეტის სეკვესტრი პიტერ შოუს ბედზე და აჭარის შემოსავლებზეა დამოკიდებული

სოფო კვინტრაძე

მოხდება თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრი წლის ბოლოს, ისევ გაურკვეველი რჩება. საფინანსო წრეებში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მიიჩნევს, რომ 62 მილიონის გარღვევის ფონზე, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს, სხვები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტების იმედზე აპირებენ ბიუჯეტის შევსებას. ფაქტი კი ერთია, ექვსი თვის სახელმწიფო ბიუჯეტი მხოლოდ 86 პროცენტით შეივსო. გეგმით გათვალისწინებული 457 მილიონი ლარის ნაცვლად ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 395 მილიონი ლარი. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მთავრობის ექვსი თვის საქმიანობა არასაკმარისად შეაფასა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ხსოვნა

B2 კულტურა B3 რეკლამა B4 - B5 TV პროგრამა B6 - B7 სპორტი B8 სხვადასხვა

■ ■ ■

ბაქო. საქართველოს წარმომადგენელმა ზვიად იზორიამ 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულა დააგროვა და ბაქოში გამართულ ევროპის ჩემპინატზე ჭადრაკში ახალგაზრდებს შორის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა.

გოგონებს შორის ევროპის ჩემპიონი აზერბაიჯანელი ზეინაბ მამედიაროვა გახდა. აღსანიშნავია, რომ ტურნირში მოანაწილეობა 31 ვაჟმა და 27 გოგონამ მიიღო. ყველა მათგანი ევროპის 16 ქვეყანას წარმოადგენდა. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგები ერთთვიან ექსპედიციაში ყოფნისას აჭარაში არსებულ ვითარებას შეისწავლიან.

პროექტის "ბუნება და ადამიანი მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში" მიზანია მიგრაციის, ინოვაციის პროცესების, ეკოლოგიური პრობლემების და ყოფითი ვითარების შესწავლა.

პროექტს ხელმძღვანელობენ პროფესორი თამილა ცაგარეიშვილი და მარბურგსკის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი გოდულა კოზალი. კვლევები აჭარის მაღალმთიან რაიონებსაც მოიცავს. აღსანიშნავია, რომ თსუ-ს ეთნოგრაფიის კათედრამ უკვე ჩაატარა ანალოგიური კვლევები ხევსურეთში, ფშავში, გუდამაყარში, ხადაში, რაჭასა და კახეთში. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

ბაქო. აზერბაიჯანის ექს-პრეზიდენტი აიაზ მუტალიბოვი, რომელიც რუსეთში 1992 წლიდან ცხოვრობდა, ქვეყნიდან გაადევეს. როგორც აზერბაიჯანული პრესა იტყობინება, პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფი მუტალიბოვი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას აგრძელებდა და ანტიაზერბაიჯანულ პოლიტიკას ეწეოდა.

ჯერჯერობით უცნობია მიზეზები, თუ სად გააგრძელებს ცხოვრებას მუტალიბოვი. თუმცა, არ გამორიცხება ირანი, რომელმაც თავშესაფარი მისცა ხატაის რაიონის ყოფილ პროკურორს მახირ ჯავადოვს. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. გაერო-ს ყოველწლიურ მოხსენებაში ცხოვრების დონით საქართველოს 173 ქვეყნიდან 81-ე ადგილი უკავია.

ცხოვრების ხარისხის გათვლებისას მხედველობაში იყო მიღებული ისეთი პარამეტრები, როგორიცაა სიცოცხლის ხანგრძლივობა, განათლების დონე და შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე.

დსთ-ს ქვეყნებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ბელორუსს აქვს. მას - 56-ე ადგილი, რუსეთს - მე-60 ადგილი უკავია. სომხეთი ამ სიაში 76-ე, ყაზახეთი - 79-ე,. უკრაინა მე-80, თურქმენეთი 87-ე, აზერბაიჯანი - 88-ე, უზბეკეთი - 95-ე, ყირგიზეთი - 102-ე, მოლდოვა - 105-ე, ტაჯიკეთი - 112.

პირველ სამეულში შედის ნორვეგია, შვეცია და კანადა. გაერო-ს სიას აფრიკული ქვეყნების ოცეული ასრულებს, რომელთა შორის უკანასკნელი სიერა-ლეონეა. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. საქართველომ წლის პირველ კვარტალში მისაღები 15 მილიონი ლარის ოდენობის გრანტი ჰოლანდიიდან რამდენიმე დღის წინათ მიიღო, თუმცა, ეს დახმარება ფინანსთა სამინისტრომ ეროვნული ბანკიდან აღებული მოკლევადიანი კრედიტის დასაფარად გამოიყენა.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ვასილ გიგოლაშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში ქვეყანა ევროკავშირიდან სასურსათო უზრუნველყოფის 4 მილიონი ლარის ოდენობის გრანტსაც მიიღებს. გრანტის მიღებლობის შემთხვევაში სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროგრამების დაფინანსებას მაინც დაიწყებს; ამ მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტრო მილიონნახევარ ლარს მიიღებს.

უახლოეს ხანებში იგეგმება ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაში არსებული შეფერხებების დაფარვა.

„გარღვევას შევავსებთ და ჯანდაცვის პროგრამებისთვის 4.5 მილიონ ლარს გადავრიცხავთ", - თქვა გიგოლაშვილმა. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

თბილისი. სამუშაო ჯგუფები საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების ედუარდ შევარდნაძის და ვლადიმირ პუტინის შეხვედრას ამზადებენ.

ამ შეხვედრის კონკრეტული თარიღის დასახელება ჯერჯერობით შეუძლებელია, რადგან გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, კერძოდ, ორ ქვეყანას შორის "ჩარჩო" ხელშეკრულების მომზადების მიმდინარეობა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის თქმით, რუსეთთან "ჩარჩო" ხელშეკრულების გაფორმება პოზიტიურად აისახება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაზე. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

ერევანი.. სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტისა და მოსკოვის "ვნუკოვოს" აეროპორტის თანამშრომელთა ერთობლივი მოქმედებების შედეგად მარტიროს სარაიანის ერთ-ერთი ტილო სამშობლოში დაბრუნდა. სურათი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით მოსკოვში მიჰქონდა ერევან-მოსკოვის ავიარეისის მგზავრს მნაცაკან არტაშესიანს.

არტაშესიანს საბარგულში შენახული ჰონდა კიდევ 6 სურათი, რომლებიც ასევე ჩამოართვეს და სომხეთში დაბრუნეს. ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ მარტიროსიანის ძვირფასი ტილო შესრულებულია 1916 წელს, ხოლო დანარჩენი 6 სურათი ეკუთვნის რუს მხატვარს კარალოვს. მიმდინარეობს გამოძიება.

ბავრის საბაჟო პუნქტზე საქართველოში მიმავალი ავტობუსის სალონის დათვალიერებისას აღმოაჩინეს 20 ათასი აშშ დოლარი და 190 გრამი ოქროს სამკაულები. კონტრაბანდის მცდელობა აღკვეთილია. საქმის მასალები სომხეთის რესპუბლიკის პროკურატურას გადაეცა. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

პანკისი. "ხეობაში ვაჰაბიტური მეჩეთების მშენებლობა ადგილობრივი ქისტი მოსახლეობის დაუკითხავად ხორციელდებოდა და საზღვარგარეთიდან ფინანსდებოდა," - განაცხადა ქისტების უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ, "მოქალაქეთა კავშირის" პანკისის ხეობის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სულეიმან გუმაშვილმა. მისი ინფორმაციით, ჩეჩნურ სოფლებში რამდენიმე ვაჰაბიტური მეჩეთია აშენებული. მას მიაჩნია, რომ ხელისუფლებას ამ პროცესისთვის ხელი უნდა შეეშალა და ვაჰაბიტებისთვის მეჩეთების მშენებლობის უფლება არ უნდა მიეცა.

ჩეჩენი ლტოლვილების მოსვლით პანკისის ხეობაში მაჰმადიანობა განმტკიცდა. თუმცა, სულეიმან გუმაშვილი დარწმუნებულია, რომ ხეობიდან მათი წასვლის შემდეგ ქისტებში "ძველი წეს-ჩვეულება" აღდგება. მისი თქმით, ხეობაში კიდევ არიან დარჩენილი არაბები და თურქები, რომელთა მიზნები ადგილობრივი ქისტებისთვის უცნობია. ამასთან, "უცხო, შავი ფერის კანის მქონე" ადამიანები ხეობიდან უკვე გადიან და მათი რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

გროზნო. ჩეჩენი სეპარატისტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფების "ალ-ყაიდას" ბოევიკებთან და სხვა ექსტრემისტულ ისლამურ ორგანიზაციებთან - ამის შესახებ უცხოელ ჟურნალისტებს ჩეჩნეთის რეპუბლიკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ახმად კადიროვმა განუცხადა.

მისი განმარტებით, რესპუბლიკაში ტერორისტები ხვდებიან აზერბაიჯანიდან, საქართველოდან და დაღესტნიდან, ხოლო ფინანსურ მხარდაჭერას მათ უცხოეთის ქვეყნები უწევენ. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

ერევანი. სამცხე-ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას შორის დესტაბილიზაციის საფრთხე არსებობს, - განაცხადა სომხეთის პირველი პრეზიდენტის მრჩეველმა ჟირაირ ლიპარიტიანმა სომხეთისა და საქართველოს კონფლიქტში ჩათრევის შესაძლებლობაზე საუბრისას. მან აღიარა, რომ ორივე ქვეყანაში არსებობენ ძალები, რომლებიც რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციით არიან დაინტერესებულნი, თუმცა, დასძინა, რომ ისინი უმრავლესობას არ შეადგენენ. სომხეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველის თქმით, არსებული პრობლემების დასაძლევად ორივე ქვეყნის მთავრობებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ.

ლიპარიტიანმა გამოთქვა იმედი, რომ "საქართველოს ხელისუფლება, პრობლემის მთელ სიმძიმეს შეიგრძნობს და ყველაფერს გააკეთებს არა მხოლოდ სომხეთის, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით". მან ხაზი გაუსვა იმას, რომ კონფლიქტის წყარო მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეები არ არის. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. დები იშხნელების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ინიციატივით შემოდგომაზე იშხნელების საიუბილეო კონცერტი გაიმართება.

თამარ იშხნელის ქალიშვილის დარეჯან გორთამაშვილის თქმით, საიუბილეო კონცერტში იშხნელების ყველა შთამომავალი მიიღებს მონაწილეობს. ისინი იშხნელების რეპერტუარიდან შეასრულებენ სიმღერებს. კონცერტზე ნაჩვენები იქნება იშხნელებზე გადაღებული დოკუმენტური ფილმიც.

აღსანიშნავია, რომ სულ ახლახან დები იშხნელების ავტობიოგრაფიული წიგნი გამოიცა. წიგნს სახელწოდება - „მთვარის ჩრდილებში" რედაქტორმა გიორგი ლეონიძის ლექსის მიხედვით დაარქვა. ეს ლექსი გიორგი ლეონიძემ იშხნელებს მიუძღვნა. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

რუსთავი. რუსთავში წყლის ხარისხის განმსაზღვრელი ახალი ლაბორატორიების შექმნას ამერიკული პროგრამა დაუფინანსებს.

წყლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ქალაქის ხელმძღვანელობამ ადრევე დაიწყო. ხრამის სათავე ნაგებობაზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები და სართიჭალის პროექტის განხორციელება წყლის რაოდენობის გაზრდასთან ერთად, მისი ხარისხის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. ალკოჰოლური სასმელების "ტრიუმფის", "თბილისურის", "ბაგრატიონის" შეძენისას სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ, ვინაიდან ბაზარზე სარეალიზაციოდ ფალსიფიცირებული საქონელია შესული. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

თბილისი. პურის მწარმოებლები აცხადებენ, რომ აგვისტოდან საქართველოში პურზე ფასები გაიზრდება.

ამის შესახებ მეწარმეებმა პარლამენტში ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმების" წევრთან ვანო მერაბიშვილთან ერთად გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

მერაბიშვილის თქმით, მთავრობის ინიციატივით და პარლამენტის მიერ რამდენიმე კვირის წინ დამტკიცებული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებით, რომელიც 28 ივლისიდან ამოქმედდება, მანამდე არსებული გადასახადების ნაცვლად ერთიანი ფიქსირებული გადასახადი დაკანონდა, რის შედეგადაც 1000-მდე პურის საცხობი დაიხურება და დაახლოებით 6 000 ადამიანი უმუშევარი დარჩება.

საქართველოში რამდენიმე საცხობი დარჩება და, შესაძლოა, პურის ხარისხიც გაუარესდეს, - აღნიშნა მან.

დეპუტატის აზრით, საქართველოში ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება ლეგალური ბიზნესის წარმოება. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

გორი. შიდა ქართლის ანტიკორუფციულმა კავშირმა გორში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელების წინააღმდეგ დღეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

ანტიკორუფციული კავშირის წევრები გორისა და ცხინვალის უნივერსიტეტების რექტორებს გედევან ხელაიასა და ვიანორ ახალაიას არაკანონიერ ქმედებებში ადანაშაულებენ და მისაღებ გამოცდებზე ანტიკორუფციული კავშირის წარმომადგენელთა დასწრებას მოითხოვენ.

მისაღებ გამოცდებზე დასწრების თხოვნით ანტიკორუფციულმა კავშირმა ორივე უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობას გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მიმართა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. უარის საფუძვლად რექტორებმა კავშირის წევრებს მათ მიერვე შემუშავებულ დებულება დაუსახელეს, რომლის თანახმადაც მისაღებ გამოცდებზე დასწრება ყველა გარეშე პირს ეკრძალება. (ინტერ-პრესი)

პარლამენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ

"ყინული დაიძრა" ცესკო ბიულეტენების გადათვლას იწყებს

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

ფინანსთა სამინისტრო, როგორც ჩანს, გარკვეულ თანხას მაინც გამოყოფს. გუშინ ასე განუცხადეს "24 საათს" ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო განყოფილებაში. თუმცა, საპარლამენტო კომისია მაინც კატეგორიულია და აცხადებს, რომ ცესკო არ უნდა დაელოდოს მის ანგარიშზე თანხის გადარიცხვას, რადგან ამაზეც დრო დაიკარგება.

ერთი სიტყვით, გადათვლის პროცედურა მომავალი სამშაბათიდან დაიწყება. მას პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია არ დაესწრება. სამაგიეროდ, ცესკოს მიერ მინიჭებულ დამკვირვებლის სტატუსს, ალბათ, მედია და არასამთავრობო სექტორი გამოიყენებს. ძნელი სათქმელია, როდის დაასრულებს ამ პროცედურას თავად ცესკო, მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია, რომ, როგორც იტყვიან, "ყინული დაიძრა". ამაში, რაღა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი წვლილი პარლამენტს მიუძღვის.

გაზეთ "24 საათს" პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა:

ზაქარია ქუცნაშვილი

ბესო გულაბვილის ფოტო

"გადათვლის პროცესის შემაფერხებლად უსახსრობა არასაკმარის მიზეზად ჩათვალეთ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები საჯარო მოსამსახურეები არიან, ისინი იღებენ ხელფასს. ყველას შესანიშნავად მოეხსენება, რომ წელიწადის თორმეტივე თვეს საქართველოში არჩევნები არ იმართება. ამიტომ იმის თქმა, რომ მათ ზენორმატიული სამუშაოს ჩატარება უწევთ, სიმართლე არ არის. ამას გარდა, პროცედურის გაჭიანურების მიზეზად კონდიციონერების არქონის დასახელება არასერიოზულია. უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქცია, რასაც თბილისის საკრებულოს ყოფნა-არყოფნის საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა ეწოდება, არ უნდა შევაფერხოთ. ამიტომაც ჩვენ საკმაოდ პრინციპულად ვსვამთ საკითხს: ცესკომ უნდა დაიწყოს გადათვლის პროცესი.

შექმნილი სიტუაციის პოლიტიკურ ასპექტებზე საუბარი, შესაძლოა, ჩემსავე საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული, თუმცა, მე არ მოვერიდები ამის გაკეთებას. როგორც ჩანს, ამ პროცესის გაჭიანურებას არაერთი მიზეზი აქვს. პირველი – არსებული ვითარების შენარჩუნება და თბილისის დატოვება საკრებულოს გარეშე, დაძაბულობისათვის ხელის შეწყობა, რომელიც კულმინაციას სექტემბერ-ოქტომბერში მიაღწევს. ცესკოს პასიურობა ხელს შეუწყობს ამ პერიოდში საყოველთაო მღელვარების ტალღის აგორებას. მეორე – გადათვლისას შესაძლოა, მართლაც, სულ სხვა სურათი მივიღოთ, რითაც გამოჩნდება ცესკოს და ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციების არაპატიოსანი ქმედება. ამ ფონზე გულუბრყვილობაა კონდიციონერების მიზეზით დათვლის პროცედურის გაჭიანურება".

პარლამენტში უკვე ყველა აღიარებს, რომ საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირების და საქმიანობის წესის გადახედვა სასურველი და აუცილებელია. ქობულეთში შეკრებილმა პარლამენტის ბიურომ იურიდიულ კომიტეტს უკვე დაავალა საარჩევნო კოდექსის ახალ პროექტზე მუშაობის დაწყება. დავალება მიიღო საგამოძიებო კომისიამაც. საარჩევნო დარღვევების შესწავლის შემდეგ, მათ რეკომენდაციები უნდა წარადგინონ საარჩევნო, სისხლის სამართლისა და ადმინისტარციულ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად. ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს: **"აუცილებელია, რომ მოვახდინოთ საარჩევნო დარღვევების ფართო კრიმინალიზაცია."**

ორი დღის წინათ პარლამენტში ცენტრალური საარჩევნო კომისიის პასუხისმგებლობის საკითხის დასმაზეც ალაპარაკდნენ; თუმცა, არ არსებობს არც ერთი იურიდიული ნორმა, რომელიც კოლექტიურ ორგანოს ერთიან პასუხისმგებლობას დააკისრებს. ზაქარია ქუცნაშვილი კი აცხადებს:

"შევეცდები, რომ გამოიძებნოს იურიდიული გამოსავალი და ცესკოს ყველა წევრის თუ არა, მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი მაინც დავსვა. ვიცი, რომ ეს არ არის მარტივი საკითხი. არ მინდა, რომ წინასწარ გავშიფრო ჩემი მოქმედებები. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, გადათვლის პროცესი დაიწყოს. აუცილებელია, სექტემბერში ახალმა საკრებულომ ფუნქციონირება შეძლოს. როგორი იქნება გადაწყვეტილება, ამას გადათვლები გვაჩვენებს. პირველად მონაცემებს ეს შედეგები თუ არ დაემთხვევა, მაშინ საკრებულო სხვა შემადგენლობით დაიწყებს საქმიანობას. არის მესამე ვარიანტიც – თუ აღმოჩენილი დარღვევები თბილისის 400 უბნიდან ერთ მესამედში გაბათილდება, მაშინ, შესაძლოა, ხელახალი არჩევნების საკითხიც დადგეს. ამ სამი ვარიანტიდან ნებისმიერს ვემხრობი. მთავარია, მალე მივიღოთ სამართლებრივი შედეგი."

თბილისის საკრებულოს პარალიზების სუბიექტური მოტივები

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

მა გადაწყვეტილებამ, იუსტიციის მინისტრად დაენიშნა სააკაშვილი, ყველა შოკში ჩაგდო. ექსპერტები და თავად პოლიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ამით შევარდნაძეს მისი სხვა მინისტრებივით ჩაძირვა და პოლიტიკიდან მოშორება უნდოდა.

ასეთი ვარაუდის გამოთქმის რეალური საფუძველი კი მართლა იყო, რადგან მანამდე არ არსებობდა პრეზიდენტი, თანამდებობიდან გადაყენებული მინისტრი პოლიტიკაში სერიოზული ამბიციებით დაბრუნებულიყო.

სააკაშვილმა ამ ტრადიციის დარღვევა თავისი აქტიურობით და შესაშური პიარკამპანიით მოახერხა. იუსტიციის მინისტრობის პერიოდში ის არათუ ყველაზე პოპულარული მინისტრი, არამედ ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი გახდა.

ეს გამოცდილება კი, ბუნებრივია, შევარდნაძეს აფიქრებინებს, რომ საკრებულოში მოსვლის შემდეგ, სააკაშვილის პოპულარობა საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ შეიძლება გაიზარდოს, რაც პრეზიდენტის ინტერესებში ნამდვილად არ შედის.

სამაგიეროდ, შევარდნაძის ინტერესებში შედის, რომ ახალი საკრებულოს მუშაობის დაწყება, რაც შეიძლება, გააჭიანუროს, სააკაშვილი ქუჩის მარგინალურ ოპოზიციად და დესტაბილიზიაციის მსურველ საფრთხოზელად აქციოს დასავლეთის თვალში.

ის, რომ ახალი საკრებულოს ბედი აბსოლუტურად ბუნდოვანია, ამაში დიდი წვლილი თავად სააკაშვილს და მის თანაგუნდელებსაც მიუძღვით. ხმების ხელახალი გადათვლის მოთხოვნა, რომელსაც "ნაციონალური მოძრაობა" არჩევნების წინასწარი შედეგების გამოქვეყნებისთანავე ითხოვდა, ლოგიკურად უკავშირდებოდა, სულ მცირე, საკრებულოს მუშაობის გადავადებას მანამ, სანამ ხმების გადათვლა დასრულდებოდა.

სააკაშვილი თავს იმით იმართლებს, რომ, მიუხედავად გამარჯვებისა, არ დაუშვებდა გაყალბების ფაქტების მიჩქმალვას. თუმცა, გაყალბების ეს ფაქტები მისთვის მოულოდნელი და ახალი არ უნდა ყოფილიყო. არჩევნების გაყალბების მანქანა, ბუნებრივია, ისევე წარმატებით ამუშავდებოდა ამ ადგილობრივ არჩევნებზეც, როგორც წინა წლებში (თუმცა, მაშინ მიხეილ სააკაშვილი არჩევნების შედეგების გაპრროტესტების მაგივრად, პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან კახა თარგამაძეს მადლობას უხდიდა).

და მაინც, ალბათ, სააკაშვილს რომ არ მოეთხოვა ხმების ხელახლა გადათვლა, ეს პროცესი მაინც გაიჭიმებოდა. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა ის, რომ სარჩელი არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოში არა "ნაციონალურმა მოძრაობამ", არამედ "სახალხომ" შეიტანა.

სამაგიეროდ, დღეს ხელისუფლებას და სააკაშვილის ოპონენტებს სერიოზული არგუმენტი აქვთ "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ. ამ არგუმენტის გამოყენება და ახალი საკრებულოს პარალიზებაში სააკაშვილის დადანაშაულება მათ ნებისმერ დროს შეუძლიათ.

თვითონ სააკაშვილსაც კარგად ესმის, რომ შეცდომა, რომელიც დაუშვა, შეიძლება ძვირად დაუჯდეს, ამით აიხსნება მისი საპასუხო აქტიურობა - თავდასხმა უზენაეს სასამართლოზე და სტრასბურგში დაგეგმილი გამოსვლა.

უზენაეს სასამართლოს დადანაშაულება იმაში, რომ საკრებულოს მუშაობის დაწყებას ის ერთი წლით გააჭიანურებს, სააკაშვილის მხრიდან, პრინციპში, ახალი დამნაშავის და ხალხის უკმაყოფილების ახალი ობიექტის ძიების მცდელობაც არის.

ორი დღის წინათ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერის ბრალდების საპასუხოდ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ პრესკონფერენცია მოიწვია. ლადო ჭანტურიას განცხადებით, არ ყოფილა შემთხვევა, რომ უზენაეს სასამართლოს საარჩევნო დავების განხილვის ვადები დაერღვიოს და ეს არც ახლა მოხდება, რადგან საქმე საკრებულოს მუშაობის დაწყებას ეხება.

ატეხილი სკანდალის შემდეგ, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ უზენაესში საქმის განხილვა დიდხანს გაჭიანურდეს. თუმცა, საკრებულოს მუშაობის დაწყებამდე ჯერ კიდევ დროა. "სახალხო" პარტიას საკასაციო სარჩელის შესატანად წინ კიდევ ერთი თვე აქვს. თავის მხრივ, თავად სარჩელის განხილვა, მინიმუმ, კანონით დადგენილ ვადას მოითხოვს.

ასე რომ, საკრებულოს დროებით პარალიზება ნამდვილად მოხერხდა. გარდა ამისა, არავინ იცის, ბოლო მომენტში ისევ შესთავაზებს თუ არა შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილს საკრებულოს თავმჯდომარეობას.

აფხაზეთის ხელისუფლების ერთადერთი წარმომადგენელი სახალხო დიპლომატიის იდეით

ВЕРИКО ТЕВЗАДЗЕ

აფხაზეთის ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ***არჩილ ჭითავა*** *აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ერთადერთი ადამიანია, ვინც კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას ემხრობა. ჭითავამ ომის დამთავრებისთანავე დაიწყო იდეოლოგიური მუშაობა. იგი დღემდე პერიოდულად გადადის აფხაზეთში და ხვდება იქაურ ოჯახებს. არჩილ ჭითავამ და მისმა მხარდამჭერებმა (მათ შორის არიან მწერალი* ***გურამ ოდიშარია*** *და მესამე სექტორის წარმომადგენელი* ***ალუდა გამახარია****) ჩამოაყალიბეს სპეციალური სათათბირო. რამდენიმე დღის წინათ სათათბირომ მიიღო დეკლარაცია, რომელიც კატეგორიულად გმობს ომის პროპაგანდას.*

პრესკონფერენციაზე

იური ლოგოდინის ფოტო

სათათბიროს ასევე დაუშვებლად მიაჩნია, რომ კონფლიქტის დარეგულირების პროცესში დღემდე ჩართულნი არ არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები - მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ახალგაზრდობა...

"სათათბირო ხაზგასმით აცხადებს, რომ აფხაზეთში საომარმა მოქმედებებმა ტანჯვა-წამება მოუტანა ორივე მხარეს. ჩატეხილი ხიდის აღდგენას დიდი მოთმინება და ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. ვეყრდნობით რა იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილის საერთო განწყობას, მზად ვართ, მთელი ძალისხმევა მოვახმაროთ დაპირისპირებულ მხარეთა შორის ურთიერთგაგების და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას, შერიგებისა და აფხაზეთში მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელი წინაპირობების შექმნას... გვჯერა, რომ ქართველებს და აფხაზებს ეყოფათ სიბრძნე და სიმამაცე, რომ მომავალ თაობას, შვილებს და შვილიშვილებს არ დაუტოვონ გადასაწყვეტად ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემები."

არჩილ ჭითავა დევნილებში ავტორიტეტით სარგებლობს. იგი აფხაზ მოსახლეობასთანაც მშვენივრად ახერხებს საერთო ენის გამონახვას. ალბათ, იმის წყალობით, რომ ჭითავა ნახევრად აფხაზია. თუმცა, თავად ასე არ ფიქრობს, **"არა მხოლოდ ამიტომ,"** - დაუკონკრეტა მან "24 საათს".

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს, როგორი ურთიერთობა აქვს ჭითავას აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების პირველ პირებთან. ბატონმა ჭითავამ ჩვენთან საუბრისას კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები ცაავასთან გამწვავებული ურთიერთობის შესახებ - **"ჩვენ იდიალური ურთიერთობები გვაქვს."**

კულუარული ინფორმაციით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი არ სწყალობს არჩილ ჭითავას და ეს, ალბათ, იმის გამო ხდება, რომ ბევრი დევნილი ჭითავას ნადარეიშვილის ალტერნატივად აღიქვამს. **"თანამდებობას დიდ მნიშვნელობას არასოდეს ვანიჭებდი. ნადარეიშვილთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. მის კონკურენტად საკუთარ თავს არ აღვიქვამ. ამის შესახებ თავად დევნილებს ჰკითხეთ... ძირძველი სოხუმელი ვარ და ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მალე დავბრუნდე აფხაზეთში. ხელისუფლების სტრუქტურებს სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად შემოვრჩი, თორემ ჩემი საქმე ბიზნესია. საქართველოში ბიზნესი "უცხო ხილად" რომ ითვლებოდა, შუაგულ ევროპაში საკუთარი კომპანია მქონდა. აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ ისევ ბიზნესს მივხედავ."**

აფხაზეთში დაბრუნება კი ჭითავას აფხაზებისა და ქართველების შერიგების გარეშე წარმუდგენლად მიაჩნია. არჩილ ჭითავა იმედოვნებს, რომ საზოგადოების (განსაკუთრებით, მასმედიის) მხარდაჭერით სახალხო დიპლომატიის იდეას საქმედ აქცევს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე. ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია. სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი. სამართალი-ნიკოლოზ რურუა. სტილი-ბიძინა მაყაშვილი. მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

„უცნობი„ ბიზნესმენები - ნაცნობ პოლიტიკოსებთან

"გაერთიანებული მრეწველები" - "გაერთიანებულ დემოკრატებთან"...

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

დემოკრატები და ბიზნესმენები

ლევან ხარბეულიძის ფოტოები

ვინც აშენებს სახლს ან უკვეთავს სარემონტო სამუშაოებს, ვინც დადის სუპერმარკეტში ან... მოკლედ, გუშინ "გაერთიანებულ დემოკრატებს" მცირე ბიზნესის წარმომადგენლები შეხვდნენ და ლობირება სთხოვეს.

ბოლო წლების მანძილზე ქართული პოლიტიკური რეალობა ამ მოვლენის აბსოლუტურად საპირისპირო მიმართულებით ვითარდებოდა.

ბოლო წლების მანძილზე საქართველოში მსხვილ-მსხვილმა ბიზნესმენებმა, რომლებიც მანამდე პოლიტიკური ძალების დაფინანსებით შემოიფარგლებოდნენ ხოლმე, თავად იწყეს პოლიტიკაში მოსვლა და ფულის საკუთარი პოლიტიკური იმიჯის შესაქმნელად ხარჯვა.

ბოლო წლებში, და საერთოდაც, მცირე და საშუალო ბიზნესი ყოველთვის გახლდათ ის ნიშა, საიდან გამოსული ადამიანების უმეტესობა პოლიტიკურ ძალებთან ერთ დარბაზში და ერთ მაგიდაზე ვერ ხვდებოდა. იქ მათი ადგილი უკვე დაკავებული გახლდათ.

გუშინ "მეტეხში" შეკრებილ მეწარმეთა თავყრილობამ "გაერთიანებული მრეწველების" შექმნის იდეა გაახმოვანა და დიდი ყრილობის მოსაწვევად მზადება დაიწყო.

ყრილობა, სავარაუდოდ, საშემოდგომოდ გაიმართება. მანამდე კი მრეწველთა ჯგუფი "გაერთიანებული დემოკრატების" ექსმინისტრულ შემადგენლობასთან - მაჭავარიანთან და ნოღაიდელთან ერთად, იმ საგადასახადო ცვლილებებზე იმუშავებს, რომლებიც, "დემოკრატთა" პირობის მიხედვით, პარლამენტს შემოდგომაზე წარედგინება. თავისთავად ცხადია, რომ მასში საგადასახადო ლიბერალიზაციის ელემენტები უნდა იყოს გათვალისწინებული. ცხადია ისიც, რომ "დემოკრატთა" ინიციატივა პარლამენტში დღეს იოლად ვერ გავა. დღეს პარლამენტში უკვე სხვა რეალობაა.

ამიტომ, ალბათ საკმაოდ ლოგიკურად ჩნდება კითხვა - რატომ მაინცადამაინც ჟვანია და მისი გუნდი? რატომ შეირჩა ეს ერთი ფრაქცია სხვა მრავალიდან პარლამენტში? რატომ მიაკითხეს მაინცადამაინც მათ მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა? "24 საათმა" გაერთიანების ინიციატორთაგან ამ კითხვებზე თითქმის ერთგვაროვანი პასუხი მიიღო.

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, "ოქროს საწმისი"-ს გენერალური დირექტორი მარინა შენგელია მოკლედ განმარტავს: **"ძლიერი საშუალო ფენის ჩამოყალიბება - ჩვენი და ჟვანიას ის საერთო მიზანია, რომლის თანხვედრაც არჩევანის დროს გადამწყვეტი იყო".**

"კავკაზუს თრეველის" წარმომადგენელი საბა კიკნაძე "დემოკრატებზე" აქცენტის გაკეთებას მათი წარსული მცდელობებით ხსნის: **"ისინი თვლიან, რომ მომავალი საზოგადოება უნდა აშენდეს საშუალო ფენაზე დაყრდნობით. ჩემთვის ცნობილია, რომ ამ ხალხს მცდელობა ჰქონდა, მიეღწია ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის დაკანონებისთვის, მიეღწია ნორმალური ქვეყნის მშენებლობისთვის. ბევრი რამ ვერ მოახერხეს... რატომ ვერ მოახერხეს, მათ უნდა ჰკითხოთ, თუმცა, მცდელობა აშკარად ჰქონდათ."**

"ჩვენი ორგანიზაცია, თავისი მიზნებით, ყველაზე ახლოსაა "გაერთიანებული დემოკრატების" პროგრამულ მიზნებთან. მთავარია, რომ მათ სურვილი აქვთ. შესაძლებელია, არ ჰყავდეთ დიდი წარმომადგენლობა პარლამენტში, მაგრამ სჯობს, ამ შემადგენლობით შენს გვერდზე იყვნენ, ვიდრე დიდი ძალა იყოს და შენზე არ დარდობდეს." - აცხადებს იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვაჟა კილაძე.

თავად ზურაბ ჟვანიაც მასზე და მის პარტიაზე გაკეთებულ არჩევანს "დემოკრატების" პროგრამული არჩევანით ხსნის: **"მე ძალიან მადლობელი ვარ, რომ, მიუხედავად იმ არაერთი შეცდომისა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს დავუშვით, ამ ადამიანებმა დაიჯერეს ჩვენი გულწრფელი სურვილი - ჩვენთვის საქართველოში საშუალო კლასის ჩამოყალიბება მართლაც პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი ქვეყნის სტაბილური მომავალი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი პოლიციელი ეყოლება ქვეყანას. მომავალი უნდა იყოს დამოკიდებელი იმაზე, თუ რამდენი საშუალო რანგის, ძლიერი, სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მრეწველი ეყოლება ქვეყანას".**

"პასტუხოვი არასერიოზულ არგუმენტებს დასჯერდა"

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

- პასტუხოვმა "პრეზიდენტოტელში" გამართულ ბრიფინგზე ჩვენი გაზეთის შეკითხვას კონკრეტული პასუხი გასცა, რომ "ბოდენის გეგმის მიუღებლობით აფხაზეთის ხელისუფლება აბსოლუტურად არასწორად იქცევა". ქართული მხარისათვის ეს პრინციპული ფრაზა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა "უყურადღებოდ დატოვეს" და არცერთმა სააგენტომ არ გამოაქვეყნა. როგორ ფიქრობთ, შემთხვევით მოხდა ასე?

- ჩავთვალოთ, რომ თქვენს რუს კოლეგებს ეს ფაქტი "გამოეპარათ". თუმცა, არა მგონია, მათ პასტუხოვის ეს ფრაზა გამორჩენოდათ. საერთოდ, პასტუხოვი იმ ბრიფინგზე თავისი საუკეთესო სახით არ წარდგა. მისი არგუმენტები სასაცილოდაც ჟღერდა.

- მხედველობაში გაქვთ პასტუხოვის განცხადება იმაზე, რომ "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პასპორტიზაცია ამ რეგიონების რუსეთისათვის მიერთებას არ ნიშნავს?"

- რუსმა დიპლომატმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური აღმავლობის პერსპექტივა აბსოლუტურად მცდარად დააკავშირა იქ რუსეთის პასპორტების დარიგების ტენდენციასთან .ამიტომ მისი არგუმენტები იმდენად არასერიოზული გახლდათ, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბორის პასტუხოვს, როგორც ჩანს, სხვა აღარაფერი დარჩა სათქმელი. მან მცდარად დაასაბუთა რეგიონის პასპორტიზაციის მიზეზებიც. თუკი რუსეთის მოსაზღვრე ამ ორი რეგიონის პასპორტიზაცია იქ მძიმე ეკონომიკური ვითარებით აიხსნება, მაშინ დაეხმაროს რუსეთი იგივე პანკისის რეგიონს, იქაც საკმაოდ მძიმე ვითარებაა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც ჩანს, პასტუხოვი არგუმენტებს დაეძებს, ვერ უპოვია და ამიტომ იძულებულია, ალოგიკურად ილაპარაკოს.

- რუსმა დიპლომატმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში შერბილებული სავიზო რეჟიმი იმით ახსნა, რომ დღეს სოჭსა და ადლერში რუსეთის ბევრი მოქალაქე მუშაობს და მათზე დარდი რუსეთს არ ასვენებს.

- ესეც დაუსაბუთებელი და სუსტი განმარტებაა. კრასნოდარის რეგიონშიც რუსეთის ბევრი არამოქალაქე ცხოვრობს. რატომ მათ არ აძლევენ რუსეთის მოქალაქეობას? ქართული მხარე ასეთ არასერიოზულ არგუმენტებს ვერასოდეს გაიზიარებს და ვერასოდეს შეურიგდება არსებულ რეალობას.

- ნუთუ ქართულ მხარეს რაუნდის დროს არ მიეცა საშუალება, ამ საკითხზე რაიმე სახით პროტესტი გამოეხატა?

- რაუნდის ფორმატი არ ითვალისწინებდა ამ პრობლემატიკაზე შეჩერებას და, ბუნებრივია, ამ საკითხებზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი. ეს საკითხები რაუნდის დასრულების შემდეგ ბრიფინგზე ჟურნალისტებმა წამოჭრეს მხოლოდ. რა თქმა უნდა, ჩვენი რეაქცია უაღრესად მწვავე იყო.

"24 საათი": იქნებ მაინც კეთილშობილურ მიზნებს ისახავს რუსეთი მოსაზღვრე რეგიონების ეკონომიკური აღმავლობის გზაზე? ლოშჩინინი, მაგალითად, ბოლო დროს სულ ენგურჰესის რეკონსტრუქციაზე ლაპარაკობს...

თეიმურაზ გამცემლიძე: ხომ არ სჯობია, რუსეთმა საკუთარ ეკონომიკას მიხედოს ?

საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში ქურდებმა ტელევიზორისა და ვიდეოს გარეშე დატოვეს

ზაზა წულაძე

საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში, რომელიც ვაშინგტონში, ნიუ-ჰემპშირ ავენიუზე, 1615-ე ნომერში მდებარეობს, ბოლო ორი წლის მანძილზე უკვე მეორედ გაიქურდა. საოცარია, მაგრამ ქურდებმა ორივე შემთხვევაში საელჩოდან მხოლოდ ტელევიზორი და ვიდეო წაიღეს. ორივე საქმე გაუხსნელია. გამოძიებას ვაშინგტონის პოლიცია და საიდუმლო სამსახური აწარმოებენ.

"საელჩოს გაქურდვის ფაქტი დილით სამსახურში მისულებმა აღმოვაჩინეთ. საკონფერენციო დარბაზიდან წაღებული იყო ტელევიზორი და ვიდეო. უცნაურია, მაგრამ შარშანაც, როცა პირველად გაგვქურდეს, ქურდებმა ასევე ტელევიზორი და ვიდეო გააყოლეს ხელს. ეს ფაქტი მაშინვე შევატყობინეთ პოლიციას. გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ რაიმე სასიკეთო ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ ჩანს," – გვაცნობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს უფროსმა მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში, დავით სუმბაძემ, რომელსაც გუშინ ვაშინგტონში დავუკავშირდით.

ჯერჯერობით დაუდგენელი ქურდები ნიუ-ჰემპშირ ავენიუზე, 1615-ე ნომერში მდებარე ხუთსართულიან შენობაში გასულ ხუთშაბათს, გვიან ღამით შესულან. საქართველოს საელჩო ამ შენობის მეხუთე სართულზეა განთავსებული და თორმეტი ოთახი უჭირავს. პირველ სართულზე კერძო ინსტიტუტი მდებარეობს, მეორე სართული ერთ-ერთ ფირმას აქვს იჯარით აღებული, მეოთხე სართულზე კი ამერიკის შეერთებულ შტატებში პაპუა-ახალი გვინეის საელჩოა განთავსებული.

"საელჩოს, როგორც ასეთი, კერძო დაცვა არ ჰყავს. შენობაში შევდივართ სპეციალური საშვების მეშვეობით. უცნაურია, საელჩოში კომპიუტერებიც დგას, ქსეროქსიც, ტელეფონებიც, მაგრამ მხოლოდ ტელევიზორი და ვიდეო მიაქვთ, ისიც საკმაოდ ძველი და არცთუ ისე ძვირადღირებული. პოლიცია საელჩოს ყველა თანამშრომელს გაესაუბრა. იმედი მაქვს, რომ რაიმე გაირკვევა. საელჩოს ორჯერ გაქურდვა ძალიან სერიოზული მოვლენაა," – გვითხრა დავით სუმბაძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩო კატეგორიულად უარყოფენ, რომ ვაშინგტონში, საელჩოს შენობიდან დაიკარგა დოკუმენტები და კომპიუტერის დისკეტები, სადაც კონფიდენციალური ინფორმაცია იყო მოთავსებული. **"მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება. კომპიუტერებიდან კონფიდენციალურ ინფორმაციას სპეციალური პაროლის გარეშე ვერ ამოიღებ, ხოლო საიდუმლო სახის დოკუმენტაცია სეიფებში გვაქვს ჩაკეტილი. ტელევიზორის და ვიდეოს გარდა, არაფერი მოუპარავთ,"** – ამბობს სუმბაძე. ამავეს იმეორებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი კახა სიხარულიძე. **"მე ვეუბრე ჩვენი საელჩოს წარმომადგენელს ვაშინგტონში, მან დამარწმუნა, რომ არანაირი დოკუმენტაცია საელჩოდან არ დაკარგულა. თბილისში გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს საელჩოდან დაიკარგა საზღვარგარეთის პასპორტები და ამის გამო გამოძიებაში ამერიკის საიდუმლო სამსახური ჩაერთო, სინამდვილეს არ შეესაბამება,"** – გვითხრა კახა სიხარულიძემ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში დავით სუმბაძე ამბობს, რომ **"ახლა ძალიან ძნელია, ეჭვი ვინმეზე მიიტანო."** საელჩოს თორმეტი თანამშრომელი ჯერჯერობით ტელევიზორისა და ვიდეოს გარეშე აგრძელებს მუშაობას.

„საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ვიტყვით!„ - იმუქრებიან მრავალშვილიანი დედები

ვერიკო თევზაძე

"ჩემო კარგებო, ჩემო საყვარლებო, ჩემო კეთილო თბილისელებო!" – ყოველ წინადადებას ამგვარი თბილი სიტყვებით იწყებდა ნიკა მაზანაშვილი და სწორადაც იქცეოდა, ვინაიდან იგი ზომაზე მეტად განრისხებულ მანდილოსანთა წრეში იყო მოქცეული და თავის დაღწევის ვერანაირ საშუალებას ვერ ხედავდა. ვინ იცის, იქნებ იმ წუთებში სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გულში თბილისის ვიცე-მერსაც კი ლანძღავდა.

მრავალშვილიანი დედების პროტესტი

იური ლოგოდინის ფოტო

"მუხრან მდივანი გვემალება, კაცური სიტყვა მოგვცა, რომ დღეს, დილის 10 საათზე შეგვხვდებოდა და მოგვატყუა. წინა კვირაში მდივანი დაგვპირდა, რომ ერთჯერად დახმარებებს დაგვირიგებდნენ და ამის შემდეგ გავემგზავრებოდით დასასვენებლად. თუ მომავალშიც ასე მოგვატყუეს და დაგვამცირეს, მრავალშვილიანი დედები უარს ვიტყვით საქართველოს მოქალაქეობაზე", - აღშფოთებას ვერ მალავდნენ გუშინ მერიის წინ მუხრან მდივანთან შესახვედრად შეკრებილი ქალბატონები, რომლებმაც პროტესტის ნიშნად იქვე აქცია მოაწყვეს.

ცუდ დღეში იყო ჩავარდნილი ნიკა მაზანაშვილი, რომელიც, როგორც სიტუაციიდან ირკვეოდა, მრავალშვილიან დედებს მუხრან მდივანმა შეაჩეჩა ხელში. მაზანაშვილს ყველა კითხვაზე უხდებოდა პასუხის გაცემა. გაწბილებული და გამწარებული დედები კი, მაზანაშვილთან "ინტერვიუს ჩამორთმევის" პარალელურად, ყვიროდნენ, ჩხუბობდნენ, იმუქრებოდნენ.

ერთჯერადი დახმარების გაუცემლობის გარდა, მრავალშვილიანების უკმაყოფილების მიზეზი გახდა ის, რომ მათ, ზღვისპირა სოფლის – შეკვეთილის ნაცვლად, საგზურები ცხვარიჭამიაში მისცეს. ნიკა მაზანაშვილმა "გამოსავალი" მოძებნა - ამ დღეებში შეკვეთილში რამდენიმე ბავშვი მოიწამლა სასმელი წყლით და შევშინდითო. **"ცხვარიჭამიაში რომ არ მოვიწამლებით, ამის გარანტიას ვინ გვაძლევს?"** - პოზიციებს არ თმობდნენ დედები.

ქალბატონების ინფორმაციით, მათთვის ცხვარიჭამიაში უბადრუკი ბარაკები გამოძებნეს. მაზანაშვილი კი ირწმუნება, რომ მრავალშვილიანთა ოჯახები კეთილმოწყობილ კორპუსებში იცხოვრებენ. როცა ოთახების ფართის სიმცირეზე ჩამოვარდა სიტყვა, მაზანაშვილმა აქციის მონაწილეებს ურჩია: **"21 წლის შვილები სახლებში დატოვეთ და მხოლოდ მცირეწლოვნები დაასვენეთ..."** რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ქალბატონებმა ხმას საეჭვოდ აუწიეს, ნიკა მაზანაშვილმა დაიყვირა: **"წაიყვანეთ ცხვარიჭამიაში თქენი 21 წლის შვილები."**

ზოგიერთი ბორჯომში, რამოდენიმე დედა კი ურეკში გამგზავრებას მოითხოვდა, ვინაიდან თავიანთი შვილები, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იქაურ ქვიშას საჭიროებენ. **"ურეკში ყველა სასტუმრო დაკავებულია, ბორჯომი ლტოლვილებითაა სავსე, რითიც შეგვიძლია, იმით გეხმარებით, ჩემო კარგებო, ჩემო კეთილო თბილისელებო"**, - იშვიათ მოთმინებას იჩენდა მაზანაშვილი.

უკმაყოფილო დედები ბოლოს დაიშალნენ, თუმცა, ისინი ბოლომდე აპირებენ სიტუაციის გაკონტროლებას. ქალბატონები ეჭვობენ, რომ მათ თავიანთმა ლიდერმა, ლია მირიანაშვილმა უღალატა და მერიას შეეკრა. **"თუ მირიანაშვილი ზღვაზე დაისვენებს, სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთ"**, - იმუქრებიან ქალბატონები.

"ოზურგეთი

ვის და როდის მოუხმობს პარტია?

ანუ შეივსება თუ არა პოლიტიკური სივრცის ღიობები...

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთი

ოზურგეთში პოლიტიკური პარტიები ცხოვრების დინებას მიჰყვებიან. ისინი საბოლოოდ მოექცნენ იმ კალაპოტში, რომლისკენაც, როგორც ახლა უკვე მკაფიოდ ჩანს, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ისწრაფოდნენ. ზოგიერთმა ძალამ წარმატებით შეძლო მათი თითო-ოროლა წარმომადგენლის სახელისუფლებო სტრუქტურებში დანერგვა და ამით პოლიტიკურ ამბიციებდაკმაყოფილებული, ანუ პატივცემული შეიქნა. ამ ცოტა ხნის წინ, "მოქალაქეთა კავშირის" უპირობო ჰეგემონიის დროს, თანამდებობაზე ოპოზიციონერის გამოჩენა თეთრ ყვავთან ასოცირდებოდა, რადგან ადგილობრივი ჩინოვნიკური იერარქიის საფეხურზე, ძირითადად, "მოქალაქეთა კავშირის" რიგებში დაფრთიანებული, ძველი კომკავშირლებისა არ იყოს, ვითომ მართვის თანდაყოლილი ჩინოვნიკური ნიჭითა და პარტიაში შეძენილი უნარ-ჩვევებით გამორჩეულნი, ამაღლდებოდნენ ხოლმე; ახლა კი ემანსიპაციის პერიოდი მიმდინარეობს, თურმე შესაძლებელია, "მოქალაქეთა კავშირის" ან მისი წანამატის ნაფიცი წევრი არ იყო, მაგრამ ჰალსტუხიც შეიშნო და კონდიცირებული კაბინეტიც. რაც შეეხება არჩევით ორგანოებს, მათი სიტკბო ოპოზიციონერებმა ადრეც დააგემოვნეს.

კიდევ ერთი მომენტია ნიშანდობლივი — პოლიტიკური საქმიანობა დასცილდა სოციალური დემაგოგიის ფარგლებს. ოზურგეთის სინამდვილეში არც ერთი პარტია არ წუხს (გარდა "მოქალაქეთა კავშირისა," რომელიც ყოველთვის ვალდებულად თვლიდა თავს, ხალხის ინტერესების დამცველის სტატუსი ჰქონოდა) მოსახლეობის გადაუწყვეტელ ყოფით პრობლემებზე, რაც ადრე პარტიის პოლიტიკის წარმართვის ქვაკუთხედი იყო და, არცთუ იშვიათად, რადიკალური მოთხოვნების ქვემდებარე აქციების ინიციატივას შობდა. ლიდერები და ცალკეული აქტივისტები წარბშეჭმუხვნით მიუთითებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს ამა თუ იმ უსამართლობაზე, მოუგვარებელ პრობლემაზე და ა. შ. ხელისუფლებაც აფაფხურდებოდა ოპოზიციისათვის თვალში ნაცრის შესაყრელად, რადგან იმ ავადსახსენებელი პრობლემის გადაჭრის თავი არ ჰქონდა, თორემ სულაც არ სჭირდებოდა ოპოზიციის შეფუცხუნება. ადრე პენსიონერთა თუ პედაგოგთა საპროტესტო აქციების უკან, არცთუ იშვიათად, ამა თუ იმ პარტიისა თუ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის აჩრდილი აილანდებოდა, ახლა კი... ახლა განაწყენებულთა და განდგომილთა ჯგუფები თავის იმედად დარჩნენ - მათ აღარავინ თანაუგრძნობს, რადგან აღარ არის თანაგრძნობის მამოძრავებელი იმპულსი - ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრება.

ოზურგეთის რაიონის პოლიტიკურ სივრცეში ცარიელი ადგილების გაჩენა, გარკვეულწილად, იმანაც განაპირობა, რომ აქ, ჯერჯერობით, შედარებით ძველი (ლეიბორისტების) და შედარებით ახალი ("ნაციონალების") რადიკალური ძალები სადღეისოდ, ფაქტობრივად, საერთოდ არ არსებობენ და მათ რაიმე გავლენაზე საუბარი შეუძლებელია. ანალოგიურის თქმა შეიძლება "მოქალაქეთა" წიაღში აღმოცენებული "განახლებული დემოკრატების" შესახებაც. წინასწარი ხმები ამ ორგანიზაციის დანაყოფის ოზურგეთში დაფუძნების თაობაზე, მართალია, გაზვიადებული არ არის, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალურადაც არ გაცხადებულა. იგივე ითქმის "გაუდემოკრატებელ" "მოქალაქეთა კავშირის" ნარჩენზე, რომელიც ჯერჯერობით ასევე ჩრდილში იმყოფება, მაგრამ არცთუ შორეულ მომავალში, წევრთა თვალსაზრისით, რიცხვმრავალი გახდება, რადგან ეს არის ჯორბენაძის პლატფორმაზე მდგომი პარტია და, რაც მთავარია, პლატფორმის მეპატრონე საქართველოს პრეზიდენტია. გურულებს კი ისეთი ნდობა აქვთ თავიანთი კუთხის შვილისა, რომ, ღმერთმა დაგვიფაროს და, უფსკრულშიც ხალისით გადაჰყვებიან.

"მრეწველები" და "ახალი მემარჯვენეები" მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აქტიურობდნენ და საკმაოდ სოლიდურ შედეგებსაც მიაღწიეს, მაგრამ ეს იყო "მოქალაქეთა კავშირის" არყოფნის ხანა და ამდენად მათი წარმატებებიც ძირითადად ამ ფაქტორმა განაპირობა. მათ ეფექტურად აითვისეს მოქალაქეთა კავშირის მიერ გამოცარიელებული სივრცე და იქ დამკვიდრდნენ, თუმცა, სავარაუდოა, მცირე ხნით, რადგან "მოქალაქეებმა" სტრატეგიული თუ იძულებითი უკანდახევის პერიოდი განვლეს და ახლა ელოდებიან, როდის მოუხმობთ პარტია.

ზაფხულია, პოლიტიკისთვის მკვდარი სეზონი, მაგრამ გარკვეული გათვლების გაკეთება მაინც შეიძლება. ახლა ყოველი პოლიტიკური ძალის თითოეული ნაბიჯი მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების ჭრილში იქნება გადადგმული. პოზიციამომაგრებული პოლიტიკური ძალები მოინდომებენ, კიდევ უფრო მკვიდრად გაიდგან ფესვები, ახლები გარკვეული პლაცდარმების მოპოვებას შეეცდებიან, მაგრამ ძველ-ძველი და წვრილ-წვრილი, თან მუდამ ამბიციური პარტიები დიდი და საიმედო მოკავშირეების ძებნას დაიწყებენ - როგორც წესი, ეს კავშირები, ალბათ, ისევ და ისევ თვალს მოფარებული იქნება. ასეთი ტაქტიკით ისინი კიდევ ერთ არჩევნებამდე გაიხანგრძლივებენ გაუფერულებულ ცხოვრებას.

ოზურგეთის ახლო წარსულის პოლიტიკური ისტორიიდან გამომდინარე, ერთი რამ ცხადია: არჩევნებში ბედი (ე.ი. ხალხი) მას გაუღიმებს, ვისაც ადგილობრივი და ზე ხელისუფლების მხარდაჭერა ექნება, ასევე, იმ პოლიტიკური ძალის თანადგომა, რომელიც აქ კონკურენციის გარეშე იგებდა ყველა არჩევნებს. სილუეტი მომავალი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისა უკვე გამოჩნდა – იგი, ალბათ, ერთ-ერთი "ახალი გურული" იქნება: ისინი ხომ, როგორც წესი, მშობლიური რაიონს სხვებისათვის ვერ იმეტებენ.

„თბილგაზის„ „იტერასთვის„ გადაცემა წინასწარ იყო დაგეგმილი

სოფიკო ოხანაშვილი

თბილისის საკრებულოს ფრაქციის - "თბილისის" - თავმჯდომარე დავით ხუციშვილი ქონების მართვისა და ენერგეტიკის მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. **"უნდა დადგეს იმ ადამიანთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც "თბილგაზი" ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. პირველ რიგში, ქონების მართვის მინისტრს, სოლომონ პავლიაშვილისა და ენერგეტიკის მინისტრს, დავით მირცხულავას უნდა მოეთხოვოს პასუხი",** - განაცხადა მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. ხუციშვილმა აბსურდული უწოდა ჯერ სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძისა და შემდეგ უკვე ქონების მართვის მინისტრის, სოლომონ პავლიაშვილის მიერ "ტაჰალთან" მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზად ამ კომპანიის ფინანსური პრობლემების დასახელებას. **"ჩემი აზრით, პრეზიდენტს იმ დღესვე უნდა მოეხსნა ქონების მართვის მინისტრი, როცა მან აბსოლუტურად აბსურდული განცხადება გააკეთა, რომ თურმე "ტაჰალი" უარს იმიტომ ამბობს, რომ მას ფინანსური პრობლემები შეექმნა",** - განაცხადა დავით ხუციშვილმა.

"თბილგაზის" "იტერა ინთერნეიშენელის" მმართველობაში გადასვლის შესაძლებლობამ საკრებულოს ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარის აღშფოთება გამოიწვია. ხუციშვილმა "ტაჰალის", როგორც ინვესტორის, შემოსვლასთან დაკავშირებით ერთი წლის განმავლობაში წარმოებულ პროცედურას "გათამაშებული სპექტაკლი" უწოდა. ამ სპექტაკლის ავტორად კი მთავრობა დაასახელა. **"რასაც ჩვენი ხელისუფლება ერთი წლის განმავლობაში აკეთებდა, ეს აფიორა იყო და მეტი არაფერი. "ტაჰალი" შემოგდებული ინვესტორია. ის ან ბრმად, ან ნებით მონაწილეობდა ამ სპექტაკლში. "ტაჰალი" დროის გასაწელად და მოსახლეობისთვის თვალის ასახვევად გამოიყენეს. "თბილგაზის" "იტერასთვის" გადაცემა წინასწარ იყო დაგეგმილი",** - აღშფოთება ვერ დამალა ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარემ.

დავით ხუციშვილმა "სპექტაკლად" მონათლა ერთობლივი საწარმოს შექმნის ფაქტიც. მისი თქმით, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს "იტერას" შემოსვლას და დამკვიდრებას არა მარტო "თბილგაზში", არამედ საქართველოს სხვა კომპანიებშიც, ამის დასადასტურებლად ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარემ "იტერას" ხელმძღვანელის, იგორ მაკაროვის წინადადება მოიხსენია, რომლის თანახმადაც მან ქართულ მხარეს, 20 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, ქიმიური მრეწველობის საწარმო "აზოტი" მოსთხოვა.

დავით ხუციშვილი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე "თბილგაზის" პრივატიზების წინააღმდეგია. იგი არგუმენტად იმას ასახელებს, რომ საქართველოს გააჩნია იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ მოახერხოს "თბილგაზის" რეაბილიტაცია და ზამთარში მოსახლეობისთვის გაზის მიწოდება უზრუნველჰყოს. მისი თქმით, არსებობს პროგრამა, რომელიც გაზის სექტორში არსებული პრობლემების მოგვარებას შეძლებს. ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარის ინფორმაციით, ამ პროექტის განხორციელებას 40 მილიონი ლარი სჭირდება. თანაც ეს თანხა სამ წელზეა გათვლილი. დავით ხუციშვილის აზრით, სახელმწიფო ბიუჯეტში ამისთვის თანხები მოიძებნება. **"სახელმწიფოს გააჩნია იმის პოტენციური შესაძლებლობა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტი საკუთრებაში შეინარჩუნოს და ინვესტორებს არ ჩაუგდოს ხელში,"** – აღნიშნა დავით ხუციშვილმა. თუმცა, იქვე დაუმატა, რომ **"ხელისუფლებას ერთი სული აქვს, როდის გაყიდის "თბილგაზს."** ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარე არსებული მდგომარეობიდან გამოსავალს იმაში ხედავს, რომ მთავრობამ უნდა განიხილოს ალტერნატიული წინადადება. **"ინვესტორზე ფიქრი მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაიწყონ, როცა საკუთარი ძალები ამოეწურებათ",** - განაცხადა დავით ხუციშვილმა. იგი აპირებს, "თბილგაზის" პრივატიზების ალტერნატიული პროექტი პარლამენტს განსახილველად უახლოეს დროში წარუდგინოს.

„ეი-ი-ესი" მთავრობას ზამთრის სამზადისს ჩაუშლის

ამერიკელები "ეი-ი-ეს მტკვარის" თანამშრომელთა გაუცემელ ხელფასებზე ქართულად აწუწუნდნენ

პირველი გვერდიდან

ამასობაში კი შეღავათები გაუუქმდა "ეი-ი-ესის" კიდევ ერთ შვილობილ კომპანია "ეი-ი-ეს თელასს", რომელთა მიღებაც შარშან ოქტომბერში მისი საქართველოში დარჩენის წინაპირობად იქცა. ამ შეღავათების ამოქმედებამდე "ეი-ი-ეს თელასმა" 16 მილიონი ლარის ზარალი განიცადა. მაშინ მან ზარალის ასანაზღაურებლად ტარიფის მომატება განიზრახა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ "ეი-ი-ესი" არც საქართველოდან წასულიყო და ეს გადაწყვეტილებაც შეეცვალა. ყოველივე ამის საკომპენსაციოდ კი საგადასახადო შეღავათები დაუწესა. შედეგად, "ეი-ი-ესს" საშუალება მიეცა, დამატებითი ღირებულების გადასახადი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან მიღებული რაოდენობიდან კი არა, გაყიდული რაოდენობიდან გადაეხადა. **"მაგრამ სულ რაღაც ხუთ თვეში ეს შეღავათები პარლამენტმა ისე მალულად და მოულოდნელად გააუქმა, რომ ჩვენ ამის შესახებ გაზეთის საშუალებით შევიტყეთ,"** - აცხადებს მელაშვილი. მისი თქმით, "ეი-ი-ესის" ბიუჯეტს თავს მერიაც დაესხა, როდესაც ჩაჭრილი მომხმარებლებისთვის ელექტრომომარაგების აღდგენაზე დაწესებული გადასახადის უკანონობაზე ალაპარაკდა.

ირაკლი მელაშვილი მარიკა ამერველაშვილის ფოტო

"ეს ყოველივე მიმართულია იმისკენ, რომ საქართველოში უცხოელი ინვესტორების შემოსვლა შეჩერდეს, რადგან თუ „ეი-ი-ეს მტკვარმა" საბითუმო ბაზრისგან კუთვნილი თანხა ვერ მიიღო, ხელფასებსაც კი ვერ გასცემს და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება." მელაშვილი ეჭვობს, რომ ამ ვითარებაში საბითუმო ბაზარი, შეიძლება, უბრალოდ, გაკოტრდეს. ამ შემთხვევაში, სხვა ვალებთან ერთად, „ეი-ი-ეს მტკვარის" ვალის დაბრუნების საკითხიც მოიხსნება დღის წესრიგიდან. **"ეს უზრუნველობა ხელისუფლებას არბიტრაჟამდე მიიყვანს,"** – ამბობს მელაშვილი. მისი განცხადებით, "ეი-ი-ესი" უახლოეს მომავალში კვლავ დასვამს ელექტროენერგიის ტარიფის მატების საკითხს. თუმცა, თუ მას პარლამენტმა ისევ აღუდგინა საგადასახადო შეღავათები, ტარიფის გაზრდა კომპანიას გაცილებით უფრო დაბალი პროცენტით მოუწევს.

„გერმანიას„ ქართული ავიაბაზრის ხელში ჩაგდების გეგმა ჩაეშალა

"გერმანია" ქართული ტარიფებით იფრენს

გვანცა კვინიკაძე

დაძაბულობა, რომელიც საქართველოს ავიაბაზარზე გერმანული ავიაკომპანია "გერმანიის" შემოსვლას მოჰყვა, დღეისთვის, პრაქტიკულად, განიმუხტა. ამ კომპანიამ ქართული ავიაკომპანიებისა და სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის რისხვა თბილისი-კიოლნი-თბილისის რეისზე მეტისმეტად დაბალი ფასის დაწესებით გამოიწვია. საქმეში ორივე ქვეყნის ელჩი ჩაერია და, უკმაყოფილებისა და პროტესტის მიუხედავად, "გერმანია" ფასების ქართული მხარისთვის მისაღებ დონეზე აწევას დათანხმდა. საქართველოს ავიაბაზრისთვის სტანდარტულად მიჩნეულ საფასურად, ანუ 580 ევროდ, თბილისი-კიოლნი-თბილისის რეისის შესრულება "გერმანიამ" დღეიდან დაიწყო.

ასეთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა ავიაკომპანია "გერმანიას" წარმომადგენელი საქართველოში **კოტე სალია,** რომელიც მიიჩნევს, რომ საკითხი ქართველი მომხმარებლისთვის საზიანოდ გადაიჭრა. კომპანია პირველი ორი რეისის საპრეზენტაციო ფასით, 200 ევროდ, შესრულებას, შემდეგ კი ორივე გზაზე 300 ევროს დაწესებას გეგმავდა. ეს ფასები, საქართველოს ბაზარზე მოქმედ ავიაკომპანიათა ანალოგიურ ფასებთან შედარებით, გაცილებით დაბალი იყო. შედარებისთვის, "თურქეთის ავიახაზებს" ევროპის მიმართულებით მგზავრები 900 ევროდ, "ბრითიშ ეირვეიზს" -- 735 ევროდ, "ავსტრიის ავიახაზებს" – 700 ევროდ, "საქართველოს ავიახაზებს" – 635 ევროდ, "აირზენას" კი – 580 ევროდ გადაჰყავთ. ამის გამო, "აირზენამ", რომლისთვისაც "გერმანია" უშუალო კონკურენტად მიიჩნევა ("საქართველოს ავიახაზები" გერმანიის მიმართულებით რეისებს არ ასრულებს), გერმანულ კომპანიას, დემპინგური ფასების დაწესების გამო, ანტიმონოპოლიურ სამსახურში უჩივლა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის, **არმაზ თავაძის** განცხადებით, "აირზენას" საჩივარზე მისმა უწყებამ მოკვლევა უკვე დაიწყო და დაახლოებით ორ კვირაში წარმომადგენს დასკვნას იმის შესახებ, მართლაც დემპინგურია თუ არა "გერმანიის" მიერ დაწესებული ფასები. თუმცა, თავაძის თქმით, ანტიმონოპოლიური სამსახური იმ ფასების მართებულობასაც შეამოწმებს, რომლითაც სხვა კომპანიები, მათ შორის, თავად "აირზენაც," ემსახურებიან მგზავრებს. **"ჩვენ არ გვსურს, ეს შემოწმება ცალმხრივი იყოს, ამიტომ ორივე მხარეს შევამოწმებთ. შესაძლოა, "გერმანიის" ფასები კი არ იყოს დაბალი, პირიქით, სხვა კომპანიათა ფასებია გაუმართლებლად მაღალი",** -- განაცხადა თავაძემ.

პრობლემა საქმეში სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ჩარევამ მოხსნა. მისი ხელმძღვანელის, **ზურაბ ჭანკოტაძის** განცხადებით, "გერმანია," ასეთი დაბალი ტარიფების დაწესებით, საქართველოსა და გერმანიას შორის არსებულ სამთავრობათშორისო ხელშეკრულებას არღვევდა. თუმცა, "გერმანიის" მიმართ, რომელმაც მათ ფრენის დაწყების შესახებ განცხადებით სამიოდე კვირის წინ მიმართა, ადმინისტრაციას, ტარიფების გარდა, სხვა პრეტენზიებიც ჰქონდა. მათ შორის, ფრენის განრიგის, ბილეთების გაყიდვის სისტემისა და წარმომადგენლობის აკრედიტების საკითხებთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ გერმანულ მხარეს ეს პრეტენზიები ქართულ ბაზარზე შემოსვლისთვის შექმნილ დაბრკოლებებად არ მიეჩნია, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გერმანელ კოლეგას ოფიციალური წერილით მიმართა, რომელშიც თავის პრეტენზიებს ასაბუთებდა და აზრის გამოთქმასაც სთხოვდა. სწორედ გერმანული სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ჩარევით გადაწყდა "გერმანიის" ტარიფების ქართული ადმინისტრაციის მოთხოვნის შესაბამისად გაზრდა. მოგვარდა სხვა პრობლემებიც, ასე რომ, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას "გერმანიის" მიმართ შენიშვნები აღარ აქვს.

თავად "გერმანიას" კი, როგორც ჩანს, ქართულ ბაზართან დაკავშირებით სერიოზული გეგმები ჩაეშალა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ეს ავიაკომპანია, რომლის აეროპარკიც 11 ბოინგისგან შედგება, ძირითადად, გერმანიის შიდა და ჩარტერულ რეისებზე სპეციალიზდება, რომლებსაც ყველაზე იაფად ასრულებს. "გერმანიის" ქართულ წარმომადგენლობაში არც მალავენ, რომ ქართულ ბაზარზე ასეთი დაბალი ფასებით შემოსვლის უმთავრესი მიზანი მესამე ქვეყნების მგზავრთა მოზიდვა იყო. ახლა კი, კომპანია იძულებულია, კონკურენტებისთვის მისაღები წესებით ითამაშოს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ საქართველოსა და გერმანიას შორის ორმაგი დაბეგვრის შესახებ ხელშეკრულება რატიფიცირებული ჯერაც არ არის, "გერმანია" საქართველოშიც ისევე დაიბეგრება, როგორც თავის სამშობლოში. სალიას თქმით, "გერმანიის" სათავო ოფისი საქართველოში მიღებული გადაწყვეტილებებით უკმაყოფილოა და თუ კომპანიას შესაბამისი პირობები არ შეექმნება, მან, შესაძლოა, რეისები შეწყვიტოს კიდეც.

ამერიკული დახმარება ყველაზე მეტად „ეი-ი-ესს„ უხარია

ზამთარში საქართველოს მოსახლეობის გათბობის ხარჯების დაფარვა ამერიკის მთავრობამ თავის თავზე აიღო

მაია ურუშაძე

ამერიკა კვლავ ეხმარება საქართველოს მთავრობას. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, USAID-ის ევროპისა და აზიის ქვეყნების აღმასრულებელი ადმინისტრატორი კენტ ჰილი, რომელიც სააგენტოს საქართველოში მოღვაწეობის 10 წლისთავის აღსანიშნავადაა ჩამოსული, საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანად მიიჩნევს მათ შორის, ვისაც სააგენტო დახმარებას უწევს.

ზამთარში გათბობით უზრუნველყოფის ტრადიციად ქცეულ მემორანდუმს კანცელარიაში ხელი გუშინ მოაწერეს. საქართველოსთვის ამერიკის მთავრობის ყოველწლიური დახმარების პროგრამის ბიუჯეტი წელს 14 მილიონი დოლარის ფარგლებში განისაზღვრა. პროგრამის მიხედვით, წლევანდელ ზამთარს 100 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი პირის დახმარებაა გათვალისწინებული.

გათბობით უზრუნველყოფის პროგრამის ადმინისტრირებას ამერიკული "ფი-ეი კოლსანტინგი" კისრულობს. ის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს პროგრამისთვის შერჩეულ მონაწილეებს 2002 წლის დეკემბრიდან მარტის ჩათვლით გადაუხდის. USAID-ს მიერ გამოყოფილი თანხიდან 9 მილიონი დოლარი შარშანდელი ვალების გასტუმრებას მოხმარდება. რაც შეეხება პროგრამით მოსარგებლე პირთა ვინაობას, მათ შესაბამისი უწყებები ათი წლის მანძილზე ჩვენი მთავრობის მიერ მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეარჩევენ. **"დღეს სიღარიბის ზღვარზე მოსახლეობის 40 პროცენტია, ვისაც დახმარება სჭირდება. რადგან ეს პროგრამები დიდი ხანია ხორციელდება, გამოცდილება უკვე გვაქვს. ყოველწლიურად კი თანხა იმიტომ იზრდება, რომ დახმარების მიმღებთა რიცხვი მატულობს,"** – ამბობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე.

თანხის მისაღებად ამერიკელებმა წინაპირობები სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსაც წაუყენეს. ყველაზე რთული მათ შორის საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან ელექტროენერგიის საფასურის მიღების მაჩვენებლების გაუმჯობესებაა. **"რასაკვირველია, გარკვეული ვალდებულებები უნდა შევასრულოთ: უნდა გავაუმჯობესოთ თანხების ამოღების დონე, უნდა შევამციროთ უფასოდ გაცემული ელექტროენერგიის რაოდენობა, გადავდგათ ნაბიჯები ენერგეტიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასაყვანად და მსხვილი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მეტი ფული ამოვიღოთ,"** – აცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა.

"ურთიერთგაგების მემორანდუმს", როგორც გუშინდელ დოკუმენტს უწოდებენ, აშშ-ს მხრიდან ხელი აშშ-ს ელჩმა საქართველოში, რიჩარდ მაილსმა, USAID-ის აღმასრულებელმა ადმინისტრატორმა ევროპასა და ევრაზიის ქვეყნებში, დოქტორმა კენტ ჰილმა და USAID-ის კავკასიის მისიის დირექტორმა, მაიკლ ფარბმანმა, საქართველოს მხრიდან კი - სახელმწიფო მინისტრმა, ავთანდილ ჯორბენაძემ, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა, დავით მირცხულავამ, შპს "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" დირექტორმა, ალბერტო სოლესმა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, ამირან გამყრელიძემ და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, ვალერიან ვაშაკიძემ მოაწერეს.

ამერიკული დახმარება განსაკუთრებით "ეი-ი-ესის" გენერალურ დირექტორს, იგნასიო ირიბარენს გაუხარდა. **"მე მიხარია, რადგან ეს არის თანხა იმ ხალხისთვის, ვისაც არ შეუძლია, გადაიხადოს. "ეი-ი-ეს თელასი" კი არ არის ვალდებული, მიაწოდოს მათ ელექტროენერგია,"** – განაცხადა მან.

"ბედნიერი ვარ, რომ ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა თანხები საქართველოს მოსახლების გაჭირვებული ფენისათვის შედარებით თბილი ზამთრის უზრუნველყოფას მოხმარდება. იმედია, წლევანდელი ზამთარი უკეთესი იქნება, ვიდრე შარშანდელი," - განაცხადა ხელმოწერის შემდეგ აშშ-ს ელჩმა, რიჩარდ მაილსმა.

ამ იმედს ვერ იზიარებენ ენერგოსექტორის პრობლემებში უფრო ღრმად ჩახედული სპეციალისტები. **"შევეცდებით,"** – ასეთია ენერგეტიკოსთა "საზამთრო" დაპირების მაქსიმუმი.

ბიუჯეტის სეკვესტრი პიტერ შოუს ბედზე და აჭარის შემოსავლებზეა დამოკიდებული

პირველი გვერდიდან

გუშინ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, ექვსი თვის ბიუჯეტის შედეგებზე იმსჯელეს. კანონმდებელთა წინაშე მოხსენებით ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი წარდგა. გიგოლაშვილმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ **"დაგეგმილი პარამეტრები შესრულდა, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტი მაინც გაირღვა."** ცენტრალურ ბიუჯეტში 62 მილიონის გარღვევა სამმა გარემოებამ განაპირობა: მიუღებელმა გრანტებმა, აჭარიდან გადმოურიცხავმა საბაჟო-საგადასახო შემოსავლებმა და არასაგადასახო შემოსავლებმა, რაშიც საწარმოთა მიერ გადმოურიცხავი დივიდენდები იგულისხმება.

მირიან გოგიაშვილს იმედი აქვს რომ 2002 წელს ბიუჯეტის სეკვესტრი არ მოხდება ლევან ხერხეულიძის ფოტო

"წლის პირველ ნახევარში უნდა მიგვეღო 37 მილიონი ლარის ოდენობის გრანტი, თუმცა, მივიღეთ მხოლოდ 1 600 000 ლარი. მოგეხსენებათ, გრანტების მიღების საკითხი მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ცალკეული გარემოებების გამო საერთაშორიოს ორგანიზაციები ტრანშის გამოგზავნისგან თავს იკავებენ. თუმცა ახლა უკვე აღდგენილია პროგრამა სავალუტო ფონდთან და ვიმედოვნებთ, რომ მსოფლიო ბანკიც გაგვიგრძელებს დაფინანსებას. გარდა ამისა, ველოდებით გრანტებს ევროგაერთიანებიდან, რომლის პირველი ტრანშიც ივლისის ბოლოს უნდა მოვიდეს," – განაცხადა ვასილ გიგოლაშვილმა.

ვასილ გიგოლაშვილი, მართალია, აღნიშნავს, რომ საქართველოს ბიუჯეტი გრანტებზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ბიუჯეტზე საუბრისას მინისტრის მოადგილე პირველ რიგში სწორედ მიუღებელ გრანტებზე საუბრობდა. რაც შეეხება გიგოლაშვილის მიერ ნახსენებ "ცალკეულ გარემოებებს", მისი ვერსიით, უცხოელი ფინანსისტები ინგლისელი ბიზნესმენის, პიტერ შოუს, გატაცების გამო აფერხებენ ტრანშის გადმოგზავნას. გიგოლაშვილის ამ განცხადებამ ძალიან გაამხიარულა პარლამენტარები.

ცენტრალური ბიუჯეტის გარღვევაში კიდევ ერთი "დამნაშავე" აჭარიდან გადმოურიცხავი საშემოსავლო თანხებია. ცენტრსა და აჭარას შორის ისევ გრძელდება კურიოზული მდგომარეობა, როცა აჭარიდან იგზავნება მხოლოდ ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია, თანხა კი, რეალურად, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე არ შემოდის. ამასთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებმა აჭარაში რეგიონული ხაზინის გახსნის საკითხი წამოწიეს. ნოდარ ჯავახიშვილმა ისიც კი გაიხსენა, რომ **"ჯერ კიდევ ნოღაიდელი ამბობდა, ხაზინა აჭარაში მზად არის და მხოლოდ მისი გახსნაღა დარჩაო."** ხაზინის უფროსმა დავით რამიშვილმაც დაადასტურა: **"ხაზინის გახსნას აჭარაში მხოლოდ ტექნიკური პრობლემები უშლის ხელს."** რამიშვილს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილიც დაეთანხმა. მისი განცხადებით, **"ხაზინა აჭარაში მალე გაიხსნება. მიმდინარეობს მოლაპარაკებები აჭარის ხელმძღვანელობასთან აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად."**

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე კრიტიკულად აფასებს ფინანსთა სამინისტროს ექვსი თვის მანძილზე გაწეულ საქმიანობას. თუმცა სიორიძე არ ივიწყებს სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიღწევას – საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის აღდგენას.

მთავრობაც და აღმასრულებლებიც ბიუჯეტის შევსებას სწორედ უცხოეთიდან მიღებული გრანტების საფუძველზე იმედოვნებენ; არის განსხვავებაც, პარლამენტარები უფრო სკეპტიკურად არიან განწყობილნი გრანტებით შევსებული ბიუჯეტის მიმართ, ვიდრე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

ჩეჩნები თუ დაზვერვის ფედერალური სამსახური - ვინ დგას მოსკოვის ტერაქტების უკან?

გიორგი ხელაშვილი

1999 წლის სექტემბერში მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქების ფაქტის გამო მიმდინარე საზოგადოებრივი გამოძიება სულ უფრო მეტად ეფლობა წინააღმდეგობებსა და გაურკვევლობაში.

გუშინ ბორის ბერეზოვსკიმ კიდევ ერთი სენსაციის მოწყობა გადაწყვიტა. ლონდონ-მოსკოვის ტელეხიდის დროს, ბერეზოვსკისთან დაახლოებულმა ყოფილმა რუსმა ოფიცერმა გამოაქვეყნა ჩეჩენი მოქალაქის ჩვენება, რომელიც აფეთქებაში პირდაპირ რუსეთის დაზვერვას ადანაშაულებს.

ლონდონიდან მოწყობილი ტელეხიდის მეშვეობით რუსეთის დაზვერვის ყოფილმა ოფიცერმა ალექსანდრ ლიტვინენკომ და მისმა ადვოკატმა იური ფელშტინსკიმ მოსკოვის სასტუმრო "ბალჩუგ-კემპინსკში" შეკრებილ საზოგადოებრივი გამოძიების კომისიის წევრებს წარუდგინეს "ჩეჩენი ტერორისტის," აჩემაზ გოჩიევის, წერილობითი ჩვენება, რომელშიც იგი თავს იმართლებს და 1999 წლის სექტემბერში მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქებას რუსეთის ფედერალური დაზვერვის სამსახურს (ფსბ) აბრალებს.

ალექსანდრ ლიტვინენკოს ბრიტანეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მიანიჭა, რუსეთში კი მას პირობითად სამნახევარი წლის პატიმრობა აქვს მისჯილი. ლიტვინენკო გახმაურებული წიგნის ავტორია, რომლის სახელწოდებაა "ფსბ რუსეთს აფეთქებს". ამ წიგნზე დაყრდნობით ბორის ბერეზოვსკიმ შექმნა დოკუმენტური ფილმი "თავდასხმა რუსეთზე", რომელიც მოსკოვის აფეთქებებში რუსეთის სპეცსამსახურებს სდებს ბრალს.

გუშინდელი ტელეხიდი, ბერეზოვსკის ჩანაფიქრით, ამ კამპანიის გაგრძელება უნდა ყოფილიყო. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენება არც ისე სენსაციური აღმოჩნდა,

პოდპოლკოვნიკი ლიტვინენკო ფსბ-ს ადანაშაულებს

როგორც წინასწარ აცხადებდნენ. ფედერალური და საერთაშორისო მასშტაბით ძებნილი აჩემაზ გოჩიაევი თავის წერილობით ჩვენებაში აღიარებს, რომ თავისი ბავშვობის მეგობრის თხოვნით, სარდაფები დაიქირავა იმ სახლებში, რომლებიც მოგვიანებით აფეთქდა. მის მიერ დაქირავებულ სარდაფებში ვიღაცამ ასაფეთქებელი ნივთიერება ჰექსოგენი შეიტანა. გოჩიაევი უარყოფს, რომ რაიმე იცოდა მოსალოდნელი აფეთქებების შესახებ. გოჩიაევი ვარაუდობს, რომ თავისი "ბავშვობის მეგობარი" სწორედ დაზვერვის ფედერალურ სამსახურთან იყო შეკრული და, შესაბამისად, აფეთქებებიც სწორედ რუსეთის სპეცსამსახურების მოწყობილი იყო. ცოცხლად გადარჩენას გოჩიაევი შემთხვევითობას მიაწერს.

ლიტვინენკომ კიდევ ორი სხვა ჩეჩენი მოქალაქის, ბატჩაევისა და კრიმშამხალოვის, ჩვენებებიც წარმოადგინა. ისინიც ისევე იძებნებიან რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, როგორც გოჩიაევი. ეს ორი ჩეჩენი პირდაპირ ასახელებს რუსული ფსბ-ს იმ ჩინოსანს, რომელმაც აფეთქებები მოაწყო. ეს არის დაზვერვის სამსახურის დირექტორის ყოფილი მოადგილე, გენერალი გერმან უგრიუმოვი, რომელიც გასულ წელს დაღესტანში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. ოფიციალური ვერსიით, უგრიუმოვი ინსულტმა იმსხვერპლა, არაოფიციალური ვერსიით კი მან თავი მოიკლა. ძნელი სათქმელია, მართლა იყო დაკავშირებული უგრიუმოვი აფეთქებებთან, თუ მისი სახელი და საეჭვო დაღუპვა ბერეზოვსკიმ და ლიტვინენკომ გამიზნულად გამოიყენეს.

ლიტვინენკომ გოჩიაევის "ჩვენების" ხელნაწერი მესამე პირის მეშვეობით მიიღო. ჩვენების უტყუარობის დასამტკიცებლად ლიტვინენკომ გოჩიაევის პირადი ფოტოსურათები და მისი ფაქსიმილე წარმოადგინა.

რუსეთის დაზვერვის ფედერალური სამსახური კი ამტკიცებს, რომ მოსკოვის აფეთქებები სწორედ გოჩიაევის მოწყობილია და მისი "ჩვენება" მართლმსაჯულებისგან თავდასაღწევადაა მოგონილი, რასაც ბერეზოვსკი პოლიტიკური მიზნით იყენებს. ფსბ-ს ვერსიით, გოჩიაევმა წვრთნა ურუსმარტანში გაიარა. მას ტერაქტის მოსაწყობად ხათაბმა და ბასაევმა 500 ათასი დოლარი გადაუხადეს.

თავისი ვერსიის განსამტკიცებლად დაზვერვას მოაქვს მეორე ჩეჩენის, საქართველოს მიერ რუსეთისათვის 14 ივლისს გადაცემული ადამ დეკუშევის ჩვენება, რომელშიც დეკუშევი პირდაპირ ადებს ხელს გოჩიაევს და ტერორისტული ოპერაციის დეტალებზეც საუბრობს. მისი თქმით, მოსკოვის საცხოვრებელი სახლების აფეთქების ოპერაციას არაბი საველე მეთაური აბუ ომარი ჩეჩნეთიდან ხელმძღვანელობდა, გოჩიაევი და "მისი რაზმი" კი უშუალო შემსრულებლები იყვნენ.

ტერაქტების გამოძიებისათვის შექმნილი რუსული საზოგადოებრივი კომისია ასკვნის, რომ ჯერ ნაადრევია ლიტვინენკოს მიერ წარმოდგენილი გოჩიაევის ჩვენებიდან დასკვნების გაკეთება, თუმცა, ჯერ ფსბ-ს ვერსიის უტყუარობის აღიარებასაც ერიდება.

მასხადოვი და ბასაევი ერთიანდებიან - ისე იწვიმებს ჩეჩნეთში, როგორც ქუხს?

გიორგი ხელაშვილი

მასხადოვისა და ბასაევის შერიგებამ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში აჟიოტაჟი გამოიწვია. თუმცა ამ შერიგების პრაქტიკულ შედეგებზე საუბარი ჯერ მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება.

შამილ ბასაევის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია ოდნავ გაზვიადებული აღმოჩნდა. იგი მხოლოდ გაცივებულია. სულ ახლახან გამართული პრეს-კონფერენციის ვიდეოჩანაწერზე ხშირად აცემინებს და კისერს ისე აბრუნებს, თითქოს დაზიანებული ჰქონდეს.

ორი თვის წინათ რუსეთის გენერალური შტაბის მეთაურის, ანატოლი კვაშნინის მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე "მოკლული" შამილ ბასაევი ჩეჩნების საინფორმაციო ინტერნეტ-გვერდზე (kavkaz.org) პრეზიდენტ მასხადოვის გვერდით მჯდომი და წყნარად მოსაუბრე გამოჩნდა.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები სასწრაფოდ გამოეხმაურნენ ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მიერ გავრცელებულ ცნობას ასლან მასხადოვისა და შამილ ბასაევის ერთობლივი პრეს-კონფერენციის შესახებ, რომელიც გაიმართა ივლისის დასაწყისში, ვედენოს მთიან რაიონში. ჩეჩნები ამ პრეს-კონფერენციის დეტალებს რამდენიმე კვირის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდნენ და მისი სრული ვიდეოჩანაწერი მხოლოდ ახლახან გამოაქვეყნეს ინტერნეტის მეშვეობით.

ჩეჩნების მიერ გავრცელებულ განცხადებაში სიტყვა-სიტყვით შემდეგია ნათქვამი: "27 ივნისიდან 4 ივლისამდე იჩქერიის ვედენოს რაიონში გაიმართა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის... გაფართოებული სხდომა იჩქერიის ჩეჩნური რესპუბლიკის პრეზიდენტის... ასლან მასხადოვის თავმჯდომარეობით." ჩეჩნური საინფორმაციო წყაროს ცნობით, შეხვედრას ესწრებოდნენ ჩეჩნეთის მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები, აგრეთვე ფრონტებისა და მიმართულებების მეთაურები.

შეხვედრის დღის წესრიგი შთამბეჭდავად გამოიყურებოდა – სამხედრო-პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკის ტერიტორიაზე, "რუსეთის საოკუპაციო ფორმირებებისაგან" ჩეჩნეთის გათავისუფლების "შემოდგომა-ზაფხულის" (sic) სამხედრო კამპანია, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და წინააღმდეგობის მოძრაობის განმტკიცება.

შეხვედრაზე გადაწყვიტეს, რომ შეექმნათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რათა მოხერხდეს ჩეჩნეთის მთელი შეიარაღებული ძალების ოპერატიული მართვა- კოორდინირება. მის მეთაურად "დივიზიის გენერალი" შამილ ბასაევი დანიშნეს. შამილ ბასაევი იმავდროულად ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის (ანუ პრეზიდენტ ასლან მასხადოვის) მოადგილეც გახდა. მოხდა ფრონტებისა და მიმართულებების მეთაურთა საკადრო ცვლილებები.

მასხადოვი და ბასაევი პრეს- ონფერენციაზე

თავდაცვის ახალმა კომიტეტმა დაამტკიცა "შემოდგომა-ზაფხულის" სამხედრო კამპანიის გეგმა.

ბასაევისა და მასხადოვის პრეს-კონფერენცია, რომელიც შეკრების შემდეგ გაიმართა, შეხვედრაზე განხილულ საკითხებს მიეძღვნა. ბასაევი და მასხადოვი ერთმანეთის გვერდით წყნარად მსხდომნი, ალბათ, 1997 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აღარავის უნახავს. პრეს-კონფერენციის ჩანაწერიდან ჩანს, რომ მათ კითხვებს არაბულ ენაზე უსვამდნენ, რომლებიც შემდეგ რუსულად ითარგმნებოდა. ჩანს ისიც, რომ პრეს-კონფერენცია ჩეჩნების სამხედრო ბანაკში გაიმართა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ შეხვედრაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. ამიერიდან ჩეჩნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის საინფორმაციო პოლიტიკას ახმედ ზაკაევი უხელმძღვანელებს. საველე მეთაურების შეხვედრის შესახებ ზაკაევმა უკვე განაცხადა, რომ "მასხადოვისა და ბასაევის უფლებამოსილების დუბლირება არ მოხდება". ბასაევი უშუალოდ სამხედრო ოპერაციებს უხელმძღვანელებს. მის კომიტეტში საომარი ფრონტების სამი მეთაური შევა.

ინფორმაცია ჩეჩენი საველე მეთაურების კრებისა და მათი ლიდერების შემდგომი პრეს-კონფერენციის შესახებ საკმაოდ მწირია. ინფორმაციის სიმწირე რუსეთის მთავრობისა და მას-მედიის გამოხმაურებაზეც აისახა. პრეზიდენტ პუტინის თანაშემწემ, სერგეი იასტრჟემბსკიმ, პირდაპირ განაცხადა, რომ კომენტარისთვის მას საკმარისი ინფორმაცია არ გააჩნია.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებები ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში შეეცადნენ, მათ ხელთარსებულ მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოეტანათ გარკვეული დასკვნები. მოკლედ, უნდა ითქვას, რომ ეს დასკვნები ჩეჩნების წინააღმდეგობის მოძრაობის გააქტიურებას ვარაუდობს.

"იზვესტია" ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად ჩეჩენი საველე მეთაურების შეხვედრის შედეგებზე, რამდენადაც ფაქტზე, რომ მასხადოვი და ბასაევი შერიგდნენ და შეძლეს "წყნარად გამოჩენილიყვნენ ვიდეოკამერის წინ". გაზეთი ასკვნის, რომ ორ საველე მეთაურს შორის არსებული ადრინდელი უთანხმოებები დავიწყებულია.

"ნეზავისიმაია გაზეტას" აზრით, ჩეჩნების გადარჩენილი ძალების კონსოლიდაცია გამოიწვია მათ მიერ ბოლო თვეებში განცდილმა დიდმა დანაკლისმა. გაზეთის მიმომხილველის პირქუში პროგნოზის თანახმად, მასხადოვისა და ბასაევის შერიგება ჩეჩენი მებრძოლების გააქტიურებას გამოიწვევს არა მარტო საკუთრივ ჩეჩნეთში, არამედ მეზობელ რეგიონებშიც.

რუსების მიერ კონტროლირებული ჩეჩნეთის სამხედრო კომენდანტის მოადგილემ, პოლკოვნიკმა სელიმ ცუევმა ჩეჩენი მებრძოლების შეკრების თაობაზე განაცხადა, რომ ეს შეხვედრა ჩეჩნეთში სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე გავლენას ვერ მოახდენს. "მათ შეუძლიათ, განაგრძონ თავდასხმები, აფეთქებები, მაგრამ უფრო მეტს ბანდიტები ვერ მოახერხებენ," – განაცხადა ცუევმა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა უფრო ადრე მოიპოვეს ინფორმაცია მასხადოვისა და ბასაევის შეხვედრის შესახებ, ვიდრე ამას თავად ჩეჩნები გაახმაურებდნენ. ამიტომ საინტერესოა დავკვირდეთ, თუ რა მოიმოქმედეს რუსებმა ჩეჩნეთში ბოლო კვირების განმავლობაში. შესამჩნევია, რომ უფრო გახშირდა ე. წ. "ზაჩისტკები", ანუ ჩეჩნური სოფლების ჩხრეკა მებრძოლების მოძებნის მიზნით. მეორეც, რუსული მხარე სულ უფრო დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჩეჩენი საველე მეთაურები ტაქტიკას ცვლიან და თავიანთი წარმომადგენლების შეგზავნას ცდილობენ ჩეჩნეთის პრომოსკოვური მილიციის რიგებში. ამის გამო უახლოეს ხანში იგეგმება ჩეჩნური მილიციის ფართომასშტაბიანი საკადრო წმენდის ჩატარება.

მორიგი ინფორმაცია ეხება ასლან მასხადოვის მოლაპარაკებებს კიდევ ერთ ჩეჩენ საველე მეთაურთან – რუსლან გელაევთან, რომელიც, რუსული წყაროების მტკიცებით, საქართველოს აფარებს თავს. ინტერფაქსის ცნობით, გელაევი უახლოეს ხანებში აპირებს, შეუერთდეს მასხადოვს. ამ ინფორმაციას სხვადასხვაგვარად გამოეხმაურნენ ახმედ ზაკაევი და მასხადოვის პრეს-მდივანი მაირბეკ ვაჩაგაევი. ზაკაევმა გადაჭრით უარყო მასხადოვისა და გელაევის მოლაპარაკება. მისი თქმით, "ეს ინფორმაცია სისულელეა, რადგან გელაევი წოდებააყრილია და საქართველოში ზის". სამაგიეროდ, მასხადოვის პრეს-მდივანმა დაადასტურა მასხადოვისა და გელაევის მოლაპარაკების ფაქტი. მასხადოვმა "უბრძანა გელაევს, რომ დაბრუნდეს სამშობლოში და ბრძოლა განაგრძოს," – განაცხადა ვაჩაგაევმა.

"24 საათის" ხელთარსებული მწირი ინფორმაცია ორიოდე ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა. პირველი, რუსების მიერ ჩეჩნეთში წარმოებული თითქმის სამწლიანი "ანტიტერორისტული ოპერაცია" გამარჯვებით დასრულებისაგან ჯერ შორსაა. მეორეც, რუსეთი ისე გაიტაცა დასავლეთის თვალში ჩეჩნეთის სამხედრო კამპანიის გამართლებამ, რომ შედარებით მიივიწყა თავად ჩეჩნეთში მოწინააღმდეგის გააქტიურების შესაძლო სცენარი.

ჩეჩენი მებრძოლების ტაქტიკურ გადაადგილებებზე რუსეთის სამხედრო ფორმირებების, ოფიციალური წრეებისა და მას-მედიის გამოხმაურება ორ რამეს მოწმობს. პირველი, რუსები იმდენად დარწმუნებულნი არიან ჩეჩნური წინააღმდეგობის სისუსტეში, რომ მებრძოლების გაერთიანებას უკვე დიდი შეშფოთების გარეშე აღიქვამენ; ან მეორე - რუსებმა უკვე ამოწურეს ჩეჩნების წინააღმდეგ მოქმედების ტაქტიკური არსენალი, დაბნეულები არიან და ახლა სამხედრო ინიციატივა ჩეჩნების მხარეს გადადის. ამ ორი შესაძლო ვარაუდიდან ერთ-ერთის სისწორეს, ჩეჩნების თქმისა არ იყოს, "შემოდგომა-ზაფხულის" პერიოდი გვიჩვენებს.

საერთაშორისო ამბები

სლობოდან მილოშევიჩი სასამართლოს წინაშე ვერ წარსდგება



მილოშევიჩი ავადმყოფობს

ჰაგის ტრიბუნალს სლობოდან მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნა წარუდგინეს, რომლის თანახმად იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი ძალიან გადაღლილია და მას სისხლძარღვთა სერიოზული დაავადება აწუხებს. ექიმების რეკომენდაციით, მილოშევიჩს დასვენება სჭირდება, რის გამოც იგი მართლმსაჯულების წინაშე ვერ წარსდგება. სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროცესის გაგრძელების ყველა ვარიანტს განიხილავს. ბრალმდებელი მხარე სასამართლოს მილოშევიჩისთვის ადვოკატის დანიშვნას სთავაზობს, რომელიც იუგოსლავიის ექს-პრეზიდენტის ინტერესებს დაიცავს. მილოშევიჩის პროცესი, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უკვე რამდენჯერმე გადაიდო. **(BBC)**

როგორ მოვიშოროთ იასირ არაფატი?

ამერიკელი ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ პალესტინის ავტონომიის მეთაურის არჩევნები საკანონმდებლო საბჭოს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე ჩატარდება, გამარჯვებას იასირ არაფატი მოიპოვებს. არჩევნების სავარაუდო თარიღია 2003 წლის 10-20 იანვარი. ამერიკელების რჩევით, სასურველია, რომ იანვარში მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები ჩატარდეს. ინფორმაცია ამერიკელი ანალიტიკოსების მოხსენების ისრაელისთვის მიწოდების შესახებ "მეშვიდე არხმა" გაავრცელა.

მოხსენებაში გამოხატული მოსაზრება ეგვიპტის, იორდანიისა და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრების პოზიციას ეწინააღმდეგება. მათი აზრით, არჩევნების ასეთი თანმიმდევრობით ჩატარების შემთხვევაში, საკანონმდებლო საბჭოში რადიკალური ისლამისტური მოძრაობების, უპირველეს ყოვლისა, "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის," პოზიციების გაძლიერება მოხდება. ამ საფრთხეს ამერიკელებიც აცნობიერებენ.

წინა კვირას პალესტინური ავტონომიის ლიდერმა, იასირ არაფატმა გააკეთა ოფიციალური განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების თაობაზე. მან განაცხადა, რომ პალესტინაში დემოკრატიული მიღწევებით ამაყობს და არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. იასირ არაფატმა უკვე პრემიერ-მინისტრის კანდიდატურაც შეარჩია, მაგრამ მის ვინაობას ჯერჯერობით არ ამხელს. **("ირნა")**

ამერიკელ კონგრესმენს დეპუტატის მანდატი გაუუქმეს

შეერთებული შტატების კონგრესის ქვედა, წარმომადგენელთა პალატის წევრს, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს, ჯეიმს ტრაფიკანტს, რომელიც მექრთამეობაში, რეკეტსა და გადასახადების გადახდისგან თავის არიდებაში ცნეს დამნაშავედ, დეპუტატის მანდატი გაუუქმეს. აშშ-ს სამოქალაქო ომის შემდეგ, ბოლო 140 წლის განმავლობაში, ეს კონგრესმენის სადეპუტატო მანდატის გაუქმების მხოლოდ მეორე შემთხვევაა. დამნაშავე აცხადებს, რომ იგი მთავრობის მხრიდან უსაფუძვლო დევნის ობიექტი გახდა, მაგრამ წარმომადგენელთა პალატამ ეს გადაწყვეტილება თითქმის ერთხმად (420 ხმით ერთის წინააღმდეგ) მიიღო.

ჯეიმს ტრაფიკანტი 18 წლის განმავლობაში კონგრესმენი იყო. იგი ცნობილია თავისი არაორთოდოქსული შეხედულებებითა და მჭერმეტყველებით. საბოლოო ვერდიქტს სასამართლო მომავალ კვირას გამოიტანს. ტრაფიკანტს, სავარაუდოდ, არანაკლებ 7 წლით თავისუფლების აღკვეთას მიუსჯიან. **(BBC)**

შირაკმა სადაზვერვო სამსახურის უფროსი მოხსნა

საფრანგეთის პრეზიდენტმა, ჟაკ შირაკმა სადაზვერვო სამსახურის უფროსი ჟან-კლოდ კუსერანი თანამდებობიდან გაათავისუფლა. კაბინეტის სხდომაზე დასახელდა კუსერანის შემცვლელის სახელი – საფრანგეთის ელჩი პორტუგალიაში, 61 წლის პიერ ბროშანი.

ფრანგულმა მედიამ არაერთხელ გაავრცელა ინფორმაცია შირაკსა და ფრანგული სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ. შირაკის აზრით, სპეცსამსახურები, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მისი საწინააღმდეგო კომპრომატების მოპოვების მიზნით, საიდუმლო გამოძიებას აწარმოებდნენ.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ "Le Mond"-ში გამოითქვა ვარაუდი სპეცსამსახურების უფროსების შესაძლო გადაყენებისა და შირაკის მხარდამჭერებით მათი შეცვლის შესახებ. 3 ივლისს შირაკმა თანამდებობიდან გაათავისუფლა სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელი ჟან-ჟაკ პასკალი და მის ნაცვლად თავისი ყოფილი მრჩეველი დანიშნა.

სომხეთში 23 იეღოველია დაპატიმრებული

როგორც "იეღოვას მოწმეთა" სომხეთის ორგანიზაციამ სააგენტო "არმინფოს" განუცხადა, სომხეთის ხელისუფლების მიერ 2000-2002 წლებში ამ სექტის 23 წევრია დაპატიმრებული. დაპატიმრების მიზეზი დეზერტირობა ან სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებაა. პირველ შემთხვევაში, სომხეთის კანონმდებლობა 3-დან 7 წლამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში 1-დან 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ყველა მსჯავრდებული თანახმაა, გაიაროს ალტერნატიული სამხედრო სამსახური, მაგრამ სომხეთში ასეთი რამ ჯერჯერობით არ არსებობს.

ამ განცხადების კომენტირებისას სომხეთის პრეზიდენტთან არსებულმა ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურმა განაცხადა, რომ ამ "სულებზე მონადირეთა" (იეღოველები) წინააღმდეგ გატარებული ზომები არ არის საკმარისი და მათ შესაჩერებლად სპეციალური საპრეზიდენტო პროგრამის მიღებაა საჭირო.

ლისის ტბაში ბანაობა აკრძალულია

ქეთი ქადაგიშვილი

ახლახან ჩატარებული გამოკვლევისას, ლისის ტბაში კიდევ გამოვლინდა ქოლერის მსგავსი ვიბრიონი. იგი პირველად 2000 წელს აღმოაჩინეს და მაშინ ლისის ტბაზე ბანაობა აკრძალეს კიდეც. 2001 წელს ტბის წყალში ქოლერის მსგავსი ვიბრიონი აღარ დაფიქსირებულა. როგორც გაირკვა, ეს იმის ბრალი იყო, რომ ვიბრიონმა თავი შეაფარა სილას. სანიტარიული სამსახურები წელს მის გამოჩენას ტბაში წყლის დონის მომატებას უკავშირებენ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ქოლერის მსგავსი ვიბრიონი ტბაში ორი წლის წინათ რომელიმე მობანავემ გაავრცელა. ქოლერის ჩხირი საქართველოში აზიის ან აფრიკის ქვეყნებიდან უნდა იყოს შემოტანილი. ამ ქვეყნებში ეს დაავადება საკმაოდ გავრცელებულია. რაც შეეხება საქართველოს, აქ მისი აღმოფხვრის შესახებ საზოგადოებას კარგა ხნის წინათ აცნობეს.

ლისის ტბაზე ქოლერის ჩხირის მსგავსი ვიბრიონის გავრცელებას წყლის დაშრობამაც შეუწყო ხელი. უკვე მერამდენე წელია, გვალვების გამო, ლისის ტბა თითქმის ამოშრა. ქალაქის ხელმძღვანელობას ტბა წლეულსაც რომ არ გახსენებოდა, თბილისი სამომავლოდ მხოლოდ კუს ტბის ანაბარად დარჩებოდა. ახლა ლისის ტბას მიწისქვეშა წყლებიდან ავსებენ. ამის გაკეთება თავის დროზეც შეიძლებოდა, თუმცა, სანამ ურემი არ გადაბრუნდა, ტბის გადასარჩენად ვერავინ მოიცალა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, პაატა იმნაძის განცხადებით, ქოლერის მსგავსი ვიბრიონი მაშინ მოისპობა, როცა წყლის დონის მომატებით ტბას თვითგაწმენდის უნარი აღუდგება. "ეს ყველაფერი მომავალ წლამდე სრულიად გამორიცხულია. 2003 წელს კი, თუ ტბის წყლის შემოწმების შემდეგ, მასში ქოლერის ჩხირი აღარ აღმოჩნდება, ლისის ტბაზე ბანაობის სეზონი აღდგება", – ამბობს იმნაძე.

ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციაში ირწმუნებიან, რომ ლისის ტბა მობანავეებისგან საიმედოდ არის დაცული. ტბის ხელმძღვანელობა ტერიტორიას მუდმივად აკონტროლებს, წყალში შესვლა შემთხვევით რომ არავინ სცადოს. ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე კი გამაფრთხილებელი ფირნიშებია გამოკრული.

მოკლედ, ლისის ტბაზე ბანაობა ისევ სასტიკად აკრძალულია. ცხელ ზაფხულში გაგრილების მსურველებს შეუძლიათ თბილისის ზღვას ან კუს ტბას ეწვიონ. როგორც ინსპექციაში გვითხრეს, შარშან ზღვას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული საკანალიზაციო სისტემა აბინძურებდა. წლეულს, თვითდინებითი კოლექტორის დადგმის შემდეგ, წყალი გაიწმინდა. სუფთაა კუს ტბის წყალიც, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით მდინარეებზე. მტკვარი, ვერე და გლდანულა ძალიან დაბინძურებულია. შესაბამისად, სანიტარული სამსახურები იქ ბანაობას არავის ურჩევენ.

ქუჩაში დარჩენის შიში

ეთერ მამულაშვილი

ორ კვირაში უმუშევართა არმიას სამსახურიდან გათავისუფლებული 350-მდე მედიკოსიც შეუერთდება. ამის მიზეზი გახდა ჯანდაცვის სისტემაში შვიდი წლის წინ დაწყებული რეფორმის მორიგი საფეხური. მალე ოფთალმოლოგიისა და ნერვოლოგიის ინსტიტუტები გაერთიანდება, რასაც დასაწყისში სრული კოლექტივის სამსახურიდან გათავისუფლება მოყვება. გაერთიანების შემდეგ კი ვაკანტურ ადგილებს კონკურსის წესით შერჩეული ექიმები დაიკავებენ.

ამ არცთუ სასიამოვნო სიახლემ იქ დასაქმებული მედპერსონალი სერიოზულად აღაშფოთა. ქუჩაში დარჩენის შიშით შეპყრობილმა ექიმებმა ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მოითხოვეს. გუშინდელ დღემდე მათ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ შესაბამისი სამსახურები გაითვალისწინებდნენ თითოეულის სოციალურ მდგომარეობას და მათი სახლებში გაშვება დროებით მაინც გადაიდებოდა. თუმცა, ამაოდ. თემურ დოლიძე, საქართველოს საავადმყოფოების რესტრუქტურიზაციის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, გუშინ ექიმებთან გამართულ შეხვედრაზე დიდხანს ცდილობდა მათ დარწმუნებას, რომ ეს მტკივნეული პროცესი ობიექტური აუცილებლობით არის გამოწვეული. სამაგიეროდ ექიმებს, სამსახურიდან გათავისუფლებულის შემდეგ, საკომპენსაციოდ სოლიდურ თანხებს შეპირდა. "დღეს საქართველოში 287 საავადმყოფოა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ნახევარსაც კი ვერ ყოფნის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათი გაერთიანებით და საშტატო ერთეულების შემცირებით დარგის განვითარებას და დასაქმებული მედპერსონალის ხელფასების გაზრდას მივაღწევთ. გათავისუფლებულ ექიმებს კი კომპენსაციის სახით გარკვეულ თანხებს გადავცემთ", - განაცხადა თემურ დოლიძემ.

მედპერსონალი სერიოზულად აღაშფოთა იმანაც, რომ კონკურსში 60 წელს გადაცილებული ექიმები მონაწილეობას ვერ მიიღებენ. კონკურსის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ივა ბერაძემ ეს გადაწყვეტილება შემდეგნაირად ახსნა: "ყველას დიდ პატივს ვცემთ და მადლობასაც ვუხდით, მაგრამ, გაითვალისწინეთ, რომ ახალგაზრდა კადრებიც აუცილებელია. ახლა ყოველწლიურად ათასობით სტუდენტი ამთავრებს სამედიცინო უნივერსიტეტს. მათი უმრავლესობა მართლაც რომ ნიჭიერია, მაგრამ, იმის გამო, რომ შტატი გადავსებულია, ვერ ვიღებთ." ბერაძის ამგვარ განმარტებას ექიმების უმრავლესობა აბსურდულს უწოდებს და თავის მართლების უსუსურ არგუმენტად მიიჩნევს. ისინი ფიქრობენ, რომ ასაკობრივი ცენზის დაწესებით ირღვევა ადამიანის უფლებები და ეს აშკარა დისკრიმინაციაა. ექიმთა ერთი ნაწილი კონკურსის ჩაშლას და სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. "ვეცდებით, ჩვენი პრობლემები ცივილური მეთოდებით მოვაგვაროთ. ამ დღეებში სასამართლოს მივაკითხავთ და ჩვენი დარღვეული უფლებების აღდგენას მოვითხოვთ. იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდა ჩვენი მოთხოვნები, მაშინ პროტესტის უკიდურეს ფორმას მივმართავთ. ქუჩაში გამოვალთ, გზებს გადავკეტავთ, შიმშილობასაც გამოვაცხადებთ. ეს უბრალო მუქარა არ გეგონოთ. ნახავთ, რომ ამის გამკეთებლები ნამდვილად ვართ", - განუცხადა "24 საათს" 65 წლის ოფთალმოლოგმა მედეა სიმონგულოვამ.

ექიმების უმრავლესობა პროტესტს უცხადებს კონკურსის ფორმასაც. საქმე ის არის, რომ კონკურსში გამარჯვებულები ყოველგვარი ტესტირების, გამოცდებისა თუ, უბრალოდ, გასაუბრების გარეშე გამოვლინდებიან. ისინი ვაკანტურ ადგილებზე მხოლოდ საბუთების განხილვის საფუძველზე დაინიშნებიან. მედიკოსები, კონკურსის ასეთი ფორმით ჩატარების შემთხვევაში, ჩაწყობისა და ადგილის ყიდვის ფაქტებს არ გამორიცხავენ.

44 წლის ოფთალმოლოგს ლამარა მჟავანაძეს კონკურსში მონაწილეობის სრული უფლება აქვს, მაგრამ ის სოლიდარობას უცხადებს კონკურსის მიღმა დარჩენილებს. ქალბატონი ლამარა დარწმუნებულია, რომ თითოეული ექიმის ბედი უკვე გადაწყვეტილია. "დანამდვილებით ვიცი, რომ ზოგიერთ ჩვენგანს გარანტირებულ ადგილებს უკვე შეჰპირდნენ. როგორ ფიქრობთ, ოფთალმოლოგიის ინსტიტუტის გენერალური დირექტორის ბავშვების ნათლიას ქუჩაში დატოვებენ? სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი პროტეჟეები ძალიან ბევრს ჰყავს", - განუცხადა "24 საათს" ლამარა მჟავანაძემ.

კონკურსის გამჭვირვალობისთვის დაწესებულებების ხელმძღვანელობებმა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა სხვადასხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები მოიწვიეს. სხვათა შორის, გვითხრეს, რომ, სურვილის შემთხვევაში, დამკვირვებლის სტატუსით, ჩვენს გაზეთსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კონკურსში.

საგელვეიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი
ჯორჯიან რისარჩი

ჯორჯიან რისარჩი სატელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან. ამ პერიოდიდან ჩვენ მოგაწოდებთ სრული მონაცემები საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის შესახებ.

- რამდენი სარეკლამო რგოლი იქნა გაშვებული ეთერში ინტერვალის ერთ დღის/კვირის/თვის/წლის განმავლობაში
- რამდენი წამი/წუთი/საათი ეჭირა მოცემული ობიექტს ეთერში დროის მოცემულ შეალედის რეკლამის
- როგორი იყო ამ მონაცემის პროცენტული განაწილება ობიექტებზე რომელ სატელევიზიო გადაცემაში მოზიდული რეკლამის მაქსიმალურირაოდენობა (მაღალრეიტინგული გადაცემები)
- რომელ ობიექტზე გავიდა ყველაზე მეტი რეკლამა
- რომელი ობიექტის ეთერში უჭირავს რეკლამას ყველაზე დიდი დრო და ა.შ.

ეს მონაცემები დაგეხმარებათ სარეკლამო კამპანიის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში. ჩვენი შედეგების მიღება შესაძლებელია ყოველკვირეულად ან 10 დღეში ერთხელ, ან ყოველთვიურად. ეს შესაძლებელს ხდის, ოპერატიულად შეცვლოთ სარეკლამო პოლიტიკა და უფრო მოქნილი გახადოთ იგი.

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

თავშესაფარი "ავეჯის სახლში"

ეკატერინე ბახუტაშვილი

გართობის საათი თავშესაფარში ლევან ხერხეულიძის ფოტო

ქუჩის ბავშვთა თავშესაფარი დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, "ავეჯის სახლში", გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით გაიხსნა. ბაზარში მუშაობითა თუ მათხოვრობით დაღლილი, ცხოვრების სიმძიმით თავმობეზრებული ბავშვები, თუ დრო დარჩათ, თავშესაფარში მიდიან. ყოველდღიურად აქ 6-18 წლამდე ასაკის 18-22 მოზარდი იყრის თავს და რეაბილიტაციას სპეციალური პროგრამით გადის.

შუადღისათვის ერთი საშუალო სიდიდის ოთახში 10-მდე ბავშვი, რამდენიმე პედაგოგი და თავშესაფრის ხელმძღვანელი დაგვხვდა. თავშესაფრის კედლები სავსეა ბავშვების ნამუშევრებით. მათმა უმეტესობამ აქ დაიწყო ხატვა, ქარგვა, ძერწვა და ისეთი სათამაშოებით თამაში, რომელიც მათი გონების კონცენტრაციას მოითხოვს.

"თავშესაფრის გახსნამდე ჩვენ ჩავატარეთ ვაგზლის და დეზერტირების ბაზრის ტერიტორიაზე მომუშავე ბავშვების აღწერა. ეს პროცესი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და 105-110 ასეთი მოზარდის გამოვლენა შევძელით. გამოკითხული ბავშვებიდან 2 მცირეწლოვანი მეძავიც იყო, მაგრამ ისინი ჩვენთან კონტაქტზე არ მოდიან. აღწერამ აჩვენა, რომ ამ ტერიტორიაზე მხოლოდ 8-9 ბავშვია მათხოვარი, დანარჩენი მომუშავეა. გამოკითხულთა ძირითადი კატეგორია დასავლეთ საქართველოდანაა: იმერეთიდან, გურიიდან და სამეგრელოდან. ჩვენთან მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვებიც არიან. 4 შვილის მარტოხელა დედას ორი შვილი ბავშვთა თავშესაფარ "ბელურებში" ჰყავს. მისი მცირეწლოვანები კი ჩვენთან მორიგეობით მოდიან, რადგან დედასთან ერთად მათხოვრობით ირჩენენ თავს", - გვითხრა არასამთავრობო ორგანიზაციის "ბავშვი და გარემოს" წარმომადგენელმა, თავშესაფრის ხელმძღვანელმა თინა კიკალიშვილმა.

მისივე თქმით, ზაფხულის სეზონის გამო მათთან ბავშვების რაოდენობა არ შემცირებულა, პირიქით, რამდენიმე ახალი ბავშვიც გამოჩნდა. მოზარდები ბაზარში მშობლებთან ერთად სისხამ დილით მიდიან და ყიდულობენ წიწაკას, მწვანილს და სხვა წვრილმანს, რათა შემდეგ გაყიდონ. არის შემთხვევები, როდესაც ოჯახები თბილისში სავაჭროდ რამდენიმე თვით ჩამოდიან და აქ ნაქირავებში ცხოვრობენ. ამის გამო ბავშვები სკოლას აცდენენ. თავშესაფარში არის 15 და 17 წლის 2 მოზარდი, რომლებმაც ანბანის შესწავლა აქ დაიწყეს. ზოგიერთ ბავშვს ზღაპარიც კი არ ჰქონდა წაკითხული. თავშესაფრის პატარები კულტურულ ღონისძიებებზეც დაჰყავთ და ზოგჯერ ფეხბურთის თამაშსაც ახერხებენ.

"თბილისელმა ბავშვებმა არც კი იცოდნენ, სად მდებარეობს ფილარმონია და რომელიმე თეატრი. უკვე დავესწარით რამდენიმე სპექტაკლს, გვქონდა შეხვედრა სოფიკო ჭიაურელთან, რომელსაც ბავშვებმა "ღამე და თუთიყუში" აჩვენეს. ასევე შეხვდნენ ანსამბლ "ფლეშის" წევრებს. ახლახან მცხეთაში ვიყავით. დავმეგობრდით კლუბ "კენჭების" ბავშვებთან. ასეთი ღონისძიებები ქუჩის ბავშვების დაახლოებას უწყობს ხელს. ჩვენ ურთიერთობა მოზარდების მშობლებთანაც გვაქვს. ისინი გვეუბნებიან, რომ მათი შვილები ძალიან შეიცვალნენ და უფრო ხალისიანები გახდნენ", – აღნიშნა საუბრისას ქალბატონმა თინამ.

თავშესაფარში ბავშვებს მხოლოდ ერთხელ აჭმევენ. "მეტს ვერ ვახერხებთ. ესეც ჩვენი ორგანიზაციისათვის შემოწირული თანხებიდან ხდება. ამათთვის ესეც ძალიან ბევრს ნიშნავს. მშივრები არიან, რომ ჰქონდეს, ზოგიერთი მთელ პურს შეჭამს", - გვითხრა თავშესაფრის ხელმძღვანელმა.

ტაქსისტები მომავალი საკრებულოს მსჯელობის იმედად რჩებიან

თამარ მაისურაძე

ცვლილებამ, რომელიც ქალაქის მერიის თაოსნობით დაიწყო და, როგორც ქალაქის ხელმძღვანელები აცხადებენ, ტაქსის მძღოლების საქმიანობის კანონის ფარგლებში მოქცევას ითვალისწინებს, დიდი ქაოსი წარმოშვა. მძღოლების მიერ გამართული აქციებისა და მათი მუქარის ("თბილისს ტაქსების გარეშე დავტოვებთო") მიუხედავად, მაინც არაფერი შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე ხნის წინ მერიის შესაბამისი სამსახურები მძღოლებს ამშვიდებდნენ, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათო და კატეგორიულად უარყოფდნენ ეგრეთ წოდებული ლიცენზიების გაძვირების ფაქტს, დღეს ირკვევა, რომ ტაქსისტმა, ძველი 10 ლარის ნაცვლად, თვეში, დაახლოებით, 60 ლარი უნდა გადაიხადოს.

"გაფიცვები დროებით შევაჩერეთ. მერიასთან ერთ-ერთი აქციის დროს გვითხრეს, ლიცენზია 10-15 ლარზე მეტი არ ეღირებაო. მოგვატყუეს. ახლა გვეუბნებიან, დღეში 2 ლარი გადაიხადეთო. ხალხი დასასვენებლად არის წასული. სექტემბრისთვის ჩამოვლენ და ვნახოთ, რა იქნება", – გვითხრა ერთ-ერთმა.

"მერიასთან რომ ვიდექით, ჩვენი "გაის" უფროსი მოვიდა და გვითხრა, ეს საკითხი სანამ საბოლოოდ გაირკვევა, 10 დღის განმავლობაში ინსპექტორები ლიცენზიებს არ შეგიმოწმებენო", – გვითხრა მეორემ. ამ დროს დიალოგში მესამე ჩაერთო. "ჩვენს უკანონო ქვეყანაში კანონი მარტო ტაქსის შოფრებისთვის არსებობს. იმიტომ, რომ იციან, ეს ის ხალხია, რომელსაც სხვა გზა აღარა აქვს. ეს იგივეა, რაც ტექდათვალიერების და მართვის მოწმობების შეცვლის დროს იყო. ფულის გაკეთება მოუნდათ, ეს არის და ეს", – თავისი აზრი გაგვიზიარა მესამემ, რომელიც ერთ-ერთ კერძო ფირმაში იღებდა სატრანსპორტო ბარათს, რომელშიც ლარნახევარს იხდიდა. ამ ერთი მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ ლიცენზიები, კერძო ფირმების ინტერესებიდან გამომდინარე, გაძვირებულა. რადგან მძღოლები ამ აუცილებელ საბუთს კვლავ იგივე (მერიასთან ხელშეკრულებაგაუფორმებელ) ფირმებში იღებენ, მხოლოდ ლიცენზიაში გაცილებით მეტს იხდიან. მათი საბუთის შემმოწმებელი, როგორც თავად ამბობენ, არიან მხოლოდ ავტოინსპექტორები, რომელთაც, როგორც ჩანს, კერძო ფირმის მიერ გაცემული ლიცენზიაც აკმაყოფილებთ.

რაც შეეხება ამ ვერსიას, ერთ-ერთი კერძო ფირმის მფლობელის ნოდარ დაუშვილის თქმით, საგზაო ბარათის ყოველდღიური გადასახადის 2 ლარის დასაწესებლად, მითითება მერიის სამსახურისგან, კერძოდ, მერიის სატრანსპორტო განყოფილების უფროსის ტარიელ ალავიძისგან მიუღიათ.

"ინსპექტორები წამდაუწუმ გვაჩერებენ, ლიცენზიებს გვთხოვენ. კი ბატონო, მესმის, იმასაც ოჯახი ჰყავს, არც იმას აქვს ხელფასი. მაგრამ მე რა ვქნა, დღეში 10 მგზავრიდან ხანდახან მხოლოდ 2 მაძლევს ფულს..." – გვითხრა ინსპექტორებზე განაწყენებულმა მძღოლმა.

როგორც ქალაქის საგზაო პოლიციაში გავარკვიეთ, მერიიდან მისული დირექტივის თანახმად, ინსპექტორებმა დროებით (შემდეგ დირექტივამდე) თავი უნდა შეიკავონ ტაქსის მძღოლთა ლიცენზიების შემონმებისგან.

ქალაქის მერიის ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ოთარ ჭიპაშვილი შედის მძღოლების მდგომარეობაში. "დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ტაქსის მძღოლებისთვის განკუთვნილი გადასახადი მართლაც დიდია. ბუნებრივია, ადამიანი რომელიც არაფერს იხდიდა და უცბად კანონის ჩარჩოებში ექცევა, ამისთვის არც ფსიქოლოგიურად და არც ეკონომიურად მზად არ არის", – გვითხრა მან და დაუმატა, რომ არსებული მდგომარეობის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა: ეს მეწარმეობა ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროშია მოქცეული და ის ფული, რომელსაც მძღოლები გარკვეული ხნის მანძილზე იხდიდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტში არ შედის. მათივე მონაცემებით, მსგავს საქმიანობას 48 კერძო ფირმა ეწეოდა. "კანონით, მსუბუქი ტაქსები ვალდებული არიან, ყოველდღე აიღონ საგზაო-სატრანსპორტო ფურცელი, რომელშიც აუცილებლად იქნება აღნიშნული მანქანის ტექნიკური დათვალიერების შესახებ, სერტიფიცირებულია თუ არა იგი და მძღოლის სამედიცინო შემოწმება. ყველაფერი ეს ფული ღირს. ოფიციალურად, ეს თანხა ლარნახევრიდან 2 ლარამდე მერყეობს. ეს არ არის დიდი თანხა - ერთი მგზავრის მიერ გადახდილი საფასურის ნახევარია", – ამბობს ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის უფროსი, რომელიც თვლის, რომ "თუ გვინდა, ეს პრობლემა კანონის ფარგლებში მოექცეს, მაშინ მძღოლებმა შესაბამისი თანხაც უნდა გადაიხადონ."

"თუ ადამიანს ამ სფეროში მუშაობა უნდა, იგი ვალდებულია, არსებული კანონმდებლობა დაიცვას. თუ მას ამის საშუალება არა აქვს, მაშინ უნდა გაანებოს ტაქსისტობას თავი და სხვა საქმეს მოკიდოს ხელი. მაგრამ ჩვენ მათ აქეთ არ ვუბიძგებთ. გვესმის, რომ კანონმდებლობას გარკვეული ხარვეზები აქვს, გადასახადები დიდია, ამიტომ ჩვენ პარალელურად საკანონმდებლო ბაზის შეცვლაზეც ვმუშაობთ. 1-2 თვე, სანამ ცვლილებები მოხდება, მძღოლებმაც რაღაც უნდა დათმონ", – სიტუაციის განეიტრალებას ცდილობს ოთარ ჭიპაშვილი.

როგორც მძღოლები ამბობენ, ზოგი კერძო ფირმა ლიცენზიას კვლავ ძველ ფასში - 8-10 ლარად გასცემს. მერია ამ პრობლემის მოწესრიგებასა და გაკონტროლებას ტაქსისტების სინდისზე ტოვებს. როგორც მერიაში აცხადებენ, თავად მძღოლებმა არ უნდა აიღონ საგზაო ბარათი ისეთ ფირმებში, რომელთაც მერიასთან არ ექნებათ ხელშეკრულება გაფორმებული.

და ბოლოს, ქალაქის მერია თბილისელ ტაქსისტებს ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს: "ჩვენ გვაქვს სატრანსპორტო ბაზები, ყოფილი მუნიციპალური ავტოპარკები. ტაქსის მძღოლებს შეუძლიათ, მათთან გააფორმონ ხელშეკრულება. ეს უფრო მომგებიანია, რადგან ავტოპარკები მათ შეღავათიან მომსახურებას გაუწევენ. ასეთ ფირმებთან ურთიერთობა უფრო იაფი ჯდება", – ამბობს ოთარ ჭიპაშვილი.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის ლიდერის მიხეილ სააკაშვილის დაპირებას, - თბილისის ახალი საკრებულო ყველაფერს გააკეთებს, რომ თქვენი გადასახადი მინიმუმამდე დაიყვანოსო, - ოთარ ჭიპაშვილი ამბობს: "ამის შესახებ იმსჯელებენ. ჩვენ აღმასრულებელი ორგანო ვართ, რასაც გვეტყვიან, იმას გავაკეთებთ."

ტაქსის ერთიანობა დროს უძლებს გოგიტა ბუსაიძის ფოტო

მკალავიშვილის ალყამ გაჭრა

პირველი გვერდიდან

მკალავიშვილის მომხრეების ალყა

დოიჯაშვილი განაჩენის მოლოდინში

ბესო გულაშვილის ფოტოები

მკალავიშვილმა, ტრადიციულად, პირჯვრის გადაწერით ხატზე დაიფიცა და ყველას გასაგონად გამოაცხადა, რომ დოინჯაშვილს არავითარ შემთხვევაში აღარ მოუწევდა იმავე სპეცმანქანით სასამართლოდან საპატიმროში დაბრუნება. ულტიმატუმიც პირდაპირი და პრეტენზიული იყო: **"თუ არ გაათავისუფლებთ დოინჯაშვილს, საქმე ცუდად გექნებათ, გამოვიყენებთ ძალისმიერ მეთოდებს და მომხდარზე პასუხისმგებლობას ჩვენ არ დავიკისრებთ."** გლდანის ეპარქიის მრევლი და საზოგადოება "ჯვრის" წევრები, რა თქმა უნდა, მხოლოდ ულტიმატუმებით არ შემოფარგლულან. მათ სასწრაფოდ გაშალეს და ააფრიალეს "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების მომღიმარი ფოტოები და წესისამებრ "შეამკეს" ისინი.

ბასილ მკალავიშვილმა მართლმადიდებლობისა და იეღოველთა თემებზე ვრცელი სემინარი ჩაატარა. გამომსვლელი გამომსვლელს ცვლიდა და თითოეულის სიტყვის დასრულებას იქ შეკრებილების გრგვინვა და ემოციური შეძახილები მოსდევდა. გამომსვლელებმა, ლოცვებთან ერთად, ლექსებიც თქვეს და ზარებსაც შემოჰკრეს.

ამასობაში სასამართლოს შენობაში დახურული, მაგრამ ხმაურიანი და დაძაბული პროცესი გრძელდებოდა. ბრალდებულის ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი, მოსამართლესთან ხმამაღალი შეკამათების შემდეგ, პერიოდულად დარბაზიდან გამოდიოდა და, ბასილ მკალავიშვილის მსგავსად, არეულობით იმუქრებოდა. თან იმასაც აღიარებდა, რომ სასამართლოზე ზეწოლას ახდენდა.

სიტუაცია შენობაშიც და მის გარეთაც მას შემდეგ დაიძაბა, რაც, მოსამართლემ განაჩენის გამოტანამდე შესვენება გამოაცხადა.

იმის შიშით, რომ ბრალდებული ჩუმად არ წაეყვანათ, ეზოში შეკრებილმა მკალავიშვილის მრევლმა პატიმრის გადასაყვანი სპეცმანქანა ალყაში მოაქცია. შეკრებილებმა ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი გადაკეტეს და მუქარის ახალი, უფრო ხმაურიანი ტალღაც აგორდა. თუმცა, ცოტა ხანში გაარკვიეს, რომ პატიმარს გადაწყვეტილების გამოტანამდე გარეთ არავინ გამოიყვანდა.

"ბადრაგის მანქანასთან ოცდაათი კაცი ალყაში დარჩეს, დანარჩენებმა დაისვენეთ, საჭმელი მიირთვით, ძალები მოიკრიბეთ, წინ დიდი ომი გველის", - ასეთი იყო მკალავიშვილის ბრძანება, რომელსაც მისი მრევლი უსიტყვოდ დაემორჩილა.

ორსაათიანი შესვენების შემდეგ დახურული პროცესი გახსნილად გამოცხადდა და შენობის ეზოში შეკრებილმა, საპროტესტო აქციის მონაწილეებმა სასამართლო დარბაზში გადაინაცვლეს.

მუშტი-კრივისთვის მომზადებულმა ბასილ მკალავიშვილმა და მისმა მრევლმა ნახევარ საათში შენობა უკვე გათავისუფლებულ გიორგი დოინჯაშვილთან ერთად დატოვეს. "თავისუფლების ინსტიტუტში" არც ვყოფილვარ და არც არავინ მიცემია. იეღოველებს ვურტყამდით და კიდევაც ვურტყამთ," – ამ სიტყვების თქმის შემდეგ გათავისუფლებულ გიორგი დოინჯაშვილს მხარდამჭერებმა ცოცხალი დერეფანი გაუკეთეს და ჟურნალისტები ახლოს არ გააკარეს.

მოსამართლე იური გაბისონია განაჩენის გამოტანისას, ძირითადად, დაზარალებულების ჩვენებებს დაეყრდნო, რომლებმაც დოინჯაშვილში თავდამსხმელი ვერ ამოიცნეს. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მოთხოვნა, ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების შესახებ, იმ მიზეზით, რომ დასაშვებია, გათავისუფლების შემდეგ იგი გამოძიებას დაემალოს და ხელი შეუშალოს საგამოძიებო მოქმედებებს. სასამართლომ გამოძიება პროცესუალური ნორმების დარღვევებში ამხილა და დოინჯაშვილს პოლიციის მეთვალყურეობა დაუწესა.

ერთი სიტყვით, თავდასხმაში ეჭვმიტანილი დოინჯაშვილის აღიარებითი ჩვენება, რომელიც მან სამართალდამცველებს დაკავებისას მისცა, სასამართლომ ჭეშმარიტ მტკიცებულებად არ ჩათვალა და აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ ბრალდებულის ადვოკატების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

"თავისუფლების ინსტიტუტზე" მომხდარი თავდასხმის გამოძიება კვლავ გრძელდება. ვინ იქნება შემდეგი ეჭვმიტანილი და შემდეგ ბრალდებული, ამას, ალბათ, სამართალდამცველები რამდენიმე დღეში ამაყად შეგვატყობინებენ.

რუსულ მაფიას ამერიკაში კარგი რეპუტაცია აქვს

როგორც აღმოჩნდა, ამერიკელი ექსპერტები, რომლებიც რუსულ მაფიაზე მუშაობდნენ, არ იზიარებენ მსოფლიოში გავრცელებულ აზრს რუსული მაფიის სისასტიკის შესახებ. ბრუკლინის გენერალური პროკურორის ყოფილი თანაშემწის, ტომას ფეიერსტოუნის აზრით, რუსულ მაფიას ამერიკაში საკმაოდ სოლიდური სახე აქვს და ამერიკაში "კარგი რეპუტაციითაც" სარგებლობს.

"რუსულენოვანი დანაშაულებრივი სამყარო ამერიკაში მანიაკალურ, მხეცურ დანაშაულებს არ ჩადის. გვამებს გორად კი არ აწყობს, არამედ მშვიდობიან კრიმინალში სპეციალიზდება", -- ამბობს რუსული მაფიის საქმიანობაში მეტად გათვითცნობიერებული ამერიკელი ექსპერტი.

სულ ახლახან, ბრუკლინის გენერალური პროკურორის თანაშემწე ტომას ფეიერსტოუნი მოსკოვში, ამერიკის საელჩოში შეუდგა მუშაობას. იქ იგი აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს მუდმივი წარმომადგენელი გახდა სამართლებრივ საკითხებში.

ამერიკაში მუშაობისას ტომას ფეიერსტოუნი, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მიგრირებული დამნაშავეების სისხლის სამართლის საქმეებს იძიებდა. ახალ პოსტზე მის საქმიანობას ტერორიზმთან ბრძოლაც დაემატება.

"რუსი კრიმინალები ამერიკაში, ეგრეთ წოდებული "თეთრი საყელოების" დანაშაულებში ოსტატდებიან, -- ამბობს ფეიერსტოუნი, -- მათ უკვე მრავალი რთული მექანიზმი შეიმუშავეს. მაგალითად: სადაზღვევო აფიორა, საბირჟო თაღლითობა, გადასახადებისგან თავის აცილების მაქინაციები და სხვა". მისი თქმით, რუსული კრიმინალური სამყარო ნოვატორობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რუსმა კრიმინალებმა, უბრალოდ, ახალი სქემები და მექანიზმები გამოიგონეს, რითიც ისინი ფრიად განასხვავდებიან სხვა ამერიკელი კრიმინალებისაგან.

"რა თქმა უნდა, არის ძალადობისა და მკვლელობის ფაქტებიც, მაგრამ ეს მათ სხვებისგან არ გამოარჩევს", - დასძენს ტომას ფეიერსტოუნი.

მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის წინათ კალიფორნიის შტატში მომხდარ შემზარავ მკვლელობათა კვალმა სამართალდამცველები სწორედ რუსულ მაფიამდე მიიყვანა.

2002 წლის გაზაფხულზე კალიფორნიის პოლიცია საზარელი მკვლელობების სერიის გამოძიებას შეუდგა. შემზარავ დანაშაულებებში რუსი კრიმინალები ამხილეს. მათი დანაშაულებრივი ბანდა, ძირითადად, ადამიანთა გატაცებასა და ფულის გამოძალვაზე მუშაობდა. ბორტმოქმედების განსაკუთრებულ სისასტიკეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ არც ერთი გატაცებული ცოცხლად არ დაუბრუნებიათ, ყველა მათგანი მოკლული იპოვეს. მათ შორის გახლდათ ცნობილი ქართველი მსახიობის, გოგი ხარაბაძის ვაჟი ხარება ხარაბაძე და მისი მეგობარი გიორგი საფიევი.

მოკლულთა გვამები კალიფორნიაში, საკრამენტოდან 60 კმ-ის დაშორებით ნიუ-მელონზის ტბაში იპოვეს.

პოლიციის მიერ დაპატიმრებულთაგან ორი ყოფილი საბჭოთა კავშირიდანაა, დანარჩენები - დასავლეთ ევროპიდან. ამერიკელი სამართალდამცველების ცნობით, ბანდა იური მიკელის, იურიუს ადამოვასის, პეტრ კრილოვის, აინარ ალტმანისის და ანდრეი აგეევისაგან შედგებოდა.

გამოძიების ვარაუდით, გამტაცებელთა ბანდაში მთავარი მიკელი და ადამოვასი იყვნენ. მათ სულ 10 ადამიანი გაიტაცეს, რომელთაგან ჯერ მხოლოდ ხუთი მოკლულის გვამია ნაპოვნი და ამოცნობილი: გიორგი საფიევი, ალექსანდრ უმანსკი, მეიერ მუსკატელი, ხარება ხარაბაძე და რიტა პეკლერი. მოკლულთა სხეულები დამახინჯებულია. ექსპერტიზის მონაცემებით, ისინი აწამეს.

დანაშაულებრივი ჯგუფი აშშ-ში შარშან ამოქმედდა. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ბანდამ პირველად რიტა პეკლერი გაიტაცა. იგი, ისევე, როგორც დანარჩენი მოკლულები, ლოს ანჯელესის პრესტიჟულ უბანში ცხოვრობდა. არსებული ინფორმაციით, ფინანსისტსა და ნოტარიუსს, რიტა პეკლერს დიდი კლიენტურა ჰყავდა და ბევრი მდიდარი ადამიანის ფინანსურ საქმეებში ერკვეოდა. როგორც ჩანს, გამტაცებელთა პირველი მსხვერპლი იგი ამიტომაც გახდა. რიტა პეკლერი აწამეს და ფირმების შესახებ ინფორმაცია გამოსძალეს.

ამერიკელი სამართალდამცავები ეჭვობენ, რომ სწორედ მას დაარეკინეს "მობილ ტექნოლოჯის" პრეზიდენტთან, 35 წლის ალექსანდრ უმანსკისთან და 234 ათასი დოლარი მოათხოვნინეს.

ამერიკელი კანონდამცველები იმავე ვერსიას ავითარებენ ფილმების საპროდიუსერო კომპანიის თანამფლობელისა და ხმის რეჟისორის, 29 წლის ხარება ხარაბაძისა და "მატადორ კორპორეიშენის" ხელმძღვანელის, გიორგი საფიევის შესახებაც.

გამოძიების ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, ყველა შემთხვევაში გამტაცებელთა მიზანი, გამოსასყიდის სახით, დიდი ფულის გამოძალვა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში გატაცებულთა ნათესავები გამოსასყიდს იხდიდნენ (ბანდიტებმა ამ გზით 1,2 მილიონ დოლარზე მეტი დააგროვეს), ბორტმოქმედებმა ყველა მძევალი მაინც დახოცეს. როგორც გამოძიებამ დაადგინა, კრიმინალური ბანდის წევრები თავიდანვე არ აპირებდნენ გატაცებულების გათავისუფლებას, რადგან ცოცხალი "მოწმეები" მათ ზედმეტ პრობლემებს შეუქმნიდნენ.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ“. ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეაღგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინტსრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შემდგენელთათვის:

კითხვები ზოგადსაგანმანათლებლო ხასიათის უნდა იყოს, სირთულის დონით კითხვა უნდა უტოლდებოდეს „ვის უნდა 20 000“-ის 200 და 400 ლარიან შეკითხვებს, (თუმცა კონკურსანტს არ ეძლევა ოთხი სავარაუდო პასუხი) მაგალითად, რომელ მუსიკალურ ჯგუფში მღეროდა ფრედი მერკური 1971-1991 წლებში? - „ქუინში“ ან რომელ მთათა სისტემას ეკუთვნის დეადმიწის უმაღლესი მთის მასივიჯომოლუნგმა? - ჰიმალაის. შეგიძლიათ შეადგინოთ და გამოგვიგზავნოთ კითხვები ნებისმიერირაოდენობით. ერთ ბლანკშიჩაწერეთ მხოლოდ ერთი შეკითხვა.

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

გთხოვთ, მიუთითოთ კითხვის სისწორის დამადასტურებელი წყარო:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

შევსებული ბლანკი გამოგზავნეთ ფოსტით მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი, ან მოიტანეთ იმავე მისამართზე მე-17 სართულზე. შეკითხვები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ფაქსით ნომერზე: 20-00-12.

წესები კითხვის შემდგენელთათვის:

კითხვები გადაცემისთვის "ხალხის პირისპირ" მიიღება მხოლოდ სპეციალური ბლანკით, რომელიც მოთავსებულია გაზეთ "24 საათში", ბლანკის წასაღებად ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ "რუსთავი 2"-ის ოფისში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, მე-17 სართულზე. სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" უფლებას იტოვებს, გადაცემის ინტერესებიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანოს, ან არ გამოიყენოს თქვენი შეკითხვა. "რუსთავი 2" არ არის ვალდებული გაცნობით - გამოვიყენებთ თუ არა თქვენ მიერ მოწოდებულ შეკითხვას. ბლანკის შევსების უფლება აქვს ყველა სრულწლოვანს.

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ვინ დგას ჩეხი ჟურნალისტი ქალის მკვლელობის მცდელობის უკან

კობა ლიკლიკაძე

ჰრალიდან

ჩეხეთში ცნობილი ჟურნალისტის, 29 წლის საბინა სლონკოვას მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებული სკანდალი პიკს აღწევს. გამოძიების ვერსიით, შურისძიების მიზეზი გახდა პოპულარულ გაზეთ "მლადა ფრონტა დნეში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციათა სერია, რომელშიც სლონკოვამ ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ მოსკოვის კერძო ფირმებთან გაფორმებულ საეჭვო გარიგებებს ახადა ფარდა. ინტრიგას აძლიერებს ის გარემოება, რომ პოლიციის მიერ ჟურნალისტის მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებული ოთხი ეჭვმიტანილიდან ერთ-ერთი, კარელ სრბა ჩეხეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრსა და გაეროს გენერალური ასამბლეის მომავალ თავმჯდომარესთან, იან კავანთან დაახლოებულ პირად ითვლება.

130-ლარიანი ქართველი მოხელეების მსგავსად, ჩეხეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ყოფილი თანაშემწე კარელ სრბა კარგა ხანი ცდილობდა, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ ინფორმაციები მისი კორუმპირებულობის შესახებ მხოლოდ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფი იყო და რომ 330 ათას დოლარად შეფასებული ფეშენებელური სახლი და ორი მოზრდილი ფერმა მან დედის მიერ დანატოვარი ფულით შეიძინა. დედამისმა კი ფული, თურმე, გარდაცვლილი მეუღლის ფეხსაცმლის ყუთში აღმოაჩინა.

მაგრამ სხვა ბრალდებებს მან ვეღარაფერი დაუპირისპირა. 29 წლის ჩეხმა ჟურნალისტმა, საბინა სლონკოვამ გასული წლის ივნისში ყოველდღიურ გაზეთ "მლადა ფრონტა დნეში" გამოაქვეყნა სენსაციური ინფორმაცია, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის კორუფციულ საქმიანობას შეეხებოდა.

ჟურნალისტების მტკიცებით, საგარეო საქმეთა მინისტრის იმჟამინდელი თანაშემწე კარელ სრბა უშუალოდ მონაწილეობდა მოსკოვში ჩეხეთის კუთვნილი შენობის გაყიდვასთან დაკავშირებულ გარიგებაში, რის გამოც სახელმწიფომ 3,3 მილიონი დოლარი იზარალა.

გამოძიების პროცესში ჟურნალისტებმა საგარეო საქმეთა მინისტრის ბიოგრაფიიდან სხვა უცნობი ფურცელი, კერძოდ, უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ისტორია ამოქექეს. პუბლიკაციის გამოქვეყნების შემდეგ კარელ სრბას თანამდებობის დატოვება მოუწია, მაგრამ, როგორც ირკვევა, მან კარის გაჯახუნება გადაწყვიტა და ჟურნალისტის მოსაკლავად სამი ადამიანი დაიქირავა, მათ შორის, ბოჰემიელი ბიზნესმენი კარელ ჟეპიელი, რომელმაც თავად აცნობა პოლიციას მკვლელობის სამზადისის შესახებ.

სკანდალის გახმაურების შემდეგ ჩეხეთის საზოგადოება კიდევ უფრო იმან აღაშფოთა, რომ მკვლელობის მცდელობის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი დიპლომატი ჩეხეთის საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრთან და პარლამენტის წევრ იან კავანთან დაახლოებული პირი აღმოჩნდა და რომ, სრბას ბიოგრაფიაში არსებული "შავი ლაქების" მიუხედავად, სწორედ კავანმა შეუწყო 1998 წელს ხელი მის ელვისებურ კარიერას.

სწორედ ამიტომ, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი კავანისგან მოითხოვს, რომ მან მორალური მოსაზრებით უარი თქვას გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეობაზე, რასაც ჩეხეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი არ იზიარებს და იმედოვნებს, რომ "საღი აზრი და რაციონალური მიდგომა მალე გაიმარჯვებს."

კავანი არც იმას გამორიცხავს, რომ სრბას მიმართ წაყენებული ბრალდება უსაფუძვლო აღმოჩნდეს. ამასვე ფიქრობენ ეჭვმიტანილის ადვოკატი და მეუღლე, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მკვლელები ვინმე ევა ტომშოვიცოვამ დაიქირავა, რომელსაც მისი მეუღლის საყვარლად გახდომა სურდა.

მიუხადავად იმისა, რომ ამ სკანდალური საქმის გამოძიება გრძელდება, ერთი რამ ფაქტია: შურისძიების მიზნით ჟურნალისტის მკვლელობის მცდელობამ სერიოზული ზიანი მიაყენა ჩეხეთის დემოკრატიას, ამიტომ იმ პირებს, რომლებიც ჩეხეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს გაეროს ასამბლეის თავმჯდომარეობაზე უარის თქმას ურჩევენ, 24 ივლისს პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველიც შეუერთდა.

ყველაფერი კარგად იქნებაო - ბოლოს თქვა



გელა და ვახო სანაიები

მაია ჭალაგანიძე

ეს ბიჭები დიდმა ტრაგედიამ გახადა ცნობილი.

მათ ძმა მოუკლეს.

გელა და ვახო სამტრედიაში იყვნენ და, მგონი, არც აპირებდნენ "ღამის კურიერის" ყურებას... ზაფხულის საღამო იყო, თავისი გასართობი ჰქონდათ...

ვახო: მეზობელმა გვითხრა იმავე საღამოს. არ ვიჯერებდით.

- ახლა როგორ ცხოვრობთ?

გელა: გიოს გარეშე. რაც დრო გადის, უფრო მძიმეა. ერთი წელი გავიდა და ვერ ვიტყვი, რომ დრო მკურნალია...

ვახო: იმ დღეებში, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი რამ ხდებოდა. ვიცოდით, რომ ხალხს უყვარდა, მაგრამ ამას არ ველოდით... იმ მძიმე წუთებშიც რაღაც ოდნავი სიამაყის გრძნობა გვეუფლებოდა გიოს გამო. რაღაცნაირად, გვიმსუბუქებდასავით....

მათ ბავშვობასა და ძმობაზე ამ ერთი წლის მანძილზე ბევრი დაიწერა. შევატყე, სიამოვნებდათ უფროს ძმაზე საუბარი.

ვახო: ჩვენს შორის ათი წელია სხვაობა. რა თქმა უნდა, პატივს ვცემდი, მაგრამ ხშირად თანატოლივით მექცეოდა. საკამათო საკითხები თითქოს არ გვქონდა. ხანდახან, ისწავლეო - მეჩხუბებოდა.

გელა: თვითონ მაინცადამაინც ბეჯითი არ ყოფილა. ჰუმანიტარული საგნები უყვარდა და რომც არ წაეკითხა, იცოდა. ერთხელ გამიწია სერიოზული წინააღმდეგობა, როცა საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე - არსადაც არ წახვალო, მითხრა.

- ახლა არ გაქვს ეგ სურვილი?

- ახლა, მით უმეტეს, არსად წავალ.

გელა ძალიან ჰგავს გიოს გარეგნობით, საუბრის მანერით და ზოგჯერ, ღიმილითაც. მან ეს იცის. ვახო გარეგნობით არ ჰგავს, მაგრამ პროფესია კი ერთი ექნებათ. წელს ის უნივერსიტეტში აბარებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ვახო: გიომ იცოდა ამის შესახებ და მომიწონა არჩევანი. უბრალოდ, ვფიქრობდი, სპორტზე დამეწერა თუ პოლიტიკის შესახებ. ახლა ზუსტად ვიცი, რომ პოლიტიკაზე დავწერ.

- გიოს გადაცემები თუ მოგწონდა?

- რა ვიცი, მაშინ სულ სხვა ინტერესები მქონდა და მაინცადამაინც შემფასებლად არ გამოვდგებოდი. თან ოჯახს ხომ ყველაფერი მოსწონს...

გელა ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს და პატარა ფეხბურთელებსაც წვრთნის, "ცეესკას" სკოლაში. ვახო, ისე, როგორც ყველა მომავალი ჟურნალისტი, წერდა ბავშვობიდან. მაგრამ ლექსებს არ წერდა. წერდა ფეხბურთზე. ვთხოვე - არსად მინახავს ჩანახატები ფეხბურთზე, იქნებ გამოგვაქვეყნებინო-მეთქი... გიოს სპორტულობაზე კი ორივეს გულიანად გაეცინა.

გელა: საშინლად არასპორტული იყო. ფეხბურთის სათამაშოდ ნუ ჩამოდიხარ-თქო, ვეჩხუბებოდით, ხელს გვიშლიდა, გვირევდა ყველაფერს. ჩვენი სახლი სოხუმში ზღვის სანაპიროზე იდგა. გიომ კი ცურვაც ისე რა იცოდა.

- აფხაზეთში დაბრუნებაზე გისაუბრიათ, ალბათ.

- ძალიან ადრე თქვა, ცოტა ხნით დაივიწყეთ აფხაზეთიო. იმედი არ ჰქონდა დაბრუნების, თუმცა, ბოლოს რომ ჩამოვიდა, კარგ ხასიათზე იყო. სამსახურშიც კარგად ჰქონდა საქმეები და ყველაფერი კარგად იქნებაო, თქვა.

- პრესა. ათასი რამ იწერება, ტყუილიც, მართალიც. როგორ ხვდებით ამას?

- სახლში დიდი ხანია არ მიმიტანია გაზეთები. განსაკუთრებით დეს ვუფრთხილდები. მე, თითქოს, ჭორებზე რეაქციაც აღარ მაქვს. თუმცა, ყველაფერს გიოს მეგობრები გვატანინებენ. ხშირად მოდიან. ახლაც, წლისთავისთვის ისე მოემზადნენ, ოჯახს არაფერი გაგვიგია.

სანდრო. ეს არის სანაია, რომელზეც ყველა დანარჩენ სანაიას მზე და მთვარე ამოსდის (სხვაგვარად ვერ გამოხატავენ თვითონაც).

გელა: ძალიან ჰგავს მამას და არამარტო გარეგნულად. მასავით მოუსვენარია და მოძრავი, თან არასპორტული. ჩემს პატარა ფეხბურთელებთან ერთად შეკრებაზე მყავდა, ვარჯიშობდა. მამასავით არაფერი გამოსდის სპორტში... მაგრამ ძალიან გაიხარა და გაერთო. ხშირად ითხოვს სასაფლაოზე წასვლას. არ ვიცი, რა მოსწონს იქ, ალბათ, მამასთან რომ მიდის.

- გავა დრო და სანდრო, ალბათ, დაგისვამთ ასეთ შეკითხვას - რა მოხდა?! გიფიქრიათ, რა უნდა უპასუხოთ?

- დღეს რომ სანდრო დიდი იყოს და მკითხოს - ვერაფერსაც ვერ ვუპასუხებდი. თვითონ არაფერი ვიცი. სიმართლე არ ვიცი. ხათუნა, გიოს ცოლი - ძალიან ძლიერი ადამიანია. ყოველთვის, ყველაფერში მის გვერდით ვიდგებით. ის იბრძვის, იძიებს...

- რამეს მიაკვლია?

- დარღვევებს. უამრავ დარღვევას.

- თუ იცნობთ საქმეს, რომელიც დახურულად გამოაცხადეს?

- არა, არ ვიცნობთ. ვიცი, რომ იქ 10 ტომია.

- როგორი იქნება სიმართლე?

- სიმართლე დღეს და ხვალ არ მგონია, გაირკვეს, მაგრამ როცა ნამდვილი მკვლელი გამოჩნდება, მაშინ... დღეს ვერ გეტყვით, როგორ მოვიქცევი მაშინ.

თავიდანვე მინდოდა გამეფრთხილებინა, რომ ეს იყო შემთხვევა, როცა არაფერს მოვითხოვდი რესპოდენტებისაგან. ისინი, სამწუხაროდ, დიდმა ტრაგედიამ გახადა ცნობილი.

საუბარი დამთავრდა. წავიდნენ.

ერთი ძალიან ჰგავს გარეგნობით, მეორე კი - პროფესიით დაემსგავსება.

გიო რომ მოკლეს

ზაზა ფაჩუაშვილი

გიორგი სანაია რომ მოკლეს, მაშინ ჩემი სიხარულის ერთი ნაწილი თვითნებურად გამომეყო და იმ დღეებში დარჩა. რას გავაწყობდი, წინააღმდეგობა არ გამიწევია, მაგრამ აგერ უკვე ერთი წელია, ამაოდ ვეძახი და ვუხმობ. თვითონაც წვალობს, დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ შარშანდელი 26 ივლისის აქეთ ვეღარ გადმოდის. თავად გიორგის ბარიერებს ვერ სძლევს – დაიძრება თუ არა სიხარული ჩემსკენ, შეასკდება გიორგის ღიმილს და ცხვირპირს იმტვრევს. ღიმილს რომც გამოსცდეს, მაინც არაფერი გამოუვა, აქეთ კიდევ ერთი ბარიერი დახვდება - აი ის, პირველი გაცნობისას რომ ჩასიხარულდა. მაშინ ჟურნალისტები კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ეზოში ვიდექით და უმაღლესი ეშელონების ორი ახალი ვაგონის შეპირაპირებას ველოდით. "შვიდთვიანი" სამთავრობო დაცვის გადამკიდე, ცოტა ვნერვიულობდი, ვაითუ რამე ვერ დავინახო და გავიგონო–მეთქი. გიორგი კი ტროტუარზე იჯდა და ვაშლს ჭამდა. არ გინდაო, იცინოდა. რაც უფრო მეტი ლუკმა აკლდებოდა მის ვაშლს, მით უფრო ხელმისაწვდომი ხდებოდა მთავრობა.

ასეთი სხვა მრავალი ბარიერია და ყველას ღიმილი ამაგრებს. ვეუბნებოდი იმ ჩემს სიხარულს, არ დარჩე–თქო, მაგრამ, მეგობრებს ვერ დავტოვებო, ცოტ-ცოტა სიხარული ყველას რჩება, შენ რა დაგემართაო, ცოტა ხანი ვიქნებით და მერე გიორგის სიხარულთან ერთად დაგეწევითო. გიორგის სიხარული კი ადგილიდან ვეღარ დაიძრა, ბარიერებიც რომ ზურგზე მოიკიდოს და ასე, წარსულში ჩარჩა სიხარულთა მთელი საზოგადოება; და მეც ვეღარ გავმთლიანდი.

ახლა საზოგადოებაზეც ვიფიქროთ, როდემდე უნდა იყოს სიხარულჩამოთლილი, დაიცლება ბოლოსდაბოლოს.

ერთი წლის შემდეგაც არაფერი ვიცით...

ინგა ალავიძე

ზუსტად ერთი წლის წინ, 26 ივლისის ღამეს, ტყვიასავით გავარდნილმა ერთადერთმა წინადადებამ - "გიორგი სანაია მოკლეს" - მთელი თბილისი ქუჩაში გამოიყვანა. გიორგი სანაიას მკვლელობიდან ერთი წელი გავიდა. ამ საიდუმლოებით მოცული მკვლელობის თაობაზე დღესაც ბევრს საუბრობენ. ირჩევა მკვლელობის გახმაურებული დეტალები, ვრცელდება ვერსიები, ჭორები...

სამწუხაროდ, ჩვენ დღეს დაზუსტებით არ შეგვიძლია თქმა, რატომ, ვინ ან ვისი შეკვეთით მოკლა გიორგი სანაია, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ყველაფერია მოსალოდნელი...

ვერსიები, ვერსიები

დღესაც, მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგაც, ცნობილია მხოლოდ ის და დარწმუნებითაც მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ 26 ივლისს, გამთენიისას გასროლილმა ერთადერთმა ტყვიამ გიორგი სანაია სიცოცხლეს გამოასალმა. საზოგადოებამ ამ მკვლელობის თაობაზე ერთი წლის შემდეგაც იმდენი იცის, რამდენიც 26 ივლისის ღამეს გაიგო - გიორგი მოკლეს.

თუმცა, მკვლელობის ღამესვე საზოგადოება ალაპარაკდა მკვლელობის მოტივზე - ეს იყო ვერსია შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის თაობაზე. ამ ვერსიას ხელისუფლებაც იზიარებდა.

"გიორგი სანაიას მკვლელობა ეროვნული უბედურებაა. დღეს მე სიმშვიდისკენ არავის მოვუწოდებ, რადგან ვერ დავმშვიდდები ამ უბედურების ფონზე. გიორგი სანაიას მკვლელობა - კაენის ცოდვა - მიუტევებელია. მკვლელობა უნდა გაიხსნას! დაუშვებელია აბსურდული ვერსიების გავრცელება... მე არ გამოვრიცხავ არც ერთ ვერსიას, მათ შორის, არც პოლიტიკურ მოტივს..." – განაცხადა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც ძალიან კარგად გრძნობდა ფარულ საფრთხეს და ამიტომაც ბაქოში ოფიციალური ვიზიტი და დიდი ენერგეტიკული ხელშეკრულების ხელმოწერაც კი ჩაშალა.

პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემაც გიორგი სანაიას მკვლელობას პოლიტიკური შეფასება მისცა - თავისუფალი ჟურნალისტიკისადმი ნასროლ ტყვიად მიიჩნია და პარლამენტის საგანგებო სესია ერთი კვირით გადადო.

ხელისუფლების წარმომადგენლები ერთსულოვანნი იყვნენ: გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივად დიდ პოლიტიკურ თამაშებს მიიჩნევდნენ.

პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, განსაკუთრებული რადიკალიზმით იყო "დამუხტული" უბრალო მოსახლეობა. ჩვეულებრივი საზოგადოებაც მკვლელობის მოტივად პოლიტიკას ასახელებდა, თუმცა, ხელს ხელისუფლებისკენ იშვერდა და შემკვეთ-შემსრულებელს ხელისუფალთა "მაღალ წრეში" ეძებდა.

საზოგადოების გარკვეული ნაწილი მკვლელობის შემკვეთად ედუარდ შევარდნაძის რეჟიმს ასახელებდა. ეს ვერსია შემდეგნაირად დასაბუთდა: ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობა "რუსთავი 2"-სა და, საერთოდ, თავისუფალი მასმედიის დაშინებას ისახავდა მიზნად.

მორიგი პოლიტიკური ვერსიის მიხედვით, გიორგი სანაიას მკვლელობა უმაღლესი ხელისუფლების მიერ ზურაბ ჟვანიას გუნდის წინააღმდეგ დაგეგმილი სპეცაქცია გახლდათ. იყო გავრცელებული საპირისპირო ვერსიაც, რომ მკვლელობა ზურაბ ჟვანიას გუნდმა შეუკვეთა. ორივე ვერსიის სასურველ ფინალად დესტაბილიზაცია სახელდებოდა.

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, მკვლელობა რუსეთის სპეცსამსახურებმა დაგეგმეს და სისრულეში ქართველი "დამხმარეების" საშუალებით მოიყვანეს: მკვლელობის მიზანი საქართველოში დესტაბილიზაციის ტალღის აგორება იყო.

ყველაზე გახმაურებული ვერსიით, გიორგი სანაიას სიცოცხლე პანკისის ხეობიდან ჩამოტანილ კასეტას შეეწირა. როგორც ამბობდნენ, ვიდეოფირზე ნარკომაფიაში პოლიციის მაღალჩინოსანთა მოღვაწეობის დამადასტურებელი მასალები იყო ჩაწერილი. გამოითქვა სერიოზული ეჭვი, რომ გიორგი სანაია შსს-ს ყოფილი თანამდებობის პირების შეკვეთით მოკლეს, რათა თავიანთი დანაშაულის კვალი წაეშალათ.

საუბარი იყო კიდევ ერთ ვერსიაზე, ასლან აბაშიძის მიერ გიორგი სანაიასთვის გადაცემულ კასეტაზე, რომელშიც კვლავ შსს-სა და სახელმწიფო კანცელარიის ყოფილი მაღალჩინოსნების ნარკობარონობაზე იყო საუბარი.

ითქვა ისიც, რომ გიორგი სანაიას მკვლელობა, შესაძლოა, ხელისუფლების მაღალი შტოს წარმომადგენლებს შეეკვეთათ, მათ, ვისი საეჭვო პირადი ცხოვრების შესახებაც ჟურნალისტი ძალიან სერიოზულ ინფორმაციებს ფლობდა.

ერთი სიტყვით, ვერსიები გიორგი სანაიას მკვლელობის შესახებ მრავლად გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ ყველა გავრცელებულ ვერსიაში შემკვეთის სტატუსი ხელისუფლებას ჰქონდა მინიჭებული, ანუ პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ.

გამოძიება "ჩაკეტილ წრეში"

გიორგი სანაიას მკვლელობის მომდევნო დღეებში შსს-მ კატეგორიულად უარყო ვერსია შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობის შესახებ.

გენერალურმა პროკურატურამ კი, რომელსაც საქმის ძიება დაევალა, მკვლელობის საყოფაცხოვრებო მოტივზე დაიწყო საუბარი. კანონდამცველები არ გამორიცხავდნენ, რომ გიორგი სანაია, შესაძლოა, პირადი ანგარიშსწორების მიზნით ყოფილიყო მოკლული. მაგრამ მოგვიანებით გენერალურმა პროკურატურამ კატეგორიულად გამორიცხა სამუშაო ვერსია, თითქოსდა ჟურნალისტი მძარცველებმა მოკლეს.

ბოლოს, პოლიცია-პროკურატურამ გიორგი სანაიას პირადი ცხოვრების რევიზიაც ჩაატარა და თავდაპირველად ვერსიის სახით გავრცელებული არგუმენტი გაამყარა.

"გრიცკოს" – გრიგოლ ხურცილავას სქელტანიან საბრალდებო დასკვნაში, დაახლოებით, ასე ჩაიწერა: გრიგოლ ხურცილავას ბრალად ედება განზრახ მკვლელობა, ჩადენილი შურისძიების მოტივით, რომელიც მოკლულსა და მკვლელობაში ბრალდებულს შორის მომხდარმა კონფლიქტმა გამოიწვია.

საერთოდ კი, გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიება "ჩაკეტილ წრეში", ძალზე გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. არადა, გამოძიება, ფაქტობრივად, უკვე დასრულებულია, ხურცილავას საბრალდებო დასკვნა შედგენილია და პროკურატურის თაროებზე 10-ტომიანი საქმის მასალები დევს.

"არ გეტყვით", "კონკრეტულად ვერაფერს გიპასუხებთ", "დაგვაცადეთ, ვმუშაობთ", "დაელოდეთ სასამართლოს", - კანონდამცველები მსგავსი ბუნდოვანი შინაარსის პასუხებით იშორებდნენ ჟურნალისტებს. ჩინოსნებმა დამკვიდრებულ ტრადიციას ახლა, რატომღაც, საეჭვოდ უღალატეს: თუ წინათ, სხვა რეზონანსულ საქმეებზე საუბრისას სიტყვაუხვობით გამოირჩეოდნენ და სკანდალური პრესკონფერენციების გამართვასაც არ ერიდებოდნენ (ხშირ შემთხვევაში, ეს შუაღამითაც ხდებოდა), ახლა "პირში წყალი ჩაიგუბეს" და დუმილის გზა აირჩიეს. თუ არ ჩავთვლით ახლადდანიშნული შს მინისტრისა და გენერალური პროკურორის მიერ ჟურნალისტებისთვის გაკეთებულ მოკლე "მესიჯს" – საქმე გაიხსნა, მკვლელი დაპატიმრებულია.

გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე დღესაც კატეგორიულად, უფრო მეტი დარწმუნებით აცხადებს: **"საქმის ძიება დასრულდა, დარწმუნებული ვარ, გიორგი სანაია გრიგოლ ხურცილავამ მოკლა, მეტს ვერაფერს გეტყვით"**, - ამბობს მთავარი სამართალდამცველი, რომელმაც მოვლენებს გაუსწრო და სასამართლო განაჩენამდე დასდო მსჯავრი ჯერჯერობით ბრალდებულს.

ამერიკელთა დასკვნა, შესაძლოა, საქმის დაშლის საფუძველი გახდეს

ამერიკელი ექსპერტების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნები უკვე გენერალური პროკურატურის საქმეში დევს. პროკურატურა, საქმის სხვა დეტალების მსგავსად, ჩამოსულ დასკვნაზე საუბარსაც კატეგორიულად არიდებს თავს.

თუმცა, მას შემდეგ, რაც ექსპერტიზის პასუხები სპეცფოსტით ჩამოვიდა საქართველოში, გიორგი სანაიას მეუღლემ, ხათუნა ჩხაიძემ, გამოძიების საქმიანობა კიდევ ერთხელ დააყენა სერიოზული ეჭვის ქვეშ. ასეთ განცხადებას ის აშშ-დან ჩამოსული დასკვნის საფუძველზე აკეთებს.

გენერალურმა პროკურატურამ აშშ-ს ფედერალურ ბიუროს გამოსაკვლევად გადაგზავნილ მასალებზე დნმ-ის განსაზღვრა სთხოვა. დნმ-ს შეიცავს ადამიანის ორგანიზმის ნებისმიერი უჯრედი. დნმ-ით იდენტიფიცირება ხდება და შეცდომა, პრაქტიკულად, გამორიცხულია. იდენტურობის დასადგენად, ექსპერტიზა ჩაუტარდა გიორგი სანაიას სახლიდან ამოღებულ ნივთებზე არსებულ მიკრონაწილაკებს და ხურცილავას ტანსაცმლის მიკრონაწილაკებს. ხურცილავასაგან აღებული დნმ-ი არ დაემთხვა მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილ დნმ-ებს. ანუ, ამერიკელმა ექსპერტებმა, გიორგის დნმ-ის გარდა, კიდევ ორი უცნობი ორგანიზმის დნმ-ი აღმოაჩინეს.

თუმცა, ექსპერტიზამ მკვლელობის ადგილიდან ამოღებულ არყის ჭიქაზე ხურცილავას თითის ანაბეჭდები აღმოაჩინა.

აშშ-ში ჩატარებული ექსპერტიზა 10-ტომიანი საქმის დაშლის მყარ საფუძველს იძლევა. გამოძიების მიერ "ნაკერი" საქმე, შესაძლოა, ხელახალ ძიებაში დაბრუნდეს, რადგან გენერალურ პროკურატურას მკვლელობის დღეს გიორგი სანაიას ბინაში მყოფი კიდევ ორი პიროვნების ვინაობის დადგენაზე არ უზრუნია. არადა, ორი უცნობი, და ისიც მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ბინაში რომ იმყოფებოდა, ეს ამერიკელმა ექსპერტებმა დაასკვნეს.

მკვლელობის მოტივი სასამართლოზე დასახელდება

საქმის ხელახალ ძიებაში დაბრუნების პერსპექტივას არ გამორიცხავს გრიგოლ ხურცილავას ადვოკატი დავით დადიანი.

- პროკურატურამ, ფაქტობრივად, დაასრულა საქმის ძიება, ეთანხმებით გამოძიების მიერ მიკვლეულ მკვლელობის მოტივს?

- წინასწარ ძიებაში მკვლელობის მოტივი არ დასახელებულა, მოტივი დასახელდება სასამართლო პროცესზე.

- რატომ არ დასახელდა მოტივი?

- იმიტომ, რომ პროკურატურამ ვერ შეძლო პირობების შექმნა, რითიც ხურცილავას მიეცემოდა საშუალება, დაესახელებინა რეალური მოტივი. მან მიმართა გენერალურ პროკურორს წერილით, რომ გამოძიებას აღარ მისცემდა ჩვენებას, რადგან ის არ იქნებოდა გაზიარებული პროკურატურის უსუსური მდგომარეობის გამო.

- გიორგი სანაიას მკვლელობის თაობაზე რამდენიმე პოლიტიკური ვერსიაა გავრცელებული. შეგიძლიათ, დაადასტუროთ, რომ ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა?

- იმდენად, რამდენადაც ხურცილავას ჯერ არ დაუსახელებია მკვლელობის მოტივი, მე ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

- ამერიკიდან ჩამოსულმა ექსპერტიზის პასუხებმა კიდევ ერთხელ შექმნა გამოძიებაში ეჭვის შეტანის საფუძველი...

- ამ ექსპერტიზის პასუხებში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რომლის გამოყენებაც, შეიძლება, მოსახერხებელი გახდეს იმ მოტივის გასამაგრებლად, რომელსაც ხურცილავა სასამართლოზე დაასახელებს...

- ანუ, ხურცილავას ჩვენება, რომელსაც იგი სასამართლოს მისცემს და ექსპერტიზის პასუხები ერთმანეთთან კავშირშია?

- შეიძლება ერთმანეთთან კავშირში იყოს, ეს მას შემდეგ გახდება ცნობილი, როცა ხურცილავა მოტივს დაასახელებს, ამის შესახებ მე ახლა ვერაფერს გეტყვით. საერთოდ, ვაპირებთ, ამერიკელი ექსპერტები სასამართლოზე მოვიწვიოთ.

- პროკურატურა მკვლელობის მოტივად შურისძიებას ასახელებს, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, არ ეთანხმებით მას.

- გამოძიებამ შეიმუშავა რაღაც მოტივი, ამბობს, რომ მკვლელობა მოჰყვა შელაპარაკებას, ანუ შურისძიების ნიადაგზე მოხდაო. ხურცილავა არ ეთანხმება ამას და ამბობს, სასამართლოზე ვიტყვი ყველაფერსო. ამიტომაც, დაველოდოთ სასამართლო პროცესს, სადაც ყველა ყველაფერს იტყვის და სადაც, ალბათ, უნდა დადგინდეს, რა მოხდა რეალურად. მეტს ვერაფერს გეტყვით

ხურცილავა წარდგენილ ბრალდებებში თავს დამნაშავედ ნაწილობრივ ცნობს, მეც ვიზიარებ მის პოზიციას. ის სიმართლეს სასამართლოზე იტყვის.

- სასამართლოზე ხომ არ ითქმება, რომ ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა?

- წინასწარ ვერაფერს გეტყვით, რადგან მე არ ვიცი, რა საიდუმლოს ინახავს ხურცილავა და რის თქმას აპირებს ის სასამართლოზე.

ამბობენ, რომ ჩვენი ინტერესები შეუთავსებელია, რომ ჩემსა და ხურცილავას შორის არსებობს წინააღმდეგობა. ეს არასწორია, ჩვენი პოზიციები შეთანხმებულია.

- სერიოზულ ეჭვებს აღძრავს განვითარებული მოვლენები, ხურცილავას დაკავების პროცედურა, შენახული მტკიცებულებები, რომელიც ხურცილავამ მკვლელობის ადგილიდან წამოიღო, მაგრამ არ გადაყარა...

- კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, ეს ყველაფერი არის პროკურატურის მიერ შექმნილი მასალები, რომელიც თითოეულმა მხარემ უნდა გამოიყენოს თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, ამდენად არ მიმაჩნია სწორად, დღეს ჟურნალისტებს ველაპარაკო იმის შესახებ, რაც სასამართლოზე უნდა ითქვას. ეს ჩვეულებრივი იურიდიული ეთიკის საკითხია და ამიტომაც ვერაფერს გეტყვით.

- როგორ ფიქრობთ, სასამართლო საქმეს წინასწარ ძიებაში ხომ არ დაბრუნებს?

- შესაძლოა. ვნახოთ, რას იტყვის ხურცილავა სასამართლოზე, შესაძლებელია, საქმე წინასწარ ძიებაში დაბრუნდეს.

საქმის პოლიტიკური პერსპექტივა

სამწუხაროდ, გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივები ჯერჯერობით ბურუსითაა მოცული. თვით ჩვენ, მისმა კოლეგებმაც კი, არ ვიცით, ვისი ხელი "ურევია" ამ დანაშაულში. თუმცა, ერთის თქმა შეგვიძლია: გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიებაში სახელმწიფო ინტერესი უნდა დომინირებდეს. ანუ, ძიების შედეგები (რომელიც ასე გასაიდუმლოებულია) გამჭვირვალე უნდა იყოს, რადგან ათასობით ადამინმა, რომელიც გიორგი სანაიას ცხედარს უკანასკნელ გზაზე მიაცილებდა, დაადასტურა, რომ ეს არ იყო ერთი ადამიანის მკვლელობა... ხალხი სახელმწიფო რეჟიმს, სახელმწიფო სისტემას უცხადებდა პროტესტს და, ცხადია, მართალიც იყო.

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის მასალები უზენაეს სასამართლოში, სავარაუდოდ, ოქტომბერ-დეკემბერში გადაიგზავნება. საქმეში ჩახედულთა თქმით, პროცესის დაწყება პოლიტიკური მოსაზრებით გაიწელება და დასასრულიც პოლიტიკურ "ნოტებზე" იქნება აწყობილი. რაც იმას ნიშნავს, რომ ის, თუ რა მოხდა ერთი წლის წინ, 26 ივლისის გამთენიისას, რეალურად ვინ და რატომ მოკლა გიორგი სანაია, საზოგადოებისთვის კვლავ საიდუმლოებით მოცული დარჩება. ყველაფერი ტრადიციული ქართული სამართალწარმოების შესაბამისად წარიმართება და იმავე გრიგოლ ხურცილავას ბრალეულობა თუ უბრალოება ისევე დარჩება დაუსაბუთებელ-დაუმტკიცებელი, როგორც აქამდეც არაერთ საეჭვოდ გამოძიებულ საქმეს დასმია არალოგიკური წერტილი.

ვინ მოიპოვებს მედია-ტირანის საპატიო ტიტულს



ფიდელ კასტრო



რობერტ მუგაბე



სადამ ჰუსეინი

თამარ ბაბუაძე

ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (CPJ) საერთაშორისო ორგანიზაციაა და სახელწოდებიდან გამომდინარე, მედიის თავისუფლებისთვის ზრუნავს. რეპორტიორებზე ძალადობის ფაქტების აღრიცხვა, მედია-ტირანების გამოვლენა, გამბედავ ჟურნალისტთა დაჯილდოება – ეს სულ CPJ-ის ფუნქციებია.

სხვა საკითხია, იცვლება თუ არა რეალობა ჟურნალისტიკაში ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ. თუმცა, სიტყვას მაინც უდიდესი ძალა აქვს და CPJ-ის ისტორიაშიც არსებობს პრეცედენტები, როცა მხილების შემდეგ საერთაშორისო ლიდერებმა სახელისუფლო პოსტები დატოვეს. მაგალითად, 2001 წლის მედია-ტირანთა "საპატიო" ჩამონათვალში უკვე აღარ ფიგურირებენ სიერა ლეონეს ლიდერი ფოდაი სანკოჰი, პერუს პრეზიდენტი ალბერტო ფუჯიმორი და იუგოსლავიის მმართველი სლობოდან მილოშევიჩი. სამივე ლიდერი დღეს არათუ სახელისუფლო პოსტების, არამედ საერთოდ პოლიტიკის მიღმაც დარჩა.

თუმცა, საკმაოდ ხშირად ხდება ისეც, რომ ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტს "გამეორება ცოდნის დედაა"-ს პრინციპით, მედია-ტირანთა ჩამონათვალში ერთი და იგივე ფიგურების შეყვანა უწევს. ეს უბრალო მიზეზის გამო ხდება – ქვეყნის მმართველები, საერთაშორისო მასშტაბით მხილების მიუხედავად, მედიაზე ზეწოლას მაინც არ იშლიან. CPJ-ის ბოლო სიაში ასეთებიც ბლომად არიან – ირანის უზენაესი ლიდერი, აიათოლა ალი ხამენეი, ჩინეთის პრეზიდენტი ძიან ძემინი... თუმცა, მათ "ახალბედებიც" უმშვენებენ გვერდს – ლიბერიის პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი, ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე, რუსეთის ლიდერი ვლადიმირ პუტინი და კოლუმბიელ პარამილიტარისტთა ლიდერი კარლოს კასტანიო.

2001 წლის სიაში ისეთებიც მოხვდნენ, რომლებიც მხოლოდ "დროებით გამოსწორდნენ". მაგალითად, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა მედია-ტირანთა ჩამონათვალში უკანასკნელად 1999 წელს ფიგურირებდა, თუმცა, შემდეგ დემოკრატის ნიღაბი სახეზე ვეღარ გაიჩერა და 2001 წელს ჟურნალისტთა შევიწროვებით თავი კვლავაც ისახელა.

თუმცა, ამ სიაში ყველაზე კოლორიტული ფიგურა მაინც ფიდელ კასტროა. კუბის უცვლელი, და ღამის მარადიული მმართველი მედია-ტირანთა სიის ვეტერანი და უხუცესი წევრია. ის ჟურნალისტთა მტრების სიას უკვე მეშვიდე წელია, ამშვენებს. მას ოდნავ ჩამორჩება ტუნისის ლიდერი ალ-აბდინ ბენ ალი – პრეს-ტირანობის ოთხწლიანი გამოცდილებით და მალაიზიის პრემიერ-მინისტრი, მაჰატირ მოჰამედი – ჟურნალისტთა შევიწროვების საქმეში შეტანილი სამწლიანი წვლილით.

"მიუხედავად იმისა, რომ პრესის შარშანდელი მტრები, სიერა ლეონეს, პერუს და იუგოსლავიის ლიდერები ხელისუფლებას ჩამოაშორეს, მათი შემცვლელი კანდიდატების ნაკლებობა მაინც არ გვიგრძვნია", - ირონიულად შენიშნა CPJ-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ენ კუპერმა, - "ცბიერები არიან თუ სასტიკები, თითოეული ამ ლიდერის მიზანია პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნება ინფორმაციის და კრიტიკის კონტროლით", - დასძინა კუპერმა.

კუპერმა, შედარებისთვის, პრეზიდენტ პუტინის მაგალითი გაიხსენა. რუსეთის პრეზიდენტი პრესაზე კონტროლის მოპოვების სურვილს ღიად არ აფიქსირებს, მაგრამ კრიტიკული აზრის მოსპობა და დამოუკიდებელი პრესის დამარცხება მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად რჩება. პუტინისგან განსხვავებით, სხვა ლიდერები ამ არადემოკრატიული სურვილების შენიღბვით თავს არც იწუხებენ. მაგალითად, მედია-ტირანობის სულ არ რცხვენია მალაიზიის პრემიერ მაჰატირს.

თავად განსაჯეთ, რამდენად ეფექტურია ტირანი მმართველების მხილება, რეალურად კეთდება, თუ რაიმე დემოკრატიული პრინციპების განსახორციელებლად და მსოფლიო სიმშვიდის დასამყარებლად. CPJ-ის აღმასრულებელი დირექტორი ენ კუპერი კი დარწმუნებულია, რომ "პრეს-ტირანების დასახელებით, მათ საქმიანობაზე ყურადღებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავამახვილებთ და მათი მხილებით ცვლილებას მივაღწევთ".

სად ჯობს ცხოვრება...

სანამ ცვლილება განხორციელდებოდეს და ჟურნალისტებისათვის სამუშაოდ "სამოთხის პირობები" შეიქმნებოდეს, დედამიწა კვლავაც სახიფათო საცხოვრებელ და სამოღვაწეო ადგილად რჩება. ამას, რიგით მოსახლეობაზე უფრო მეტი სიმძაფრით, ჟურნალისტები გრძნობენ, რადგან მსოფლიოში ბოლო ხანს მომრავლებულ ცხელ წერტილებში მოღვაწეობა სწორედ მათ უხდებათ.

CPJ ყველაზე სახიფათო რეგიონების "საუკეთესო" ათეულსაც ადგენს. ამ კატეგორიაში ცალკეული რეგიონები ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის თუ სამხედრო ოპერაციების გამო მოხვდნენ. ბოლოს შედგენილ ათეულში, რომელიც ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტმა მსოფლიო პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით გამოაქვეყნა, იორდანიის აღმოსავლეთ სანაპირო ლიდერობს. პალესტინელი სამხედროები იქ განსაკუთრებით ფოტოჟურნალისტებს ატერორებენ.

მეორე ადგილზეა კოლუმბია, ადგილობრივი პრესა ინფორმაციის გაშუქებისთვის ძალზე მაღალ საფასურს იხდის – იტანს ძალადობას და შევიწროებას და თითოეული კრიტიკული წერილის გამოქვეყნებით სასიცოცხლო რისკს იწვევს. გასულ ათწლეულში კოლუმბიაში 29 ჟურნალისტი მოკლეს. იქ ყველაზე მწვავე და სარისკო თემებია ნარკოკარტელების, კორუფციის და სამოქალაქო კონფლიქტის გაშუქება – ანუ, იმ საკითხებზე წერა, რომელთაც მედია გვერდს ვერაფრით აუვლის. ასეთ მწვავე ფონზე ხომ ჟურნალისტი მხოლოდ სიყვარულზე ან თუნდაც ყავის ინდუსტრიის განვითარებაზე ვერაფერს დანერს...

პირველ სამეულში მოხვდა უკვე ქრონიკულ ცხელ წერტილად ქცეული ავღანეთიც. თალიბანის რეჟიმის დასამხობად განხორციელებული ამერიკული ოპერაციების დროს იქ რვა ჟურნალისტი დაიღუპა. CPJ ავღანეთში ჟურნალისტების შევიწროებაში აშშ-საც ადანაშაულებს. კომიტეტის მიერ აღრიცხულ ფაქტებში შედის სამი შემთხვევა, როცა რეპორტიორებს ამერიკელი სამხედროები ემუქრებოდნენ. ერთ-ერთი ინციდენტის დროს, ამერიკელი ჯარისკაცები "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტს დახვრეტას დაპირდნენ, თუ ის აღმოსავლეთ ავღანეთში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შესახებ რამეს დანერდა – არსებობდა ეჭვი, რომ ამ თავდასხმისას მშვიდობიანი ავღანელები დაიღუპნენ. ნოემბრის შუა რიცხვებში კი ამერიკელებმა ქაბულში კატარის არაბული სატელიტური არხის "ალ-ჯაზირას" ბიურო დაბომბეს. CPJ-ის ცნობით, პენტაგონს ჯერჯერობით არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ეს შენობა "ალ-ყაიდას" ბაზა გახლდათ, როგორც ამას ამტკიცებენ.

შემდეგი ცხელი წერტილია ერითრია და ბელარუსი. CPJ-ს დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ ბელარუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო ძალაუფლებას საბჭოური სტილის რეპრესიებით ინარჩუნებს. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საგადასახადოს წარმომადგენლებმა მედია ორგანიზაციებს ტექნიკა ჩამოართვეს, გაყინეს მათი საბანკო ანგარიშები და საგამომცემლო სახლის ხელმძღვანელად სამთავრობო ჩინოვნიკი დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს გამომცემლობა ბეჭდავდა მინსკის ყველაზე დამოუკიდებელ გაზეთებს.

"საუკეთესოთა" ათეულში კი ბირმას, ზიმბაბვესა და ირანს მოსდევს ყირგიზეთი, რომელიც თანდათან კარგავს ცენტრალურ აზიაში "დემოკრატიის კუნძულის" სტატუსს. ქვეყნის პრეზიდენტი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას პოლიტიკურ ოპოზიციასთან ანგარიშის გასწორებისათვის იყენებს და ამ ფონზე ოპოზიციურად განწყობილ და დამოუკიდებელ მედიასაც ავიწროვებს. ამ "შესანიშნავ ათეულს" ისევ ფიდელ კასტროს კუბა აგვირგვინებს, სადაც კრიტიკულად განწყობილ უცხოელ ჟურნალისტებს ქვეყანაში შესასვლელ ვიზას არც აძლევენ. ამასთან, კუბა, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაშიც, ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც პატიმარი ჟურნალისტი ჰყავს. ბერნარდო არევალო პადრონი, ფიდელ კასტროს უპატივცემულობისთვის, ექვსწლიან სასჯელს 1997 წლიდან იხდის.

დაღუპული პროფესიონალები...

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის (IFJ) მონაცემებით, 2001 წელს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ასი ჟურნალისტი დაიღუპა. ასეთი მაღალი მაჩვენებელი ექვსი წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა. ჟურნალისტები, დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად, შეიძლება ითქვას, რომ ტერორის ქვეშ ცხოვრობენ. ავღანეთის სამხედრო ოპერაციებს რვა ჟურნალისტი შეეწირა. "ტყუპების" ნანგრევებში დაღუპულ 4 ათას კაცში კი შვიდი ჟურნალისტი იყო. უსაფრთხოების სტანდარტები მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში დაირღვა. 2001 წელს ჟურნალისტები 38 ქვეყანაში მოკლეს.

საქართველო: საკუთარ ბინაში მოკლეს გიორგი სანაია, 26 წლის, ტელეკომპანია "რუსთავი-2". მკვლელობის საქმე ჯერაც გამოუძიებელია...

გვატემალა: ხორხე მინორ ალეგრია არმენდარიზი, 38 წლის, რადიო Amatique-ს ჟურნალისტი. 2001 წლის 5 სექტემბერს, კარიბის საპორტო ქალაქში, საკუთარ სახლთან ხუთი ტყვიით მოკლეს. თავის რადიო-შოუში არმენდარიზი ხშირად აკრიტიკებდა ადგილობრივ ხელისუფლებას.

აშშ: უილიამ ბიგარტი, 54 წლის, ფოტოსააგენტო Impact Visuals-ის ფოტოგრაფი 11 სექტემბერს, მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული თავდასხმისას დაიღუპა. მისი გვამი 15 სექტემბერს აღმოაჩინეს. შეიტყო, თუ არა ტერაქტის ამბავი, ბიგარტი სასწრაფოდ შემთხვევის ადგილისკენ გაქანდა. როგორც ჩანს, ის მეორე ტყუპის ცალის ჩამოქცევისას დაიღუპა. 11 სექტემბრამდე ამერიკელი ფოტოგრაფი ღაზას სექტორისა და ჩრდილო ირლანდიის სისხლიან კონფლიქტებს გადაურჩა. ამ რეგიონებიდან მის ფოტო მასალებს სისტემატურად ბეჭდავდა Christian Science Monitor.

რუსეთი: ედუარდ მარკევიჩი, 29 წლის, გაზეთ "ნოვი რეფტის" გამომცემელი და რედაქტორი. ის მკვდარი 2001 წლის 18 სექტემბერს იპოვეს. "ნოვი რეფტი" სვერდლოვსკის მხარის ჩინოვნიკების მკაცრი კრიტიკით გამოირჩეოდა. საბედისწერო ინციდენტამდე რამდენიმე ხნით ადრე, მარკევიჩს სატელეფონო ზარებით ემუქრებოდნენ კიდეც. 1998 წელს კი მის ბინაში შეიჭრნენ და ფეხმძიმე მეუღლის წინ სასტიკად სცემეს.

დიდი ბრიტანეთი: მარტინ ო`ჰაგანი, 62 წლის ირლანდიელი ჟურნალისტი გაზეთიდან Sunday World. დაცხრილეს საკუთარ სახლთან 2001 წლის 28 სექტემბერს. ო`ჰაგანი, ჩრდილო ირლანდიის სისხლიანი კონფლიქტის დაწყებიდან 30 წლის მანძილზე, პირველი მოკლული ჟურნალისტია. ის ცნობილი იყო თავისი ჟურნალისტური გამოძიებებით. ო`ჰაგანის დაცხრილვის შესახებ პასუხისმგებლობა გაერთიანებამ Red Hand Defenders-მა იკისრა.

აშშ: რობერტ სტივენსი, ორგანიზაცია American Media Inc.-ის ფოტორედაქტორი. ეს კომპანია გამოსცემს გაზეთს The National Inquirer. სტივენსი 2001 წლის 5 ოქტომბერს დაიღუპა. სიკვდილის მიზეზი ანტრაქსის ფხვნილის შემცველი კონვერტი იყო, რომელიც რედაქტორმა თავად გახსნა და შეისუნთქა. მოგვიანებით ანტრაქსის მახეს 40-მდე ამერიკელი წამოეგო...

ავღანეთი: ჯონ სიუტონი, 34 წლის ფრანგი რადიოჟურნალისტი, მუშაობდა რადიო-არხისთვის France Internationale. ორ ფრანგ და გერმანელ კოლეგასთან ერთად, 11 ნოემბერს დაიღუპა, თალიბანის ჯარისკაცებისა და ჩრდილოეთის ალიანსის მორიგი სამხედრო ოპერაციის დროს.

ავღანეთი: 2001 წლის 19 ნოემბერი, ავღანეთის ერთ-ერთ პროვინციის ბლოკპოსტზე ადგილობრივმა სამხედროებმა გააჩერეს მანქანა და განსაკუთრებული სისატიკით დახოცეს იქ მყოფი ჟურნალისტები: ავსტრალიელი ოპერატორი ჰარი ბარტონი, ავღანელი ფოტოგრაფი აზიზულა ჰეიდარი (ორივე "როიტერიდან"), იტალიელი ჟურნალისტი მარია გრაცია კუტული ("კორიერე დელა სერა") და ესპანელი ჟურნალისტი ხულიო ფუენტესი ("ელ მუნდო").

პაკისტანი: დენიელ პერლი, "უოლ სტრიტ ჯორნალის" ჟურნალისტი. მისი გახმაურებული ისტორია მსოფლიო პრესაში დეტალურად გაშუქდა. ამერიკელმა ექსპერტებმა პერლის დაღუპვის თარიღად 2002 წლის 21 თებერვალი დაასახელეს. დღეს პერლის მკვლელები უკვე გასამართლებულნი არიან. ერთს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, დანარჩენ სამს კი – სამუდამო პატიმრობა. თუმცა, ამ განაჩენს ორივე მხარე ასაჩივრებს. მკვლელების ადვოკატები სასჯელის შემსუბუქებას ითხოვენ, პერლის მხარე კი, პირიქით, მათ სიკვდილით დასჯას.

ისრაელი: რაფაელე ჩირიელო, დამოუკიდებელი ფოტოგრაფი, რომელიც რამალაში იტალიურ გაზეთ "კორიერე დელა სერას" წარმოადგენდა. ის ისრაელელთა სამხედრო ოპერაციის დროს, 2002 წლის 13 მარტს დაიღუპა. ჩირიელო პირველი ჟურნალისტი იყო, რომელიც ისრაელი-პალესტინის ამ ბოლო კონფლიქტს შეეწირა.

ბრაზილია: ტიმ ლოპესი, 50 წლის, TV Globo-ს ჟურნალისტი. ის ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლია – დაიღუპა 2002 წლის 3 ივნისს. ლოპესი ჯერ დაიკარგა, რიო დე ჟანეიროს პოლიციამ ორი ეჭვმიტანილი დააკავა. მათ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაირკვა: ჟურნალისტი ნარკომაფიოზებმა გაიტაცეს იმ პუბლიკაციებისა და ჟურნალისტური გამოძიების გამო, რასაც ლოპესი მათი საქმიანობის შესახებ აწარმოებდა. ლოპესი სცემეს და ფეხში დაჭრეს, შემდეგ ჩაატარეს შიდა-მაფიოზური თათბირი და ჟურნალისტს მოკვლა მიუსაჯეს. ტიმ ლოპესს, მოკვლამდე რამდენიმე თვით ადრე – 2001 წლის დეკემბერში ბრაზილიის ყველაზე მნიშვნელოვანი ჟურნალისტური ჯილდო გადასცეს.

IFJ-ის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით:

აფრიკა – დაიღუპა 10 ჟურნალისტი;

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა – დაიღუპა 24 ჟურნალისტი და მედიის 9 წარმომადგენელი. დაღუპულთა საერთო რიცხვი – 33;

აზია – დაიღუპა 35 ჟურნალისტი;

ევროპა – დაიღუპა 17 ჟურნალისტი;

ახლო აღმოსავლეთი – დაიღუპა 5 ჟურნალისტი.

დაღუპულთა მთლიანი რიცხვი – 100.



სლობოდან მილოშევიჩი

ვლადიმირ პუტინი

ბასა ჯანიკაშვილის სვეტი

თრითინა

პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობ ერთ რიგით პარაზიტოლოგად. ათასი სხვადასხვა მწერისა თუ მცოცავის დაჭერა-განადგურება მევალება. მწერ-მცოცავი, იცოცხლე, ბევრი გვყავს ამ ბარაქიან მიწაზე. ბევრს ჰგონია, რომ პარაზიტი მხოლოდ ადამიანების ზედმეტსახელია, სინამდვილეში კი პარაზიტების ოჯახში ათი ათასზე მეტი სხვადასხვა ზომისა თუ ფორმის, ფერისა თუ სიმაღლის არსება იყრის თავს, რომლებიც ერთმანეთს ნაკლებად ჰგვანან.

ალბათ მკითხავთ, რატომ გავხდი პარაზიტოლოგი? სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. არც ბუნება მიყვარს, არც დედა და არც მამა. უფრო სწორად, არც მინა და არც წყალი. იმის თქმა მინდა, რომ ვერ მოიძებნება ადამიანი, ვისაც სურს პარაზიტოლოგი გამოვიდეს. ეს პროფესია თავისით გირჩევს, სარგებლობს რა ცხოვრებისეული სიურპრიზებითა და კატაკლიზმებით, ბედის უკულმართობითა და უიღბლობით. ხდები ქალაქის რიგითი პარაზიტოლოგი და არც არაფერი გაქვს საამაყო ამ ცხოვრებაში გარდა იმისა, რომ მეზობელს ვირთხის დაჭერაში დაეხმარები, ახლობლის სამზარეულოში ჭიანჭველებს გაანადგურებ და უახლოეს ნათესავს ტარაკნებს დაუხოცავ. ივლი თავდახრილი ქალაქის ქუჩებში და იფიქრებ... თუმცა არაფერზეც იფიქრებ.

ჩვენთან, პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში, არაჩვეულებრივი ხალხი მუშაობს, თუმცა თემას გადავუხვიე. რაც შეეხება პარაზიტებს, წესით, პარაზიტი იმას ეწოდება, ვინც მხოლოდ ჭამს და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. მაგრამ გავეცანი რა პოლონელი მეცნიერის ტუდმან რიჟევსკის არაჩვეულებრივ ნაშრომს "პარაზიტებსა და გარემოზე", მივხვდი, რომ ყველას, თვით ისეთ უმნიშვნელო არსებასაც კი, როგორიც ნიმინია (ზრდასრული ნიმინის ზომა ერთი სანრიმეტრია და წარმოიდგინეთ, რა სიგრძისა იქნება იგი ბავშვობაში) მასაც კი მოაქვს სარგებლობა გარემოსთვის. მართალია დამავიწყდა, კონკრეტულად რა სარგებლობა მოაქვს ნიმინას, მაგრამ ფაქტია, რომ სარგებლობა მოაქვს. და რაოდენ სამწუხაროა იმის შემეცნება, რომ უნდა მოსპო არსება, რომელსაც თავისი ცხოვრებისეული გზა აქვს.

...აი, მაგალითად თრითინა, იგივე სინდიოფალა, ხალხში კი დედოფალად წოდებული. საქართველოში ისინი აღმოსავლეთით გვხვდებიან, უყვართ მშრალი გარემო და ქათმის სისხლით იკვებებიან, დიდ ზიანს აყენებენ მეფრინველეობას. თრითინა ციყვისებრთა ოჯახიდანაა და ტანით მართლაც ჰგავს ციყვს, მხოლოდ ფაფუკი კუდის ნაცვლად მოგრძო გასიპული კუდი აქვს და თვალები თხუნელასავით გადმოკარკლული. მიუხედავად ათასგვარი დახმარებისა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, მიუხედავად უახლესი აპარატურისა და შხამ-ქიმიკატებისა, ვერაფრით მოხერხდა თრითინას განადგურება ან მათი რაოდენობის შემცირება. რა არ იღონეს ამერიკელებმა, მაგრამ თრითინას ვერაფერი მოუხერხეს. და აი, ჩვენ ამერიკელებს ვასწავლეთ ისეთი მეთოდი, რომლითაც ხერხდება თრითინას თავიდან აცილება. კი ბატონო, თქვენც გასწავლით. უნდა ავიღოთ ერთი კვერცხი და მისგან ტაფამწვარი გავაკეთოთ, დავდოთ თეფშზე და შევდგათ საქათმეში (ან თუ სახლში გყავთ თრითინა, დადგით თეფში შემწვარი კვერცხით შუაგულ ოთახში) გადაწერეთ პირჯვარი და აცალეთ ერთი დღე. მაგრამ აუცილებლად მართლმადიდებელი უნდა იყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოგივათ. თავად ხვდებით ალბათ, რომ აქ მთავარი გასხივოსნებული ჯვარია და არა შემწვარი კვერცხი. ამის შემდეგ თრითინას ვერ ნახავთ, როგორც საკუთარ თვალებს. იგონონ ამის შემდეგ ქიმიკატები, ფხვნილები, სითხეები და ათასი სხვა რამ. ჰო, მართლა, ასეთი მეთოდით თრითინას მოცილება თუ გადაწყვიტეთ, აუცილებლად მართლმადიდებელი უნდა იყოთ, წინააღმდეგ... ეს მე მგონი უკვე გითხარით.

პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობ ერთ რიგით თანამშრომლად. მსოფლიოს ვერცერთი პარაზიტოლოგი ვერ გვასწავლის იმ სიბრძნეს, რაც პარაზიტებთან საბრძოლველად ჩვენმა მამა-პაპამ დაგვიბარა. დახმარებაზე კი უარს არ ვამბობთ. იყოს, რა იცი რაში გამოგვადგება. აი, მათ კი, ბაპტისტებსა და კათოლიკებს, იეღოველებსა და სატანისტებს, არაფერი გამოუვათ.

„არტ-იმედი„ მუსიკასაც იკყრობს

პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი ჰოლდინგს შეუერთდა

მადი სერებრიაკოვა

როგორც მოსალოდნელი იყო, "არტ-იმედმა" კლასიკური მუსიკის სფეროშიც დაიწყო ინვესტირება. ზურაბ სოტკილავას კონცერტის ორგანიზების შემდეგ, ჰოლდინგის პირველი "კლასიკური შენაძენი" ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოჩენილი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილია, რომელიც ახლახან დაბრუნდა იაპონიის საგასტროლო ტურნედან. პიანისტი გუშინ "24 საათის" სტუმარი იყო.

ესტრადის ვარსკვლავების შემდეგ, შიუკაშვილი სოლიდური მონაპოვარია "არტ-იმედისათვის". თავის დროზე, მაესტრო კახიძე, მას ექსტრაორდინალურ ტალანტსა და აღმოჩენის პროცესში მყოფ ვარსკვლავს უწოდებდა. ახალგაზრდა მუსიკოსს მეტად წარმატებული საერთაშორისო კარიერა აქვს: 1992 წლიდან მოყოლებული იგი გახდა ჩაიკოვსკის კონკურსის დიპლომანტი, პეტრე დიდისა (ნიდერლანდები) და ბელორუსიის საერთაშორისო ფესტივალების გრან-პრის მფლობელი. პიანისტმა ისრაელის სახელმწიფოებრიობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო ფესტივალიზე პირველი ადგილი და მარია იუდინას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის (სანკტ-პეტერბურგი) გრან-პრიც მოიპოვა. მისი "ქართული" ბიოგრაფია კი - პიანისტთა თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობას და საქართველოში ნოდარ გაბუნიას სახელობის კონკურსის დაფუძნებას მოიცავს, რომ აღარაფერი ვთქვათ, აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობაზე: შიუკაშვილი ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკისა და კულტურის ცენტრის სოლისტია და ხშირად მართავს კონცერტებს, როგორც სოლო (რესიტალის თუ ორკესტრის თანხლებით), ასევე კამერულ ანსამბლებთან ერთად. დატვირთულია ახალგაზრდა პიანისტის საერთაშორისო საკონცერტო პროგრამაც. ისრაელის, რუსეთის, ბულგარეთის, თურქეთის, ლიტვისა, თუ ჰოლანდიის შემდეგ, სულ ცოტა ხნის წინ მან ხუთი კონცერტი გამართა იაპონიაში. ერთ-ერთი კონცერტის ჩანაწერი (მუსორგსკის "სურათები გამოფენიდან", შუბერტის "მუსიკალური მომენტები", შუმანისა და დვორჟაკის ანსამბლები) კომპაქტ-დისკის სახითაც გამოვა. ერთი დისკი თბილისშიც აქვს გამოცემული, თუმცა შეზღუდული ფინანსების გამო, იგი მხოლოდ 100 ეგზემპლარად გამოვიდა და დღეისთვის უკვე იშვიათობასაც წარმოადგენს. ჰოლანდიაში მოპოვებული გამარჯვებისათვის კი ერთი ალბომი ევროპაშიც შეიქმნა.

თუმცა, ყველაფერს რომ თავი დავავნებოთ, ყველაზე მეტად ვალერიან შიუკაშვილის პატრიოტული სულისკვეთება მოგხიბლავთ. პატრიოტული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მას არაერთი სოლიდურ კონტრაქტსა და დასავლეთში ცხოვრების შანსზე უთქვამს უარი: პიანისტი, - რომლის მშობლები და ნათესავები, დიდი ხანია, საქართველოდან გადასახლდნენ, - მაინც თბილისში განაგრძობს ცხოვრებას და საკუთარ პრემიებსა თუ საკონცერტო ჰონორარებს აქ პიანისტთა ეროვნული კონკურსის ორგანიზებას ახმარს.

ამ უკანასკნელსაც საინტერესო ისტორია აქვს: შიუკაშვილი თბილისის კონსერვატორიაში გამოჩენილი პიანისტისა და კომპოზიტორის ნოდარ გაბუნიას კლასში სწავლობდა. სწორედ მაესტროს ხსოვნისა და პედაგოგიური მეთოდების უკვდავსაყოფად დაარსებულ მან თბილისში ეროვნული კონკურსი. პირველი კონკურსი შარშან ჩატარდა. შიუკაშვილმა, მისი ორგანიზებისთვის მიღებული, წინანდლის პრემიის თანხა გაიღო. ცხადია, ამ თანხამ კონკურსის ხარჯები ვერ აანაზღაურა და პიანისტიც დღემდე იხდის აღებულ ვალებს. გარკვეულწილად, "არტ-იმედთან" კავშირი ამანაც განაპირობა. ჰოლდინგი, გარდა შიუკაშვილის პერსონისა, წლევანდელი კონკურსის ორგანიზებითაც დაინტერესდა. შიუკაშვილს ამჯერად გრანდიოზული ღონისძიება აქვს დაგეგმილი. რად ღირს თუნდაც ჟიური, რომლის წევრებიც მსტისლავ როსტროპოვიჩი, იური ბაშმეტი, გია ყანჩელი და სხვა გამოჩენილი მუსიკოსები არიან.

ვალერიან შიუკაშვილის რეპერტუარში ყველა ეპოქისა და მიმდინარეობის კომპოზიტორების შემოქმედება შედის. მან იუმორით გაიხსენა, ტოკიოში შესრულებული ჯონ კეიჯის ნაწარმოებიც, რომელიც 4 წუთ დუმილსა და ბოლოს ერთ ნოტ "ლას" მოიცავს. "რაც მთავარია, დარბაზი დაინგრა ოვაციებითო", – შენიშნავს

ვალერიან შიუკაშვილი იური მერიმოვის ფოტო

პიანისტი, სერიოზულად კი ამჯერად შუმანით არის გატაცებული. ბევრს იმხიარულებთ, თუ შუმანთან დაკავშირებული ემოციების გაზიარებისას, პიანისტის კამპანიაში აღმოჩნდებით. აქ საათობით შეიძლება უსმინო შუმანის ნაწარმოებების პირველ ტაქტებს (გაგრძელებას წინ ახალი ემოციები და შესაბამისად, ახალი ნაწარმოების წამოწყება უსწრებს). საკუთარ რეპერტუარში მან შუმანის სულ პირველი, თითქმის მივიწყებული სონატებიც შეიტანა. შიუკაშვილი საზღვარგარეთულ კონცერტებზე ქართული ნაწარმოებების შესრულებასაც არ ივიწყებს. ლაღიძის "რონდო-ტოკატა" – აქ ყველაზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

აღსანიშნავია, რომ შიუკაშვილი, მოუხედავად არაერთი თხოვნისა, საზღვარგარეთ გმირულად ატარებს ძნელადგამოსათქმელ ქართულ გვარს (მისგან განსხვავებით, წვერელად იქცა ნატო წვერიკმაზაშვილი, ათანელად – ლადო ათანელიშვილი, თამარად – იანო ალიბეგაშვილი, ივერად – თამარ ჯავახიშვილი, ა.შ..). სახელთან დაკავშირებით, საინტერესო კურიოზი შეემთხვა ჰოლანდიაში, ნატო წვერელთან ერთად გამართულ კონცერტზე შიუკაშვილის გვარი ვერაფრით გამოთქვა კონფერანსიემ და შემსრულებლებად "ნატო წვერელი და მეორე" გამოაცხადა.

თავის დროზე, ესტრადის ვარსკვლავებთან დადებული კონტრაქტების გამო, "არტ-იმედს" არაერთხელ მოუწია "თავის მართლებამ". ვალერიან შიუკაშვილის შემთხვევაც არ იყო გამონაკლისი. არტ-იმედის წარმომადგენლებთან ერთად გამართულ პრეს-კონფერენციაზე, ჟურნალისტების ძირითადი ინტერესებიც კონტრაქტის პირობებს უტრიალებდა. როგორც გაირკვა, შიუკაშვილი თავისუფლების შეზღუდვას არ უჩივის და არც "არტ-იმედი" აპირებს მის რეპერტუარსა და საკონცერტო პროგრამებში ჩარევას. თავის მხრივ, შიუკაშვილსაც არაფერი აქვს "არტ-იმედის" საწინააღმდეგო. უფრო მეტიც, "ვიამაყებ, რომ ამირიდან ყველა კონცერტსა და კონკურსზე ქართული კომპანიის სახელით წარვდგებიო".

როგორც ჰოლდინგის პროდიუსერთან, მარინა ბერიძესთან საუბრისას გაირკვა, "არტ-იმედი" კიდევ აპირებს კლასიკურ მუსიკაში ფინანსების დაბანდებას. ამისთვის ისინი კონკრეტულ რეკომენდაციებს უკვე გამოჩენილი ქართველი მუსიკოსებისგან (მანანა დოიჯაშვილისგან, ნოდარ ანდღულაძისგან და ა.შ) ელიან.

ქართველთა ნაკვალევზე

ახალ საუკუნეში ქართული მეცნიერებისთვის იერუსალიმის კარი გაიღო

თამარ სუხიშვილი

წერილი 2
"ოქროს ოთხთავი"

დევიდ და ვიქტორია ბექჰემების სიძუნწის შესახებ მრავალგზის თქმულა, მაგრამ იმის ფონზე, რომ "სპაის წყვილი", ლამის ყოველთვიურად, ვიღაცას ეხმარება, ეს ამბები ბევრისთვის ნაკლებად დასაჯერებელია. არც ეკადრება სიძუნწე ინგლისელთა სათაყვანებელ წყვილს. ჰოდა, ბექჰემებიც დროგამოშვებით სიქველეს იჩენენ, რითაც საზოგადოებაში მათი ავტორიტეტი დღითიდღე მატულობს. ახლაც წყვილმა გადაწყვიტა, 17 წლის გოგონას დახმარებოდა. ლიზა ბრაუნს ცოტა ხნის წინ მენინგიტი დაემართა და ექიმებმაც, სხვა რომ ვერაფერი იღონეს, პაციენტს ორივე ფეხი მოკვეთეს. ლიზასთვის ერთადერთი საშველი ხელოვნური კიდურებია. სწორედ მისი ყიდვა და ოპერაციისთვის საჭირო თანხის გადახდა ითავეს ბექჰემებმა და უმალ ინგლისური ტაბლოიდების პირველ ფურცლებზე მოექცნენ. თავად პროთეზი 6 000 გირვანქა სტერლინგი ღირს. დაახლოებით ამდენივე ჯდება ოპერაციაც. დაუმატეთ ამას სარეაბილიტაციო პერიოდის თანხაც და გამოდის, რომ ბექჰემების კაპიტალი დაახლოებით 15 000 გირვანქით მცირდება, თუმცა, ეს წყვილის შემოსავალთან შედარებით არაფერია. სხვის ჯიბეში ფულის თვლა რა მოსაწონი საქციელია, მაგრამ წყვილისადმი არაკეთილგანწყობილებს იმის თქმის საფუძველი მიეცათ, თითქოს ბექჰემები მხოლოდ იმიტომ ეხმარებიან ლიზას, რომ მათი მასშტაბებით მცირე თანხას საჭიროებსო. დევიდისა არ ვიცით და, ჯერ არ ყოფილა, ვიქტორიას ასეთი გამოხდომები უპასუხოდ დაეტოვებინა. ამჯერადაც, ყოფილმა "სპაისმა", - თუ ასე შეგტკიოდათ გული, რატომ თავად არ დაეხმარეთო და, ისეთი ამბავი ატეხა, მოშუღართ სულ კუდით ქვა ასროლინა.

ვარსკვლავობა და პოპულარობა მარტო სიქველეს ხომ არ გულისხმობს და, ბექჰემიც დღეს მანჩესტერში საყოველთაო სპორტული თამაშების გახსნის ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას, ექვსი წლის კირსტი ჰოვარდთან ერთად, რომელიც ინგლისის საფეხბურთო ნაკრების თილისმაა.

ფრანც ბეკენბაუერი ცოლს სცილდება

ფრანც და ზიბილე ბეკენბაუერები

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი ფრანც ბეკენბაუერი და მისი მეუღლე ზიბილე ერთმანეთს სცილდებიან. ამის შესახებ გუშინ კერძო საუბარში განაცხადა თავად "კაიზერ ფრანცმა". "ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მე და ზიბილე იმ დასკვნამდე მივედით, რომ აჯობებს, ჩვენი ცხოვრება ამიერიდან ცალ-ცალკე გაგრძელდეს. ჩვენ საკმაოდ მეგობრულ ვითარებაში დავშორდებით ერთმანეთს", – თქვა ბეკენბაუერმა.

ფრანც და ზიბილე ბეკენბაუერები თორმეტი წლის წინათ დაქორწინდნენ. მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონისთვის ეს მეორე ქორწინება იყო. ბეკენბაუერს ოთხი შვილი ჰყავს.

ბრაზილიური „სან კაეტანო„ ლიბერტადორესის თასის პირველ ფინალს იგებს

აილტონი

24 ივლისს, ბრაზილიის ვიცე-ჩემპიონმა "სან კაეტანომ" ლიბერტადორესის თასის პირველი ფინალური მატჩი მოუგო პარაგვაის "ოლიმპიას". "სან კაეტანო" მხოლოდ 13 წლის წინათ დაარსდა და, შესაძლოა, პირველად მოიგოს სამხრეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი. ბრაზილიურმა კლუბმა "ოლიმპია" სტუმრად, ასუნსიონში, ანგარიშით - 1:0 დაამარცხა და თასის დასაუფლებლად განმეორებით მატჩში, რომელიც 31 ივლისს სან პაულუში გაიმართება, ფრეც აძლევს ხელს.

ლიბერტადორესის თასის გამარჯვებული, 3 დეკემბერს, ტოკიოში შეხვდება ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ მადრიდის "რეალს", საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაზე.

ასუნსიონში, "ოლიმპიასა" და "სან კაეტანოს" მატჩს 40 000 გულშემატკივარი დაესწრო. მათ შორის იყო ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარიც. შეხვედრის ერთადერთი გოლი, 59 წუთზე, აილტონმა გაიტანა.

ასუნსიონის "ოლიმპია" ლიბერტადორესის თასის ორგზის გამარჯვებულია. მესამე ტიტულისთვის პარაგვაელებს, სტუმრად, სან პაულუში აუცილებლად გამარჯვება სჭირდებათ. (sid)

გალიანი: „ჩაჯექი პირველსავე თვითმფრინავს და რივალდო ჩამოგვიყვანე"

აკა ტონია

რივალდო REUTERS

სერიალი "რივალდოს ტრანსფერი" გრძელდება. ნაწილი მეოთხე.

რივალდომ განაცხადა, რომ სულ მალე გადაწყვეტს, თუ რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას. ფეხბურთელმა ისიც დააკონკრეტა, რომ ახალი გუნდი აუცილებლად ევროპული იქნება. რივალდო ბრაზილიაში დაბრუნებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ იყო წინადადებები "კრუზეიროსა" და "პალმეირასიდან".

ნახევარმცველის აზრით, მისი ტრანსფერის საკითხი, შესაძლოა, მომავალ კვირას გაირკვეს, რის შემდეგაც რივალდო სპეციალურ პრეს-კონფერენციას გამართავს.

"მილანის" გარდა, რივალდოს შეძენის სურვილი გამოთქვეს "რეალმა", "ატლეტიკომ", "ლიდსმა", "მანჩესტერ იუნაიტედმა", "ნიუკასლმა" და "ლაციომ". თუმცა, ამ კლუბებს შორის ბრაზილიელის შეძენის კარგი შანსი მაინც "მილანსა" და "რეალს" აქვთ.

რივალდოს "მილანში" გადასვლა ძალიან გაუხარდებათ "ბარსელონას" ხელმძღვანელებსაც, რადგან ფეხბურთელის "რეალში" გადასვლა კიდევ უფრო დაძაბავს კლუბის ურთიერთობას გულშემატკივართან. კატალონიელები ვეღარ აიტანენ თავიანთი მეორე ვარსკვლავის "მტრის ბანაკში" გადასვლას (2000 წელს პორტუგალიელი ფიგუ "ბარსელონადან" "რეალში" გადავიდა) - ეს უკვე მეტისმეტი იქნება.

რობერტო კარლოსი რივალდოს "რეალში" ეპატიჟება

"ბარსელონას" ხელმძღვანელობა გულშემატკივარს აწყნარებდა, რომ, კონტრაქტის თანახმად, რივალდო "რეალში" ვერ გადავიდოდა. თავად ფეხბურთელმა კი განაცხადა, რომ ასეთი პუნქტი მის ხელშეკრულებაში არ არსებობს და ის იქ წავა, სადაც მოისურვებს.

ახლა "ბარსელონა" სხვა ხერხებით ცდილობს, როგორმე ჩაშალოს ფეხბურთელის მადრიდში გადასვლა. კატალონიელები რივალდოს ესპანეთის საგადასახადო სამსახურების დავალიანების გადახდას ჰპირდებიან იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიელი "რეალში" არ გადავა. ეს საკმაოდ მაცდური წინადადებაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რივალდოს ესპანეთის ბიუჯეტში 2,5 მილიონი ევრო აქვს გადასახდელი.

"ბარსელონასგან" განსხვავებით, ბრაზილიელი ნახევარმცველის "რეალში" გადასვლა ძალიან სურს მის თანამემამულეს და მეგობარს რობერტო კარლოსს.

ბრაზილიური ტელეკომპანია "TV Rekord"-ის ეთერში გამოსვლისას, რივალდო ტელეფონით ესაუბრა კარლოსს, რომელმაც მეგობარს უთხრა, რომ "რეალმა" მას უკვე მოუმზადა მაისური და მადრიდში ელიან. რივალდომ კარლოსს ხუმრობით უპასუხა: "უთხარი ვალდანოს, რომ დამპატიჟოს, მე ხომ უმუშევარი ფეხბურთელი ვარ".

"რივალდოს აუცილებლად იტალიაში გადასვლა სურს"

იტალიელები ამტკიცებენ, რომ რივალდო სწორედ "მილანს" ანიჭებს უპირატესობას. კლუბის მენეჯერი ადრიანო გალიანი ამბობს, რომ მასთან საუბარში ბრაზილიელმა "მილანში" გადასვლის სურვილი გამოთქვა.

იგივეს აცხადებს ფეხბურთელის ყოფილი მენეჯერი ხოსე მარია მინგელა: "რივალდოს აუცილებლად იტალიაში სურს გადასვლა."

"მილანის" საპატიო პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელიც ასევე ქვეყნის პრემიერ-მინისტრიცაა, რივალდოს მენეჯერებთან მოსალაპარაკებლად ფიფას აგენტი ერნესტო ბრონძეტი ესპანეთში გაამგზავრა.

"მილანის დავალებით, რივალდოს ადვოკატებთან ინტენსიურ მოლაპარაკებას ვაწარმოებ. მე საგანგებო დავალება მაქვს. გალიანიმ მითხრა: "ჩაჯექი პირველსავე თვითმფრინავში და რივალდო ჩამოგვიყვანე".

თუმცა, ყველაფერი არც ისე იოლია, როგორც "მილანის" წარმომადგენლებს ჰგონიათ. რივალდო წელიწადში 6 მილიონ ევროს ითხოვს ორწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ. "მილანი" კი ფეხბურთელს სამწლიან კონტრაქტს და 4,5-მილიონიან ხელფასს სთავაზობს.

ასეა თუ ისე, იტალიელებს ძალიან უნდათ, რომ რივალდო გადაიბირონ და კონტრაქტის გაფორმებას უახლოეს დღეებში გეგმავენ.

რივალდო კი "რეალის" ოფიციალურ წინადადებას ელის.

დავით პეტრიაშვილი: „ვეტერანებს ფეხბურთში დავასაქმებ"

დიმიტრი ობოლაძე

დღეს ჟურნალისტის სახლში პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა, რომელიც ჟურნალისტებს წინასაარჩევნო შტაბის უფროსთან კახა ჭუმბურიძესთან და რწმუნებულთან, ადვოკატ დავით ებრალიძესთან ერთად შეხვდა. მოვიყვანთ ერთ ფრაგმენტს პრეს-რელიზიდან. "ჩვენი სურვილია, სწორად გაგვიგონ ქართული ფეხბურთის ვეტერანებმა, რომელთაც, როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი მესვეურები აცხადებენ, ვითომდა აღნიშნული ქმედებით უფლებები შევულახეთ. უმორჩილესად ვთხოვთ მათ, არ აყვნენ მსგავს განცხადებებს. ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო კანონის უზენაესობა და ამ შემთხვევაში კანონმა არა მარტო ჩვენი, არამედ მათი ინტერესებიც დაიცვა, რადგან თუ ქართულ ფეხბურთში, ბოლოს და ბოლოს, დამკვიდრდება სამართლიანობის პრინციპი, მათი უფლებები და ჯეროვნად დაფასების შესაძლებლობები ერთიორად გაიზრდება". ვეტერანებთან ურთიერთობის საკითხს დიდი ყურადღება დაუთმო დავით პეტრიაშვილმა: "მე თვითონ ქართული ფეხბურთის ვეტერანის ოჯახში ვარ გაზრდილი და არ შეიძლება, მათ პატივს არ ვცემდე. თუმცა, მე და დღევანდელ ფედერაციას სხვადასხვანაირად გვესმის სიტყვა "დაფასება". ფედერაცია ერთჯერად მატერიალურ დახმარებას უწევს ვეტერანებს (თუ რა თანხაზეა საუბარი, ეს თავად ვეტერანებს ჰკითხეთ) და არჩევნებზე აძლევს ხმის უფლებას. თუ ამას დაფასება ჰქვია, მაშინ ვეტერანები დაფასებული ყოფილან. არ შეიძლება, კანონის დარღვევის ხარჯზე (ვეტერანთა კავშირისთვის ხუთი ხმის მიცემა დარღვევაა) "სცე პატივი" ვეტერანებს. მე სხვაგვარად მესმის. ავიღოთ გელა კეტაშვილის მაგალითი. მიმაჩნია, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში უფრო მეტს მიაღწევს, ვიდრე ავტოინსპექციაში. საჭიროა ვეტერანების ფეხბურთში დასაქმება, რასაც, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, აუცილებლად გავაკეთებ. მეორე საკითხია, ისურვებს თუ არა კეტაშვილი ან სხვა ვეტერანი ფეხბურთში მუშაობას. ჩემი ოპონენტები "ბინძურ თამაშს" მაბრალებენ. პირდაპირ მინდა განვაცხადო: არჩევანი ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გავაკეთე და ეს იოლი არ იყო. თანაც, ეს ჩემი პირველი არჩევნებია და "ბინძური თამაშის" წესები, უბრალოდ, არ ვიცი. არც მინდა, ვიცოდე." პეტრიაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ სასამართლომ კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო. სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით პეტრიაშვილმა კონსულტაცია გაიარა ფიფა-სა და უეფა-ს იურიდიულ კომიტეტთან, რომელმაც დაადასტურა, რომ კანონი არ დარღვეულა. ფიფამ და უეფამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ნეიტრალური პოზიცია უკავიათ და არ ერევიან ამა თუ იმ ქვეყნის საქმეში. დავით ებრალიძემ, რომელიც ყოველთვის კარგად არის მომზადებული, კიდევ ერთხელ განმარტა სიტუაცია და განაცხადა, რომ ჟორდანიასა და მის გუნდს დიდი ყურადღება მართებთ. "სასამართლომ გადაწყვეტილება ნებისმიერი მოქალაქისთვის კანონია. ჟორდანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია, ანუ ქვეყნის სახელით გამოდის. ეროვნულ ნაკრებს საქართველოს გერბის, დროშისა და ჰიმნის ქვეშ უწევს თამაში. თუ ჟორდანია ყველაფერ ამას არ ცნობს, დაწეროს საკუთარი ჰიმნი, შექმნას ატრიბუტიკა და ასე შემდეგ. მე მინდა გავაფრთხილო ყველა ის ადამიანი - აღმასკომისა და ვეტერანთა კავშირის წევრები. ყოველ ნაბიჯს დაფიქრება უნდა. პასუხისმგებლობა ძალიან დიდია. სასამართლო დადგენილების შეუსრულებლობა სისხლის სამართლის დანაშაულია. რა მოხდება, თუ ჟორდანიამ პოზიცია არ შეიცვალა და ისე ჩაატარა 24 აგვისტოს არჩევნები, როგორც თავად სურს. ჯერ ერთი, არჩევნები უკანონოდ ჩაითვლება. კანონის მიხედვით, დაისჯება არა მარტო ყრილობის ორგანიზატორი, არამედ ყველა ის ადამიანი, ვისაც სასამართლომ საარჩევნო ხმის უფლება ჩამოართვა. დღეს, 4 საათზე, ჩვენ მოვითხოვთ სასამართლო გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსრულებას. თანაც, საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ჟორდანია გამოდის პეტრიაშვილის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანის წინააღმდეგ. ის არ აპროტესტებს და არ უარყოფს წესდების დარღვევის ფაქტებს. მან ყველაზე უკეთ იცის, რომ ხმის უფლება მხოლოდ სუბიექტებს აქვთ და ვეტერანთა კავშირს, კანონის მიხედვით, მხოლოდ ერთი ხმა ეკუთვნის. სწორედ ამიტომ არ შეაქვს აპელაცია. მათ იციან, რომ წააგებენ." დავით პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საკუთარი წესდების გაგზავნა მოსთხოვა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი ფედერაციის წესდება უეფასთან და ფიფასთან არ არის შეთანხმებული. შეხვედრის ბოლოს დავით ებრალიძემ ჟურნალისტებს შუამდგომლობა სთხოვა. საქმე ისაა, რომ აღმასკომის სხდომა, უკანასკნელი მონაცემებით, 31 ივლისს გაიმართება. პეტრიაშვილს სურს, სხდომას დაესწროს და აღმასკომის წევრებს მიმართოს. გუშინ მან ჟორდანიას სახელზე წერილიც გაგზავნა, თუმცა, პასუხი ჯერ არ მიუღია.

და ბოლოს. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ფედერაციის მიერ 10-10 ათასი ლარით დაჯარიმებულმა სუბიექტებმა, თბილისის "დინამომ", ზესტაფონის "მეტალურგმა" და თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ თანხა გადაიხადეს. ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ფედერაციის ანგარიშზე ზის "დინამოს" მიერ შარშანდელი უეფას თასის ერთი რაუნდის გავლისთვის მოპოვებული 80 ათსი შვეიცარიული ფრანკი. აქედან 30 ათასი ლარი, გარანტიის სახით ჩაიდო და ყველაფერი მხოლოდ საქმის საბოლოოდ გარკვევის შემდეგ გადაწყდება.

"ტორპედომ" ფარერული ბარიერი გადალახა

თეიმურაზ ფირცხალავა

სპეციალურად
გაზეთ "24 საათისთვის"
ქუთაისიდან

24 ივლისი. ტორსჰაგენი.
1000 მაყურებელი.
ჩემპიონთა ლიგა.
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.
განმეორებითი მატჩი.

"ბ 36" - "ტორპედო" 0:1 (0:0)

"ბ 36": ***ტორგაარდი, დანიელსენი, კლემენტსენი, ფლორესკუ (იაკობსენი 85), ბორგი, იონსონი, პეტერსენი, ლაკუინი (პოულსენი 85), ზაჰარიასენი, მორტენსენი (პოულსენი 85), მატრასი***

"ტორპედო": **ჭანტურია, მახვილაძე, დიდავა, ჭელიძე, ქემოკლიძე, ახალკაცი, კვეტენაძე, გუჩუა, ასათიანი, იონანიძე (პოროშინი 46), ჯანაშია**

გოლი: 0-1 ჯანაშია (77)

გამოუყენებელი პენალტი: **მორტენსონი (23 - მეკარე)**

გაფრთხილება: **იონსენი (63) – ჭანტურია (23) ქემოკლიძე (79)**

მსაჯი: **პოლ მაკკეონი (ირლანდია)**

ქართული დელეგაცია ფარერებზე საკმაოდ დაიმედებული წავიდა. ის მომავალი მეტოქის, ჩეხეთის "სპარტას" შესწავლით უფრო იყო დაკავებული, ვიდრე "ბ 36"-თან პერიპეტიებზე ფიქრით. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოს სამგზის ჩემპიონი სამბურთიანი სხვაობით დამარცხდებოდა. ის კი არა, ქუთაისური გუნდის ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ ფარერებზე გამგზავრებამდე აგვარებდა ორგანიზაციულ საკითხებს - ჩეხეთში ჩასვლის დროს სად დაბინავებულიყვნენ, სად ევარჯიშათ.

ამიტომაც, ფარერებიდან შინ დაბრუნებას, პირდაპირ ჩეხეთში ჩასვლა ამჯობინეს, რომ გუნდი იოლად შეგუებოდა იქაურ პირობებს და ერთ-ერთ მთავარ მატჩს მომზადებული შეხვედროდნენ. როგორც გახსოვთ, პირველი მატჩის შემდეგ ქართველთა მთავარი მწვრთნელი უკმაყოფილო იყო საკუთარი დაცვის ხაზის თამაშით, მაგრამ მომდევნო მატჩში ნაკლებად ექნება სანუწუნო, რადგან რეზერვი ნამდვილად არსებობს: გივი დიდავა უკვე მონაწილეობდა განმეორებით მატჩში, მას დაემატებიან ტრავმამოშუშებული თოდუა და დისკვალიფიკაციაგასული ვახტანგ ხვადაგიანი, რომლებიც გუშინ თბილისი-პრაღის რეისით, შოთა ბაბუნაშვილთან, ჩეხეთში გაფრინდნენ.

ჩვენ თავიდანვე საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება იმ ნიუანსებზე, რომლებიც კიდევ უფრო ადასტურებს იმას, რომ "ტორპედოს" ნამდვილად არ დასჭირვებია მთელი ძალების მობილიზება ფარერული ბარიერის გადასალახად.

განმეორებითი მატჩიც ქართველთა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, იყო უამრავი გამოუყენებელი სახიფათო მომენტი, პირველი თამაშის მსგავსად, მოედნის ცენტრში აქტიურობდა მალხაზ ასათიანი, თუმცა, მის მახვილგონივრულ გადაცემებს ხშირად ანიავებდნენ თავდამსხმელები. არც მასპინძლები იყვნენ უსაქმოდ. ქუთაისური მატჩის მსგავსად, მათი ერთ-ერთი გამოხდომა კინაღამ გოლით დასრულდა, თუმცა, მცველ ჭელიძის შეცდომა სწრაფად გამოასწორა ჭანტურიამ, რაც ყვითელი ბარათისა და პენალტის ფასად დაუჯდა, შემდეგ კი ქართველთა გოლკიპერმა იმარჯვა.

მეორე ნახევარში მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. მათ ძალიან სურდათ მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ ამის საშუალებას სტუმრები არ აძლევდნენ, პირიქით, "ტორპედო" ძალზე სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდა და, უფრო ზუსტნი რომ ყოფილიყვნენ, დასკვნით ფაზაში ანგარიშს საკმაოდ მალე გახსნიდნენ, მაგრამ 77-ე წუთამდე ამის გაკეთება ვერ შეძლეს. აქ კი უკვე ასათიანის გადაცემით, დასარტყმელ პოზიციაზე გასული ჯანაშიას წინააღმდეგ, ტორგაარდი უძლური აღმოჩნდა და "ტორპედომ" გამარჯვების გოლი გაიტანა.

Tour de France

ტკბილია ეს ოხერი გამარჯვება

ლუჩანო ტაიოლი

ლე დუ ალპ - ლა პლანი
სპეციალურად
"24 საათისთვის"

ამ მთას ავბედითი სახელი აქვს დაგდებული. ზოგი სასტიკს ეძახის, ზოგი - ცბიერს. მე ამ ბოლო ვერსიისკენ ვიხრები. სახელიც შესაფერი აქვს - მადლენი! ხასიათს ნუღარ იკითხავთ - ყველა კარგი და არცთუ კარგი ნიუანსით...

ახლა აქ ვართ, მეთექვსმეტე ეტაპის ზუსტად შუაში - მადლენის ოცკილომეტრიან აღმართზე - და ავგაროზივით მივდევთ ამ ცბიერ დედაკაცთან, კაცმა არ იცის, რისთვის შებმულ ჰოლანდიელ ველომრბოლს. მისი სახელი ბოგარდია, მიხაელ ბოგარდი.

ორიოდე საათის წინ ისიც სხვა დანარჩენ ას სამოც ველოსიპედისტთან ერთად იდგა დუ ალპის კალთებზე მოწყობილ სტარტზე და თავის საცოლეზე ფიქრობდა, ას ოთხმოცი კილომეტრის იქით, ლა პლანის მთაზე რომ შეპირდა დახვედრას.

სტარტი და კალიბიერის უღელტეხილზე სვლა, დასაწყისში მაინც, მშვიდი იყო. მერე ჟალაბერი და ბოტერო გაექცნენ პელოტონს. იმათ თავიანთი ანგარიში ჰქონდათ - წვერზე მთის მეფის ტიტულის საკმაოდ მსუყე ქულების მარაგი ეგულებოდათ.

ადგა და გაჰყვა. კალიბიერი რომ გადაიარეს, ჟალაბერმა და ბოტერომ როგორღაც დაკარგეს ხალისი. ერთმა თითქმის გაინაღდა მთის მეფის ტიტული, მეორე დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ ჰქონდა. რა უნდა ექნა ბოგარდს, რომელიც არასოდეს ყოფილა მთიელი, გაჩერებულიყო და სასაცილო მდგომარეობაში ჩაეგდო თავი თუ მარტოს გაეგრძელებინა. თუმცა, ვერც ამ შემთხვევაში ასცდებოდა ქილიკს - ვერაფერი სასიამოვნო საყურებელია, დაღლილსა და დაქანცულს ზვავივით რომ დაგეცემა პელოტონი - იყავი და აღარ ხარ!

მაინც გაბედა. რა ვიცი, კაცნი ვართ.

ორიოდე კილომეტრის იქით, საგზაო ნიშანზე, სენ მარტინის ამოკითხვა მოასწრო. ეს პელოტონის "სადილობის" ადგილი იყო. ასიოდე მეტრის მერე გზის პირზე ჩამწკრივებული ხალხიც გამოჩნდა - გამოწვდილ მკლავებზე ჩამოკიდებული ჭრელი აბგებით. აბგები ზუსტად იმეორებდნენ თითოეული გუნდის მაისურის ფერსა და ნახატს. აი "რაბობანკიც". ერთ-ერთს ხელი წაავლო. მერე რაღაც-რაღაცები ჯიბეებში გადაიწყ-გადმოიწყო, აბგა კი ისევ გზის პირისკენ მოისროლა. თვალიღა მოჰკრა, როგორ მიესივნენ ბიჭბუჭები ტურ დე ფრანსის ყველაზე ნაღდ და, რაც მთავარია, ნივთიერ სუვენირს.

მიხაელ ბოგარდი REUTERS

აი მადლენიც...

მარტო აქ არასდროს ყოფილა. როცა პელოტონში ზიხარ, ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივი და პროზაულია. ნუთუ მართლა ასე საშიშია ეს ცბიერი ქალბატონი? ვნახოთ.

აღმართი იმაზე გრძელი და ძნელი გამოდგა, ვიდრე ელოდა. მთელი საათი დასჭირდა. ამასობაში რამდენჯერმე ჩაუარა სამსაჯო მოტოციკლმა. პატარა დაფაზე ცარცით დაწერილ ციფრებში საშიში ვერაფერი დაინახა - განსხვავება პელოტონთან სამიდან შვიდ წუთამდე გაიზარდა.

დაღმართი - ოცი კილომეტრი, ლა პლანის უღელტეხილი – ჩვიდმეტი. აქედან უღელტეხილამდე 67 კილომეტრია. თუ ის, ვაკეზე სასიარულო ოცდაათი კილომეტრი გაძლო...

არა, ეტაპის მოგებაზე ფიქრი ჯერ ადრე იყო. ჯერ რვაგრადუსიანი დაღმართია ჩასასვლელი, მერე ოცდაათი კილომეტრი სწორი, თითქმის სწორი გზა...

...ჰოლანდიელის კვალზე დამდგარი ორი ჯგუფი, ერთი მცირე - ჟალაბერისა და ერთიც მოზრდილი, მოზრდილი კი არა, ფაქტიურად მთელი პელოტონი, მძიმე-მძიმედ მოირწეოდა, დაიკლაკნებოდა, გასწორდებოდა და ისევ დაიკლაკნებოდა. განსაკუთრებული მართლაც არაფერი ხდებოდა - ყველა დარწმუნებული იყო, რომ, ადრე თუ გვიან, თავს გასული ჰოლანდიელი თავისას მიიღებდა.

როგორც იქნა, დამთავრდა ეს უაზრო და უსასრულო გზა. აქედან უღელტეხილამდე (ესე იგი ფინიშამდე!) ჩვიდმეტი კილომეტრიღა რჩება.

ისევ ჩაიარა მოტოციკლმა: 7 წუთი და 15 წამი. შედარებით ახლოს იყო ჟალაბერის ჯგუფი, მაგრამ იმათი არ ეშინოდა. თუმცა, საერთოდ რაღა დროს შიში იყო - ახლა ომი იწყებოდა. არა, პელოტონთან არა. უფრო საკუთარ თავთან.

მერე ყველაფერი ბურანში ხდებოდა... ოთხმოცდაოთხში ფინიონმა მოიგო ეს ფინიში, ოთხმოცდახუთში ისევ ფინიონმა. ოთხმოცდათხუთმეტში ყველაზე კარგმა ბიჭმა ალექს ცულემ...

პატარა შავ დაფაზე ცარცით ნაწერი 6 და 05; 5 და 30; 4 და 10.

იმედმა ისევ ნამოყო თავი. "როცა ძალიან დაიჯერებ, ზუსტად მაშინ დამარცხდები", - ვიღაცის დარიგება გაახსენდა. ნუთუ არ აპირებენ შეტევას?

...ზუსტად ამ დროს არმსტრონგი გადამწყვეტ შტურმს იწყებს. დროცა და მანძილიც ამერიკელსა და ჰოლანდიელს შორის საოცრად სწრაფად მცირდება.

პატარა დაფაზე ერთიმეორის მიყოლებით შეიცვალა ციფრები 3 და 20; 3 და 00; 2.50.

ახლა ყველაფერი რიგზე იყო. დევნა დაიწყო. მაგრამ გვიან ხომ არ არის? აი, უკანასკნელი გასაბერი თაღიც, უკანასკნელივე წარწერით - 1 კმ. "მე კილომეტრი დამრჩა, იმათ დაახლოებით ორი. ორ კილომეტრს სამ წუთში ეშმაკიც ვერ გაირბენს".

ჰოლანდიელის გაფითრებულ, ოფლის ნაკვალევით აჭრელებულ სახეზე ღიმილისმაგვარი გამოკრთა.

რაღაც ხელის გაწვდენაზე, ზედ ფინიშთან, საცოლე და დედამისი, ესე იგი, სასიდედრო ელოდებიან.

ღმერთო, რა ტკბილია ეს ოხერი გამარჯვება!

ტექნიკური შედეგები

XVI ეტაპი. ლე დუ ალპ - ლა პლანი. 179,5 კმ.

1. მიხაელ ბოგარდი ("რაბობანკი", ჰოლანდია) - 5 სთ. 48 წთ. 29 წმ.
2. კარლოს სასტრე (CSC ტისკალი, ესპანეთი) - +1 წთ. 25 წმ.
3. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - +1 წთ. 25 წმ.

საერთო ჩათვლა

1. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 68 წთ. 43 წთ. 22 წმ.
2. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +5 წთ. 06 წმ.
3. რაიმონდას რუმსასი ("ლამპრე", ლიტვა) - 7 წთ. 24 წმ.

მთის მეფე

1. ლორან ჟილაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) - 238 ქულა
2. სანტიაგო ბოტერო ("კელმე", კოლუმბია) - 160
3. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - 152

FORMULA 1

ბერნი ეკელსტონი - ერთპიროვნული მმართველი

აკა ტონია

ვინ არიან ფორმულა 1-ის ყველაზე ძალაუფლებიანი ბოსები? – საორჭოფო აქ არაფერია, არც დიდი დაფიქრებაა საჭირო, რადგან ამ ბიზნესში ძალაუფლება აქვს მხოლოდ ერთ ადამიანს: ბერნი ეკელსტონს.

იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც, რადგან ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) წესდების მიხედვით, ეკელსტონი, თავისი სტატუსით, მეორეა მაქს მოზლის შემდეგ. ეს გასაგებიცაა - მაქს მოზლი FIA-ს პრეზიდენტია, ეკელსტონი კი "მხოლოდ" ფორმულა 1-ის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი.

ფორმულა 1 იურისტების მუდმივი ყურადღების ცენტრშია და, ალბათ, იმის გარკვევაც მათ უნდა მივანდოთ, თუ ვინ არის სპორტის ამ სახეობის იურიდიული "პატრონი".

ცხოვრებას აქვს თავისი კანონები, რომლებიც არცთუ ისე ხშირად ემთხვევა სამართლებრივ კანონებს. რეალურ ცხოვრებაში ფორმულა 1 ბერნი ეკელსტონს ეკუთვნის.

მოზლი, ეკელსტონი და ბეკერი

სუპერ-ავტობუსი

ყველგან, სადაც ფორმულა 1-ის მორიგი გრან-პრი იმართება, ერთ უზარმაზარ სუპერ-ავტობუსს წაადგებით. ეს ბერნი ეკელსტონის მოძრავი საცხოვრებელი სახლია.

ამ ავტობუსში ახლა უკვე 71 წლის ინგლისელი მილიონერი თავის 30 წლით უმცროს მეუღლესთან - სონიასთან ერთად ცხოვრობს. ამბობენ, რომ ადრე ის პორნოვარსკვლავი იყო.

შესახედავად ეკელსტონი ქონდრისკაცს ჰგავს. ის მოხუცია, მაგრამ მომხიბლავი მანდილოსნების ყურადღება არასოდეს აკლია. არც თვითონ აკლებს მათ თავის ყურადღებას.

ეკელსტონი: სრულყოფილებისთვის მებრძოლი მილიონერი

ის მილიონერია, და მაინც, ბერნი ეკელსტონს არ ეთაკილება, ფორმულა 1-ის ტრასასთან არსებულ ავტოსადგომზე იაროს და საპატიო სტუმრებს პირადად მიესალმოს. ხშირად ყოფილა, რომ მას თავად გაუწევია დახმარება მანქანის სწორად დაყენებაში. ის ყველგან არის. მისი ძალაუფლება ყველგან იგრძნობა.

მაქს მოზლი, თავისი თანამდებობის გამო, ფორმულა 1-ის "ოქროს საბუთის" მეპატრონეა. მელბურნში, ერთ-ერთ გრან-პრიზე სტუმრობისას, მოზლიმ თავი აარიდა კონტროლის გავლას. დაცვის სამსახურმა საპატიო სტუმარი ვერ იცნო და უბილეთობისთვის დააკავა. ასეთი რამ მოზლის არ დაემართებოდა, შესასვლელში ბერნი ეკელსტონი რომ მდგარიყო.

თავის ძალაუფლებას ის ყველას აგრძნობინებს

მოზლისთან დაკავშირებული ინციდენტის საპირისპირო შემთხვევა ასევე მელბურნში მოხდა. ერთ-ერთ ცნობილ ავსტრალიელ პოლიტიკოსთან ერთად, ფორმულა 1-ის ტრასაზე შესვლისას, ეკელსტონმა დაცვის თანამშრომლებს ხელით ანიშნა, რომ მისი მეგზური დაეკავებინათ. პოლიტიკოსი არ შეუშვეს, რის გამოც ეკელსტონმა დაცვის თანამშრომლები სასტიკად გაკიცხა. ეს პატარა სპექტაკლი მხოლოდ იმისთვის დაიდგა, რომ გარშემო მყოფებს გაეგოთ, თუ ვინ არის აქ ბოსი.

შუმახერს არავითარი ძალაუფლება არა აქვს

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა ბრიტანულმა გაზეთმა მიხაელ შუმახერი ფორმულა 1-ის ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა. თავად ჩემპიონმა გაიღიმა და თავი გაქნია, რის შემდეგაც იქვე მდგარ ეკელსტონს გახედა.

შუმახერს კარგად ახსოვს 2001 წელს იტალიის გრან-პრიზე მომხდარი ეპიზოდი, როდესაც ის წესებში ცვლილების შეტანას მოითხოვდა. გერმანელ პილოტს, უსაფრთხოების მიზნით, რბოლის სტარტზე გასწრების აკრძალვა სურდა. ბერნი ეკელსტონს შუმახერის წინადადებაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. მხოლოდ ის წყვეტს, თუ რა უნდა შეიცვალოს ფორმულა 1-ში.

NBA

შარლოტი კალათბურთს ითხოვს

ოთხი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობის თანხმობით "შარლოტ ჰორნეთსი" ახალ ორლეანში გადაბარგდა. ყველა კმაყოფილი დარჩა (კლუბმა ახალი არენა მიიღო, ლიგის ბოსებმა მრავალრიცხოვანი მაყურებელი და, შესაბამისად, ფინანსური სარგებელი), გარდა შარლოტელებისა. ქალაქმა მოიწყინა, მოენატრა კალათბურთი.

რა უფლება აქვს ვინმეს, ქალაქს ცხოვრება წაართვას, – ხმა აიმაღლეს შარლოტელებმა და ქალაქში ახალი გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მოიწონეს nba-ს ბოსებთან მოლაპარაკების იდეა - ახალი არენის იჯარით აღების შესახებ და შარლოტის ერთ-ერთ ჩინოვნიკს ამ იდეის განხორციელება დაავალეს.

ამ საკითხის განხილვაში, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მხრიდან, მონაწილეობას მიიღებს nba-ს კომისიონერის მოადგილე რას გრენიკი. ქალაქის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ამ საკითხის განხილვა უახლოეს ორ-სამ კვირაში დაიწყება.

გუშინ შარლოტის მუნიციპალიტეტში მოიწონეს ქალაქში ახალი არენის მშენებლობის გეგმა, რომლის ფასი, პირველი შეფასებით, 231 მილიონი დოლარია. ქალაქის ხელმძღვანელობა ელოდება ახალი არენის მფლობელის ვინაობის დადგენას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს სამშენებლო სამუშაოებს ძველი "შარლოტ კოლიზიუმის" ადგილზე.

მუნიციპალური პრესმდივნის ცნობით, ქალაქის მმართველმა პეტ საიფერტმა nba-ს ბოსებთან მოლაპარაკების თაობაზე, ყოველგვარ კომენტარზე უარი განაცხადა. "საქმისთვის სჯობს, ეს საკითხი დახურული იყოს, – ამბობს საიფერტი, - იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ და ქალაქისთვის საუკეთესო ვარიანტი შევარჩიოთ, მოთმინება გვმართებს."

ამ საკითხს გახმაურება, უახლოესი ერთი თვით მაინც, არც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მხრიდან უწერია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ თუ ახალი არენის მშენებლობის საქმე დადებითად გადაწყდება, nba გასცემს ნებართვას შარლოტში ახალი საკალათბურთო კლუბის ჩამოყალიბების შესახებ.

რასელი აღარ სჭირდებათ

"იუტა ჯაზის" მოთამაშის ბრაიონ რასელის კარიერა დასრულდა. "ჯაზმენების" ვიცე-პრეზიდენტმა დაადასტურა ცნობა, რომ კლუბი აღარ აპირებს კალათბურთელთან კონტრაქტის გაგრძელებას. ამჟამად, ფორვარდი, რომელმაც სოლტ-ლეიკ-სიტის გუნდში 9 სეზონი გაატარა, კლუბის ხელმძღვანელობას აინტერესებს, მხოლოდ, როგორც სატყუარა – შესაძლო გაცვლებისთვის.

რასელის აგენტის დუაიტ მენლის განცხადებით, მისი კლიენტი იმედგაცრუებულია, რადგან ძალიან ერთგული ადამიანია და "ჯაზის" ხელმძღვანელობას ემადლიერება, რომ შანსი მისცა. 1993 წელს, დრაფტის მეორე წრეში, "იუტა ჯაზმა" სწორედ რასელი აირჩია.

"მას არც მწვრთნელმა დაურეკა, არც კლუბის მფლობელმა და არც არავინ, – ამბობს მენლი, – ვიღაცამ, უბრალოდ, კურიერი გამოუგზავნა. ასეთ საქმეებს კი ამგვარად არავინ აგვარებს. ბოლოს, როცა ბრაიონმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღო, ლერი მილერი (კლუბის მფლობელი) მას დარჩენას სთხოვდა".

შარშან რასელმა ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი სეზონი ჩაატარა. ნოემბერში კალათბურთელმა ტრავმა მიიღო, რის გამოც მხოლოდ ერთი თვე გაუცდა. მისი შედეგი არცთუ ისე შთამბეჭდავი გამოდგა: 9,6 ქულა ერთ თამაშში და ზუსტი სროლების 38 პროცენტი, რაც რასელის კარიერაში ყველაზე ცუდი შედეგია.

"ტრავმის შემდეგ ძალიან ადრე დავბრუნდი, ამიტომ ტკივილი კიდევ მაწუხებდა, – აღიარა რასელმა, – რა თქმა უნდა, ეს ჩემი ბრალია. თამაშს არავინ მაიძულებდა. თუმცა, არა მგონია, რომ ერთმა წარუმატებელმა სეზონმა ასე დამამციროს".

წლების განმავლობაში, რასელი შორი დისტანციიდან სროლებისა და დაცვაში თამაშის სპეციალისტად მიიჩნეოდა, თუმცა "ჯაზის" მთავარმა მწვრთნელმა, ჯერი სლოუნმა მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტად გუნდის გაახალგაზრდავება დასახელა.

"მიმაჩნია, რომ ბრაიონი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, თამაშთან დაკავშირებით, პრობლემებს განიცდიდა, ანუ ჩვეულ სისხარტეს ვერ ამჟღავნებდა. მოვიზიდოთ ახალგაზრდა კალათბურთელები და მივცეთ მათ შანსი, შეიძინონ გამოცდილება – აი, რა უნდა იყოს ჩვენი პრიორიტეტი," – განაცხადა ჯერი სლოუნმა.

რამდენიმე პროფესიული კლუბი რასელის აგენტს უკვე დაუკავშირდა. მენლის თქმით, ყველაზე დიდი ინტერესი "დალასმა" და "მაიამიმ" გამოავლინეს. ბრაიონ რასელის ბოლო კონტრაქტის ღირებულება, ოთხ წელიწადში, 20 მილიონი დოლარი იყო.

ცურვა

ევროპაში წყალი აზვირთდა

გიგა გურასაშვილი

მაშინ, როდესაც ზაფხულის ხვატით გათანგული ბებერი კონტინენტი სანაპიროებსა თუ აუზებში პოულობს შვებას, საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლებს, პირიქით, წყალში არათუ გაგრილება, არამედ ოფლის ღვრა უწევთ.

საქმე ისაა, რომ, გუშინდლიდან მოყოლებული, 4 აგვისტომდე, ბერლინმა საწყლოსნო სახეობათა ევროპის ჩემპიონატს დაუთმო ასპარეზი. 38 ქვეყნის 785 სპორტსმენს ოთხ დისციპლინაში (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა და ღია წყალში ცურვა) მართებს ხელ-ფეხის მარჯვედ ქნევა თუ მოსმა.

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ნაკრებით მასპინძლები (70) არიან წარმოდგენილნი. მათ საკუთარი კედლების იმედი აქვთ და, დასტურად, გუნდური პირველობაც ამოუჭრიათ გულში. არც იტალიელები არიან გულხელდაკრეფილნი. გერმანიის დედაქალაქში აპენინელებმაც თითქმის იმდენივე - 69-კაციანი საწყლოსნო დესანტი გადასხეს. რაც შეეხება ჩემპიონატს, იგი 25 კილომეტრზე ღია წყალში ასპარეზობამ გახსნა. დგაფუნის მოყვარულ ქალებს ურთიერთობების გასარკვევად, ბერლინიდან 30 კილომეტრის მოშორებით პოტსდამის ტბაზე უკრეს თავი. შეიძლება ითქვას, გუშინ ამ დისციპლინაში ახალი ერა დაიწყო, ყოველ შემთხვევაში, ჰოლანდიელი ედით ვან დიიკისთვის მაინც. ჰოლანდიელი მოცურავე სტარტიდანვე დაწინაურდა და იმდენი მოახერხა, რომ უახლოესი მდევრები ხუთი წუთით უკან მოიტოვა. ფინიშის ხაზი კი საუკეთესო დროში - ხუთ საათში, 27 წუთსა და 34 წამში გადაცურა.

აღსანიშნავია, რომ ვან დიიკისთვის გერმანელი პეგი ბუშე აქამდე გადაულახავი ბარიერი იყო. მისდა საბედნიეროდ, ხუთგზის ევროპის ჩემპიონმა მარტში სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, იმ მოტივით, რომ მან შეძლო, მოეგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა.

ევროპის ბოლო ჩემპიონატზეც პეგი ბუშეს "დამსახურება" გახლდათ ის, რომ ჰოლანდიელმა ვერცხლი მოიპოვა.

"ყველაფერი გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. როდესაც სტარტი ავიღეთ, იმაზე ვფიქრობდი, რომ მეტოქეები დიდი მანძილით ჩამომეშორებინა, რადგან წარმატების მიღწევა მაშინ უფრო მიადვილდება, როდესაც მარტო მივცურავ. არ მიყვარს გუნდთან ერთად ცურვა. ასეთ შემთხვევაში დაზღვეული ხარ ზედმეტი ჯაჯგურისა თუ ძიძგილაობისგან", - ენად გაიკრიფა ახლად გამომცხვარი ჩემპიონი. იქვე აღიარა, რომ პეგი ბუშეს სპორტიდან წასვლამ მას შვება მოჰგვარა.

რაც შეეხება დანარჩენ პრიზიორებს: მეორე და მესამე ადგილები რუსებმა მოიპოვეს, შესაბამისად, ალესია შალიგინას შედეგია - 5:34.47 და ნატალია პანგინასი - 5:34.51.

საერთაშორისო ტურნირებზე

ლოს-ანჯელესი. აშშ. ეარდი. საპრიზო ფონდი 400 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ანდრე აგასი (აშშ). მეორე წრე.

მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) – სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 3) 6:3, 3:6, 7:6 (7:3)

მაქსიმ მირნი (ბელორუსი, 8) – პარადორნ სრიშაფანი (ტაილანდი) 7:6 (7:3), 6:4

ენდი როდიკი (აშშ) – ბრაიან ბახეილი (აშშ) 7:5, 6:4

ქსავიე მალისი (ბელგია, 7) – ტეილორ დენტი (აშშ) 6:1, 4:6, 6:4

სტენფორდი. აშშ. ეარდი. საპრიზო ფონდი 585 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი კიმ კლიისტერსი (ბელგია). მეორე წრე.

ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 5) – კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 1:6, 6:0, 6:1

ლინდსეი დევენპორტი (აშშ, 2) – ან კლემერი (ლუქსემბურგი) 6:3, 6:0

მონიკა სელეში (აშშ, 3) – თამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4, 3:6, 6:1

კიცბიული. ავსტრია. გრუნტი. საპრიზო ფონდი 880 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი). მეორე წრე.

ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 2) – ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 6:4

შტეფან კუბეკი (ავსტრია) – ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:2, 6:3

ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 1) – ხუან ანტონიო მარინი (კოსრ+ტარიკა) 6:1, 6:3

მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) – ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი, 15) 7:6, 6:2

ჟან-რენე ლორანი (საფრანგეთი) – მარსელო რიოსი (ჩილე, 9) 7:5, 6:4

ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 10) – გილიერმო კორია (არგენტინა) 2:6, 6:2, 7:6

ნიკოლას მასუ (ჩილე) – გილიერმო კანასი (არგენტინა, 3) 6:4, 5:7, 6:3

ანდრეი პაველი (რუმინეთი, 4) -- ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:2

მარიანო ზაბალეტა (არგენტინა, 13) – ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:7, 6:3, 6:4

გასტონ გაუდიო (არგენტინა, 6) – ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 6:4

ანდრე სა (ბრაზილია) – აგუსტინ კარიერი (არგენტინა, 13) 7:6, 6:1

სოპოტი. პოლონეთი. გრუნტი. საპრიზო ფონდი 381 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი ტომი რობრედო (ესპანეთი). მეორე წრე.

კრისტოფ როშუ (ბელგია) -- ფაბრის სანტორო (საფრანგეთი, 3) 4:6, 6:3, 7:5

კარლოს მოია (ესპანეთი, 2) – ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:4, 6:1

ფრანკო სკილიარი (არგენტინა) -- ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:4, 7:5

სტეფანო გალვანი (იტალია) – მარკ როსე (შვეიცარია) 6:4, 6:1

სოპოტი. პოლონეთი. ქალები. გრუნტი. საპრიზო ფონდი 300 000 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონი კრისტინა ტორენს ვალერო (ესპანეთი). მეორე წრე.

არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3) – მარია გოლოვიზინა (რუსეთი) 7:5, 6:2

ბარბარა რიტნერი (გერმანია) – სილვია ფარინა-ელია (იტალია, 1) 6:4, 2:6, 6:3

ტატიანა გარბინი (იტალია) – იანა საკოვიჩი (პოლონეთი) 6:4, 6:2

დინარა საფინა (რუსეთი) – პეტი შნაიდერი (შვეიცარია, 2) 6:1, 6:1

ჰენრიეტა ნადოვა (სლოვაკეთი) – ანკა ბარნა (გერმანია) 6:4, 6:2

ვირხინია რუანო-პასკალი (ესპანეთი) – მარტინა სუხა (სლოვაკეთი, 4) 6:4, 6:3

ვერა ზვონარევა (რუსეთი) -- ფლავია პენეტა (იტალია) 6:3, 6:1

მეგი სერნა (ესპანეთი, 8) – იანა კანდარი (გერმანია) 4:6, 6:2, 6:3.

სკანდალი

„ბუფალო სეიბრზის" მეპატრონეს სამუდამო პატიმრობა ელის

24 ივლისს NHL-ის კლუბ "ბუფალო სეიბრზის" მეპატრონე ჯონ რიგასი და მისი ვაჟიშვილები დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებათ აშშ-ში კორპორაციული ბიზნესის წარმოების კანონებისა და წესდებების უპრეცედენტო დარღვევა. ჯონ რიგასს, მრავალმილიონიან ჯარიმასთან ერთად, სამუდამო პატიმრობაც ემუქრება. წინასწარი მონაცემებით, რიგასების ოჯახს, დაახლოებით, 2 მილიარდი დოლარი (საქართველოს 4 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი) მოუპარავს.

როგორც ირკვევა, რიგასების ოჯახს ჰოკეის კლუბი "ბუფალო" არ შეუძენია ასეთი ტიპის გარიგებათა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ მათ აუღიათ საჭირო ათეულობით მილიონი დოლარი კორპორაციის იმ ძირითადი ბიზნესის საერთო ფონდიდან, რომელსაც მხოლოდ რიგასები არ ფლობდნენ და, მთავარი პარტნიორების გარდა, ათასობით ინვესტორი და აქციონერი ჰყავთ. ეს კორპორაცია საკაბელო ტელევიზიების ბიზნესით არის დაკავებული. რიგასები სხვის მილიონებს მხოლოდ ჰოკეის გუნდის შესანახად როდი ხარჯავდნენ. მათ ასეთივე ზეენთუზიაზმით აამუშავეს "საზოგადოებრივი მილიონები" და პენსილვანიის შტატში, რიგასის კერძო საკუთრებაში არსებულ მამულში, გოლფის სათამაშო უზარმაზარი მოედანი წამოჭიმეს.

NHL-ის კომისრის გარი ბეტმენის თქმით, ფინანსური ოპერაციებისთვის და მოთამაშეთათვის ხელფასების დასარიგებლად "ბუფალოს" დროებითი სესხი მიეცემა. კლუბს კი უახლოეს მომავალში აუქციონზე გაყიდიან.

რა შეუძლია ჩაცმულ ჰერციგოვას

ევა ჰერციგოვა
REUTERS

რამდენიმე ხნის წინ, ჩეხი სუპერმოდელი ევა ჰერციგოვა ქალის თეთრეულის მწარმოებელი ფირმის, Wonderbra-ს რეკლამაში ჩნდებოდა და მთელი მსოფლიოს ბიჭებს გულღიად ესალმებოდა. პლაკატზე, ევას ფოტოს ქვეშ, დიდი წარწერაც იყო: "ჰელოუ, ბოიზ". ამ წარმატებული სარეკლამო კამპანიის შემდეგ სუპერმოდელი იმიჯს რადიკალურად იცვლის. ამჯერად ის Lancia-ს ავტომობილების სახე ხდება და მანქანის რეკლამას მამაკაცის სამოსში გადაცმული აკეთებს. სარეკლამო რგოლი იტალიურ ტელე-არხებზე დატრიალდება. პირველ კადრში ევა ჰერციგოვა საბაზანოში დგას და სარკის წინ "წვერს იპარსავს", შემდეგ თმას უკან იწევს, თეთრ პერანგსა და შავ კოსტიუმს იცვამს, ზოლებიან ჰალსტუხს იკეთებს, შემდეგ გარეთ გადის და მანქანაში ჯდება. ეკრანზე კი ვკითხულობთ: The new Lancia is only for men (ახალი Lancia მხოლოდ მამაკაცებისთვისაა). ანუ, ევა ჰერციგოვას სარეკლამო გმირს ახალი ავტომობილი ისე მოსწონს, რომ მის მოსაპოვებლად მზად არის, სქესიც შეიცვალოს... ჩეხი სუპერმოდელის წყალობით, Wonderbra-ს პროდუქტი, ამ ერთ წელიწადში, რეკორდული მაჩვენებლით გაიყიდა. უფრო ზუსტად, გაყიდვის მაჩვენებელი 10-იდან 200 მილიონ ფუნტ სტერლინგამდე გაიზარდა. საინტერესოა, როგორ იმოქმედებს Lancia-ს პოტენციური მყიდველების ფსიქოლოგიაზე ამჯერად უკვე ჩაცმული ევა ჰერციგოვას გამოჩენა.

კაილი მინოუგი მესამედ

კაილი მინოუგი
REUTERS

მადამ ტიუსოს ლონდონურ მუზეუმში კაილი მინოუგის ცვილის ქანდაკება დაიდგა. ავსტრალიელი პოპვარსკვლავი ცვილში უკვე მესამედ "ჩასვეს". თუმცა, ეს ბოლო ქანდაკება ამ სამიდან ყველაზე სკანდალურია – ამჯერად კაილი მინოუგს მოკლე კორსეტი აცვია და გამომწვევად, ოთხზე დგას. ქანდაკება მომღერლის ახალი ალბომის გამოსვლას და მის წარმატებულ ტურნეს მიეძღვნა. გამოფენას კი Fever (ციებ-ცხელება) ჰქვია. სპეციალურად ცვილის მინოუგის სანახავად მისულ ლონდონელებს იქვე ცეკვის ინსტრუქტორები დახვდებიან და ისეთსავე "იატაკის ცეკვას" ასწავლიან, როგორიც მინოუგმა თავის ბოლო ტურნეზე შეასრულა. ცნობისთვის: მისი პირველი ცვილის ქანდაკება მადამ ტიუსოს მუზეუმში 12 წლის წინ გაკეთდა, ანუ ჯერ კიდევ მაშინ, როცა კაილი ავსტრალიური საპნის ოპერის "მეზობლების" ვარსკვლავი იყო. მაგრამ რადგანაც მინოუგი იმიჯს მუდამ იცვლის, ტიუსოს მუზეუმშიც მის ახალ-ახალ, ასევე იმიჯშეცვლილ ქანდაკებებს ამზადებენ.

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

TV პროგრამა 26 ივლისი

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.55 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 სერიალი "პოლტერგეისტი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ამადეუსი" მთ.როლებში მიურეი აბრაჰამი, ტომ ჰალსი
02.10 მხ.ფ. "შიშის კონცხი" მთ.როლებში როგერტ დე ნირო, ნიკ ნოლტი

პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი "მამილო კასტორის ამბები"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური გუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "ბოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 ცოცხალი სურათები
14.30 ეკოდაიჯესტი
15.15 მხ.ფ. "ბიჭები არ ტირიან"
16.55 "ხელოვნების კოლეჯი"
17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "ბოგონები ქარში"
19.10 ჯანმრთელობა
19.40 გასტი-გუბუ
20.55 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.40 რას ფიქრობს ხალხი
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 სატელევიზიო სპექტაკლი "შიში"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "სარკეს ორი სახე აქვს"
21.30 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 მხ. ფილმი "ტიტანთა" გახსენება"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. ":ანა და შესანიშნავი ბიჭი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 მხ.ფ. "მატრიცა"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 გუნების ფერები
19.30 გურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ულის ოქრო"
22.30 მხ.ფ. "მერვე დღე"
00.30 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალური-გასართობი პროგრამა "ტორროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
11.45 "ჩაქირობანა" განმეორებით
13.30 მხ. ფილმი
15.10 მუსიკა
17.25 "სწ.მედია" მხ.ფ. "ვასაგი"
19.00 მუსიკა
20.00 მო
22.00 რუსული ათეული
23.00 "პაპარაცები"
00.00 "გრავო" მხ.ფ. "უმაღლესი ხარისხის დანაშაული". მთ. როლებში მორგან ფრიმენი, ედლი ჯადი
01.40 "ღამური" მხ.ფ. "ძვლები" მთ. როლებში სნუპ დოგი დოგ, პეშ გრიერი
03.35 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. "მატრიცა"
14.05 დოკ.ფილმი "როგორ იქმნებოდა მატრიცა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "თვალთმაქცობა"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.00 მხ. ფილმი "ჩემი გიძაშვილი ვინი"

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" მე-13 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-13 სერია
10.15, 13.55, 15.30, 17.15, 18.45, 20.20, 23.50 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "ბოგონა მისამართის გარეშე" მთ. როლებში: სოფია კარპინსკაია, ნიკოლაი რიგნიკოვი
12.20 დოკ. ფილმი "დეკუბლეს პლანეტა"
14.00, 19.00 დისკავერი
14.45, 21.30 მთავარი თემა
15.45 მხ. ფილმი "უკანასკნელი დონი" მე-3 ნაწილი
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-14 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-14 სერია
19.30 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
22.15 მხ.ფ. "ყველაფერი დათრეულია" მთ. როლებში ჯონ ფავნო, ვინ ვონი
00.40 მხ. ფილმი "მზერა შიგნიდან". მთ. როლებში ერიკ ბარნო, საიმონ ლინდონი

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფილმი "აიფ-აფ,ვაი, ვაი, ვაი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "სასიყვარულო გზავნილები"
13.40 მელოდრამა "დედინაცვალი"
16.15 მულტფილმი
17.20 მხატვრული ფილმი "მკის დღეები"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "მზე აქ შემიჩერებია"
19.40 ქართული მხატვრული ფილმი "ლომა"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "პრესდაიჯესტი"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 "ექსკლუზივი"
01.05 მხატვრული ფილმი "ბრონქსის ისტორია"
03.30 თრილერი "რისკზე წასვლით გაიმარჯვებ"

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.30 მოკლედ... სპორტი
10.35 მუსიკალური გიორგითმი - ვალერი ლეონტიევი
11.10 მულტსერიალი
11.15 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.20 "სახლიდან გაუსვლელად"
11.40 მუსიკალური ტაიმაუტი
12.05 დოკ.ფ. "გრძოლა წესების გარეშე"
12.35 დისნეი და მისი მეგობრები
12.55 "სახლიდან გაუსვლელად"
13.15 ამინდის პროგნოზი
13.20 ჰოროსკოპი
13.25 სპორტი
13.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.00 ანონსი
18.05 ამინდის პროგნოზი
18.10 პრესა
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.30 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი
20.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
20.35 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.55 "სახლიდან გაუსვლელად"
21.15 დოკ.ფ. "გრძოლა წესების გარეშე"
21.45 მოკლედ...სპორტი
22.00 "პერიფერია"
22.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "სახლიდან გაუსვლელად"
22.40 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "დიუნა" ა.შ.შ. 1999 წელი. ფანტასტიკა. რეჟისორი - დევიდ ლინჩი. როლებში: კაილ მაკლაჰლენი, ვირჯინია მედსენი.
00.50 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.00 "სახლიდან გაუსვლელად"
01.20 მუსიკალური გიორგითმი - ვალერი ლეონტიევი
01.45 მხ.ფ.ჟანრებში - მხ.ფ. "ფედერალური გიურორს აგენტები" ა.შ.შ. 1996 წელი. კომედია. რეჟისორი - დენ გოლდბერგი. მთ. როლში: რებეკა დე მორნეი.
03.05 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.05, 16.45 "Ералаш"
12.15 «Объектив»
12.35 "Кошки-мишки"
13.15 Сериал «ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО «ЛУННЫЙ СВЕТ»
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00 Сериал "СКАРЛЕТ"
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.55 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
20.15 Человек и закон
21.00 Поле чудес.
22.00 Время.
22.35 х.ф. "МЕСТЬ"
00.50 х.ф. "ПРЕЛЮДИЯ К ПОЦЕЛУЮ"
02.45 х.ф. "В ТЕМНОТЕ"

РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30, 09.20 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 17.45 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "К ЧЕРНОМУ МОРЮ"
13.45 Новая "Старая квартира"
14.30 Сериал "БЕТТИ".
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "дикий ангел"
17.15 "ДРУЗЬЯ-5"
18.20 Пресс-клуб
19.50 "Сказки о любви"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "ТРАНЗИТ ДЛЯ ДЬЯВОЛА"
23.00 х.ф. "ХИТРЫЙ ВОР"
00.55 Закрытие фестиваля искусств
03.20 Дневник фестиваля искусств.

НТВ

07.00, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня
09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ВИЗИТ ТЕРРОРИСТА"
11.20 Совершенно секретно
12.20 Служба спасения
13.20 Вкусные истории
13.25 х.ф. "КУРОРТНЫЙ РОМАН"
15.05 "Прдолжение следует..."
16.00 Пепси-чарт
16.40, 19.40 Криминал
17.30 х.ф. "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА"
18.35 х.ф. "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ"
20.35, 21.40 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
23.30 фильм "ОПАСНОСТИ ЛЮБВИ"
02.00 "Все сразу!" ночные развлечения
02.30 фильм "ДОМ"

იაპონური კროსვორდი

														1	1																				
					1	4	1			3				6	4																				
					2	1	1	6	8	4	9	1	1	2	5	2			12																
				6	2	1	3	5	3	1	3	10	9	3	5	12	19	18	5	12	13	14	14	14	14	13	12	18	17	17	16	17	10	2	8	1
			6	9																															
			2	17																															
		3	3	17																															
			7	18																															
			5	18																															
			17	1																															
			17	1																															
		3	17	1																															
	1	1	18	1																															
	1	1	22	1																															
		1	22	1																															
		1	19	1																															
	2	3	5	1																															
5	1	5	5	1																															
		2	3	5																															
			6	5																															
			5	5																															
1	2	5	1	1																															
				5																															
			1	1																															